

საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების გამოწვევები  
განვითარებადი ქვეყნების მთავრობებთან და ბიზნესთან  
მიმართებაში

გიორგი აბაშიშვილი

*სადისერტაციო ნაშრომი წარდგენილია  
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის სკოლის ბიზნესის  
ადმინისტრირების დოქტორის  
აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

სამეცნიერო ხელმძღვანელი: დავით აფრასიძე, ფილოსოფიის დოქტორი  
პოლიტიკის მეცინერებაში

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2013

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის სკოლის

დეკანს პროფ. მიხეილ ბატიაშვილს

ამავე უნივერსიტეტის ბიზნესის სკოლის დოქტორანტის

გიორგი აბაშიშვილის

განაცხადი

როგორც წარდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

გიორგი აბაშიშვილი

10.07.2013

## აბსტრაქტი

საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების, მათი საქმიანობის პოლიტიკისა და შედეგების კვლევა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია განვითარებადი ქვეყნებისა და, მათ შორის, საქართველოსთვის. იმისათვის, რომ ამდლდეს და რეალურ შედეგებზე ორიენტირებული გახდეს საფინანსო ინსტიტუტების მიერ გაწეული სხვადასხვა ტიპის დახმარებები, საჭიროა სამთავრობო თუ არასამთავრობო დონეზე, ბიზნესის თუ სამოქალაქო საზოგადოების ასპექტით შეჯერდეს ერთი მხრივ, საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციების და მეორე მხრივ, კონკრეტული ქვეყნის პრიორიტეტები. კვლევის ამოცანაა შეისწავლოს საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების საქმიანობა კავკასიის რეგიონსა და საქართველოში. საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების პოლიტიკის გათვალისწინებით განიხილოს საქართველოს ტაქტიკა სამთავრობო, არასამთავრობო სექტორთან და ბიზნესთან მიმართებაში.

კვლევის მიზანია განსაზღვროს საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების სტრატეგიების ეფექტური გამოყენების გზები საქართველოში და შეიმუშავოს საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების ინიციატივების წინასწარ შეფასების მოდელი.

კვლევის მიზნიდან გამომდინარე, ნაშრომი განიხილავს საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებს, საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების პროექტებს და ბიზნეს ინიციატივებს კავკასიის რეგიონში. ნაშრომში გაანალიზებულია საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების წარმატებები და ჩავარდნები, დეტალურად აღწერილია მათი საქმიანობა საქართველოში.

ნაშრომი არის საქართველოში პირველი მრავალმხრივი კვლევა, რომელიც სტატისტიკური მონაცემების, ანგარიშების, ექსპერტთა დასკვნების

განხილვითა და შეჯერებით წარმოადგენს საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების საქმიანობის შეფასებას. კვლევის ფარგლებში შემუშავებულია მოდელი, რომელიც საშუალებას იძლევა დანახარჯი-ეფექტიანობის მეთოდის გამოყენებით წინასწარ შეფასდეს ბიზნეს გეგმა, პროექტი, ინიციატივა, თუ სხვა სახის გამოწვევა. ნაშრომის დასასრულს მოცემულია საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების პრიორიტეტებისა და სტრატეგიების ეფექტურად გამოყენების ტაქტიკა.

კვლევის ფარგლებში წარმოდგენილი შედეგები და რეკომენდაციები მნიშვნელოვნად სრულყოფს საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების მიმართ სამთავრობო და არასამთავრობო სექტორის, ბიზნესის სფეროს პოლიტიკასა და სტრატეგიას, შედეგზე ორიენტირებულს გახდის და აამაღლებს საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციების საქმიანობის ხარისხს. კვლევა და მისი შედეგები მნიშვნელოვანია როგორც ბიზნესის ადმინისტრირებისთვის, ასევე სამთავრობო, არასამთავრობო სექტორისა და ფართო საზოგადოებისთვის.

ძირითადი საძიებო სიტყვები: საერთაშორისო, საფინანსო, ორგანიზაციები, ინსტიტუტები, სტრატეგია, ბიზნესი, ეფექტიანობა.

## **Abstract**

Study of International Financial Institutions, research of policy and results of their activities is especially important for developing countries, such as Georgia.

In order to orientate the various support activities provided by the International Financial Institutions on actual results, it is necessary to coordinate priorities of International Financial Institutions and the specific country on the governmental and non-governmental level, business and civil society. The goal of the research is to study activities of International Financial Institutions in Caucasus and Georgia. Considering policy of International Financial Institutions, the research is looking at strategy of Georgia towards governmental, non-governmental and business sectors.

The goal of the research is to define ways of effective application of International Financial Institution's strategies for Georgia and develop model for assessing IFI's initiatives in advance.

The paper discusses International Financial Institutions, their projects and business initiatives in the Caucasus region. The report analyses successes and failures of the International Financial Institutions, and covers their activities in Georgia in details.

The paper is a first comprehensive research of activities of the International Financial Institutions, which discusses and compounds statistical data, reports, and experts' opinions. The research develops a model, which enables assessment of the business plan and other initiatives by using the cost-benefit analysis. The report ends with the tactics of applying priorities and strategies of International Financial Institutions effectively.

Results and recommendations of the research will significantly complement policy and strategy of governmental, non-governmental and business sectors towards the International Financial Institutions; will orient activities of International Financial Organisations on results and will raise quality. The research and its results are important both for business administration and for governmental, non-governmental sector and wide society.

Key search words: International, Financial, Organisations, Institutions, Strategy, Business, Effectiveness.

## მადლობა

მადლობას ვუხდის სადისერტაციო ნაშრომის ხელმძღვანელს პროფესორ დავით აფრასიმეს, რომელმაც მნიშვნელოვანი დახმარება გამიწია საკვლევო თემატიკის კონკრეტიზაციასა და მიზნების ფორმულირებაში. მადლობა მინდა გადავუხადო კვლევის ფარგლებში ჩართულ ექსპერტებს; მათი მონაწილეობა საექსპერტო გამოკითხვაში და შეფასებები არსებითი იყო სადისერტაციო ნაშრომში წარმოდგენილი კვლევის შედეგებისთვის, დასკვნებისა და რეკომენდაციებისთვის. ასევე, მადლობას ვუხდის გამოკითხვაში მონაწილე ყველა რესპოდენტებს, რომელთა შორის არიან როგორც სამთავრობო, კერძო სექტორის, ასევე საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების წარმომადგენლები.

განსაკუთრებული მადლობა ეკუთვნის ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის სკოლის ეკონომიკური კვლევებისა და კონსულტაციების ცენტრს - „ილიაუნი ბიზნეს რევიუს“ და მის სამუშაო ჯგუფს კვლევის (გამოკითხვის) პროცესში გაწეული ტექნიკური დახმარებისთვის. ასევე: ჟურნალ "ფორბსის" რედაქციას.

## სარჩევი

სარჩევი.....	1
დიაგრამების ჩამონათვალი.....	2
აბრევიატურების ჩამონათვალი.....	7
შესავალი.....	9
თავი პირველი - სამეცნიერო ლიტერატურის მიმოხილვა, არსებული კვლევები საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების შესახებ.....	15
თავი მეორე - საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების კვლევის მნიშვნელოვანი ასპექტები.....	27
კვლევის მეთოდოლოგია.....	27
მსოფლიო ბანკის (IBRD, IDA) პროექტების ფინანსური და რაოდენობრივი ანალიზი საქართველოში, სომხეთსა და აზერბაიჯანში.....	32
ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკისა (EBRD) და აზიის განვითარების ბანკის (ADB) პრიორიტეტები რეგიონის ქვეყნებში.....	42
ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის (EBRD) სტრატეგიის მიმოხილვა საქართველოსთან მიმართებაში.....	64
აზიის განვითარების ბანკი და საქართველო.....	77
აზიის განვითარების ბანკის სტრატეგია საქართველოში.....	89
საქართველოს მთავრობისა და საქართველოს ეროვნული ბანკის საგარეო ვალი საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებთან მიმართებაში - მრავალმხრივი კრედიტორებისადმი დავალიანება.....	100
საექსპერტო კვლევა - „საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების საქმიანობის შეფასების შესახებ დასკვნები“.....	119
თავი მესამე - როგორ განვსაზღვროთ საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების საქმიანობის ეფექტურად გამოყენების გზები (დასკვნები და რეკომენდაციები).....	132
დასკვნები და რეკომენდაციები.....	135
დანახარჯი-ეფექტიანობის შეფასების გამოყენების რეკომენდაცია პირობითი მაგალითის საფუძველზე - მოდელი.....	140
ბიბლიოგრაფია.....	152
დანართები.....	155



## დიაგრამების ჩამონათვალი

**დიაგრამა 1:** მსოფლიო ბანკის მიერ 2009-2013 წლების განმავლობაში საქართველოში განხორციელებული პროექტების რაოდენობრივი მაჩვენებელი ----- 33

**დიაგრამა 2:** მსოფლიო ბანკის მიერ 2009-2013 წლების განმავლობაში საქართველოში განხორციელებული პროექტების ფინანსური მაჩვენებელი----- 34

**დიაგრამა 3:** მსოფლიო ბანკის მიერ 2009-2012 წლების განმავლობაში სომხეთში განხორციელებული პროექტების რაოდენობრივი მაჩვენებელი -----35

**დიაგრამა 4:** მსოფლიო ბანკის მიერ 2009-2012 წლების განმავლობაში სომხეთში განხორციელებული პროექტების ფინანსური მაჩვენებელი-----37

**დიაგრამა 5:** მსოფლიო ბანკის მიერ 2009-2013 წლების განმავლობაში აზერბაიჯანში განხორციელებული პროექტების რაოდენობრივი მაჩვენებელი-----39

**დიაგრამა 6:** მსოფლიო ბანკის მიერ 2009-2013 წლების განმავლობაში აზერბაიჯანში განხორციელებული პროექტების ფინანსური მაჩვენებელი:-----40

**დიაგრამა 7:** მსოფლიო ბანკის მიერ საქართველოში, სომხეთსა და აზერბაიჯანში დაფინანსებული პროექტების ჯამური ფინანსური მაჩვენებელი 2009-2012 წწ-----41

**დიაგრამა 8:** EBRD-ის პრიორიტეტები, 2012 წლის მონაცემების მიხედვით მიმდინარე პროექტები საქართველოში და მათ წილობრივი მაჩვენებლები სექტორების მიხედვით-----43

**დიაგრამა 9:** აზიის განვითარების ბანკის მიმდინარე პროექტები საქართველოში სექტორების მიხედვით -----44

**დიაგრამა 10:** ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის მიმდინარე პროექტები სომხეთში სექტორების მიხედვით-----46

**დიაგრამა 11:** აზიის განვითარების ბანკის მიმდინარე პროექტები სომხეთში შესაბამისი სექტორების მიხედვით -----48

**დიაგრამა 12:** აზერბაიჯანში ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის მიმდინარე პროექტების წილობრივი მონაცემები სფეროების მიხედვით-----51

**დიაგრამა 13:** აზიის განვითარების ბანკის მიმდინარე პროექტები აზერბაიჯანში სფეროების მიხედვით-----53

**დიაგრამა 14:** აზის განვითარების ბანკის მიერ საქართველოს, სომხეთსა და აზერბაიჯანში განხორციელებული პროექტების ფინანსური მაჩვენებლები 2012 წლის დეკემბრის მდგომარეობით-----56

**დიაგრამა15:** აზის განვითარების ბანკის მიერ საქართველოს, სომხეთსა და აზერბაიჯანში განხორციელებული პროექტების რაოდენობრივი მაჩვენებლები 2012 წლის დეკემბრის მდგომარეობით -----57

**დიაგრამა16:** ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის მიერ საქართველოში, სომხეთსა და აზერბაიჯანში ხელმოწერილი ოპერაციების რაოდენობა 2012 წლის დეკემბრის მდგომარეობით ----- 58

**დიაგრამა 17:** ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის საქართველოში, სომხეთსა და აზერბაიჯანში არსებული პროექტების მთლიანი პორტფელი 2012 წლის დეკემბრის მდგომარეობით-----59

**დიაგრამა 18:** ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის საქართველოში, სომხეთსა და აზერბაიჯანში არსებული პროექტების მთლიან პორტფელში კერძო სექტორის წილი (პროცენტული მაჩვენებელი)-----60

<b>დიაგრამა 19:</b> ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის აქტიური ოპერაციების რიცხვი საქართველოს, სომხეთსა და აზერბაიჯანში 2012 წლის დეკემბრის მდგომარეობით-----	61
<b>დიაგრამა 20:</b> EGP-ის პროგრამის ფარგლებში განხორციელებული დახმარებების ეფექტიანობა-----	74
<b>დიაგრამა 21:</b> აზიის განვითარების ბანკის კუმულაციური სესხები 2013 წ-----	90
<b>დიაგრამა 22:</b> აზიის განვითარების ბანკის კუმულაციური სესხები 2012 წ-----	93
<b>დიაგრამა 23:</b> აზიის განვითარების ბანკის მიერ ურბანული განვითარებისთვის გამოყოფილი თანხები --	96
<b>დიაგრამა 24:</b> საქართველოს მთავრობის საგარეო ვალი მრავალმხრივ და ორმხრივ კრედიტორებთან მიმართებაში - 2013 წლის 30 მაისის მდგომარეობით-----	102
<b>დიაგრამა 25:</b> საქართველოს მთავრობის საგარეო ვალი მრავალმხრივ კრედიტორებთან მიმართებაში -----	104
<b>დიაგრამა 26:</b> საქართველოს ეროვნული ბანკის დავალიანება საერთაშორისო სავალუტო ფონდისადმი წლების მიხედვით -----	105
<b>დიაგრამა 27:</b> საქართველოს მთავრობის საგარეო ვალი მრავალმხრივ კრედიტორებთან მიმართებაში -----	106
<b>დიაგრამა 28:</b> საქართველოს მთავრობის დავალიანება ევროგაერთიანებისადმი-----	107
<b>დიაგრამა 29:</b> საქართველოს მთავრობის საგარეო ვალი მსოფლიო ბანკის, განვითარების საერთაშორისო ასოციაციის (IDA) მიმართ-----	108

**დიაგრამა30:** საგარეო ვალის მაჩვენებლის დინამიკა მსოფლიო ბანკის, რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო (IBRD) ბანკის მიმართ - 2009-2013 წლები-----109

**დიაგრამა31:** საქართველოს მთავრობის საგარეო ვალი საერთაშორისო სავალუტო ფონდის (IMF) მიმართ წლების მიხედვით -----110

**დიაგრამა32:** საქართველოს მთავრობის საგარეო ვალი აზიის განვითარების ბანკისადმი 2008-2013 წლები-----111

**დიაგრამა33:** საქართველოს მთავრობის დავალიანების დინამიკა ევროპის საინვესტიციო ბანკის (EIB) მიმართ 2010-2013 წლებში-----112

**დიაგრამა34:** მრავალმხრივი საგარეო ვალი და გარანტირებული კრედიტები-----114

**დიაგრამა35:** საქართველოს მთავრობის ვალი სოფლის მეურნეობის განვითარების საერთაშორისო ფონდის მიმართ (IFAD)-----115

**დიაგრამა36:** საჭიროებათა შეფასების ერთობლივ დოკუმენტში მიმართულებათა პროცენტულ გადანაწილება-----117

## აბრევიატურების ჩამონათვალი

ADB - აზიის განვითარების ბანკი

BAS - ბიზნესის საკონსულტაციო მომსახურება

ATC - გარდაქმნის გამოწვევათა შეფასება

DEG - გერმანიის ინვესტიციებისა და განვითარების საზოგადოება

DIF - პირდაპირი ინვესტირების მექანიზმი

DLF - პირდაპირი დაკრედიტების მექანიზმი

EBRD - ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი

EC - ევროკომისია

EU - ევროგაერთიანება

IBRD - რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკი

IDA – განვითარების საერთაშორისო ასოციაცია

IFAD - სოფლის მეურნეობის განვითარების საერთაშორისო ფონდი

IMF - საერთაშორისო სავალუტო ფონდი

MCFF - საშუალო თანადაფინანსების მექანიზმი

MSME - მიკრო მცირე და საშუალო საწარმოები

OECD - ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია

SIDA- შვედეთის საერთაშორისო განვითარების სააგენტო

USAID - აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტო

WB - მსოფლიო ბანკი

## შესავალი

პირველი საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტის შექმნის იდეა მეორე მსოფლიო ომის დასრულებას უკავშირდება. საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციის შექმნის მიზანი იმ ეკონომიკური პრობლემების გადაჭრა იყო, რომელმაც, კაცობრიობა ომამდე მიიყვანა. საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებს დღემდე მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვთ მსოფლიოს ეკონომიკურ კეთილდღეობაში. მიუხედავად ამისა, უკვე მრავალი წელია აკადემიურ, საექსპერტო და ბიზნეს წრეებში არ წყდება კამათი საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების მიერ განვითარებადი ქვეყნების მიმართ არსებული სტრატეგიისა და საქმიანობის შესახებ. სხვადასხვა ტიპის დისკუსიების დროს იკვეთება ხშირად ერთმანეთისგან რადიკალურად განსხვავებული შეხედულებები. ყველაზე ყურადსაღები კი ის არის, რომ საქართველოში ამ მიმართულებით არასდროს ჰქონია ადგილი კვალიფიციურ, კვლევაზე დაფუძნებულ დისკუსიას. მართალია, მუდმივად მიმდინარეობს საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციების მიერ საქართველოსთვის გაწეული თუ გასაწევი ფინანსური დახმარებების განხილვა, მაგრამ, აღნიშნული განხილვები ზედაპირულია და არ ეყრდნობა მეცნიერულ კვლევას. საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციების საქმიანობის ანალიზი ასე თუ ისე გვხვდება ადგილობრივ პუბლიკაციებში, მაგრამ, ამ შემთხვევაშიც ინფორმაცია განახლებას საჭიროებს, რაც, ბუნებრივია, ცვლის უკვე წარმოდგენილი კვლევის შედეგებს. საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების პოლიტიკის, პრიორიტეტებისა და შესაბამისი საქმიანობის შესახებ კვლევების არ არსებობამ, არასისტემურმა და არაარგუმენტირებულმა დამოკიდებულებამ შესაძლოა შეაფერხოს აღნიშნული ინსტიტუტების მიერ ქვეყნისთვის არსებითად მნიშვნელოვანი საქმიანობა და საფინანსო ორგანიზაციების



წინადადებების გაუაზრებლად მიღებამ ქვეყნის განვითარებას მნიშვნელოვანი ზიანი მოუტანოს.

განვითარებადი ქვეყნების უმრავლესობაში საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციების გადაწყვეტილებათა მიმართ ადგილობრივი მთავრობების უაპელაციო მიდგომაა დამკვიდრებული. ასეთი მიდგომა, ხშირად, სწორედ აღნიშნულ ქვეყნებს აზარალებს. ხსენებული ტენდენცია ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრობლემაა, რომელზეც არაერთი უცხოელი მკვლევარი ამახვილებს ყურადღებას. ამ ტენდენციის საპირისპიროდ გვაქვს ისეთი შემთხვევებიც, როდესაც განვითარებადმა ქვეყნებმა დასაბუთებული წინააღმდეგობა გაუწიეს საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების ცალკეულ გადაწყვეტილებებს, ან შესთავაზეს დახმარებების გადანაწილების უფრო ეფექტური მოდელები. თანამედროვე ეკონომიკური რეალობა სავსეა ისეთი მაგალითებითაც, როდესაც საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების გადაწყვეტილებებს ალტერნატივებს ვერ უძებნიდნენ და ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების ნაცვლად მნიშვნელოვანად დააზარალებს საკუთარი ქვეყნის ეკონომიკა.

ერთ-ერთი სერიოზული პრობლემაა საზოგადოების ნაკლები ინფორმირებულობა. აღნიშნული პრობლემა იწვევს სამოქალაქო საზოგადოების, კერძო სექტორის ნაკლებ ჩართულობას ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ პროცესებში. საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციების პრიორიტეტების, საქმიანობის შესახებ არაინფორმირებულობა აფერხებს კერძო სექტორის მხრიდან ეფექტური ბიზნეს პროექტების შემუშავებას, ამცირებს დაფინანსების და განხორციელების შანსს. საზოგადოების ფართო სპექტრის ინფორმირებისა და ჩართულობის ხარისხის ასამაღლებლად მნიშვნელოვანი ნაბიჯები დღემდე არ გადადგმულა.

წარმოდგენილი პრობლემატიკა თვალსაჩინოს ხდის ისეთი კვლევის აუცილებლობას, რომელიც მიმართული იქნება საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების პრიორიტეტებისა და პოლიტიკის გააზრებაზე. თუ გავანალიზებთ ჩვენს მიერ წამოჭრილ პრობლემატიკას, მას აქვს წარმოშობის და განვითარების სამი დონე. კერძოდ:

პირველი დონე - პრობლემის წინაპირობა:

- არ არის შესწავლილი საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების პოლიტიკა და პრიორიტეტები რეგიონულ კონტექსტში და კონკრეტულად ქვეყანასთან (საქართველო) მიმართებაში;
- საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების საქმიანობის, მისი შედეგების შეფასებისას ძირითადი აქცენტი კეთდება სტატისტიკურ მონაცემებზე, მათ წარმატებებსა და შეცდომებზე. არ არის გათვალისწინებული არსებითად მნიშვნელოვანი კომპონენტი - ქვეყნის მზაობა საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების სტრატეგიის ეფექტურად გამოყენებისთვის;
- არ არის შემუშავებული საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებთან თანამშრომლობის, პარტნიორობის ერთიანი სტრატეგია.

მეორე დონე - პრობლემა:

- საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების პოლიტიკის, პრიორიტეტებისა და შესაბამისი საქმიანობის მიმართ არსებობს არასისტემური და არაარგუმენტირებული, ხანდახან უაპელაციო დამოკიდებულება.
- არ არის წინასწარ შესწავლილი და გაცნობიერებული საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციების ინიციატივების მოკლევადიანი, საშუალოვადიანი ან გრძელვადიანი შედეგები.

მესამე დონე - პრობლემის შედეგები:

- ფერხდება აღნიშნული ინსტიტუტების მიერ ქვეყნისთვის არსებითად მნიშვნელოვანი საქმიანობა; განხორციელებული პროექტები ხშირად არ იძლევა მოსალოდნელ შედეგს;

- საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების წინადადებების გაუაზრებლად მიღებამ ქვეყნის განვითარებას შესაძლოა ზიანი მოუტანოს.

კვლევის მიზანია: შესწავლილ იქნას, გაანალიზდეს და გაიზომოს საერთაშორისო საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების საქმიანობა კავკასიის რეგიონსა და საქართველოში; შეფასდეს არსებული სტრატეგია და განისაზღვროს საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების დახმარების ეფექტურად გამოყენების გზები; შემუშავდეს დასაფინანსებელი ბიზნეს პროექტების, წინადადებების, ინიციატივების წინასწარ შეფასების მოდელი.

თუ განისაზღვრება საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციების სტრატეგიათა ეფექტურად გამოყენების ტაქტიკა, იგი მნიშვნელოვნად სრულყოფს საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების მიმართ სამთავრობო და არასამთავრობო სექტორის, ბიზნესის სფეროს პოლიტიკას, შედეგზე ორიენტირებულს გახდის მას და აამაღლებს საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციების საქმიანობის ხარისხს.

თუ შემუშავდება პროექტების, წინადადებების, ინიციატივების წინასწარ შეფასების ინსტრუმენტი, იგი:

- საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების მიერ განსახორციელებელ პროექტებს ქვეყნისთვის გაცილებით სასარგებლო მიმართულებით წარმართავს;
- გამოიწვევს საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების გრძელვადიანი, საშუალოვადიანი და მოკლევადიანი სტრატეგიების მორგებას განვითარებადი ქვეყნების ინტერესებსა და პრიორიტეტებზე;

საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების პრიორიტეტებისა და საქმიანობის ანალიზის მიზნით კვლევა წარიმართა ორი მიმართულებით: 1. განხილულ იქნა საერთაშორისო კვლევები საერთაშორისო საფინანსო

ინსტიტუტებთან მიმართებაში. 2. შესწავლილ იქნა საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების ანგარიშები, მოხდა საფინანსო ინსტიტუტების პრიორიტეტული მიმართულებების შედარება კავკასიის რეგიონის ქვეყნებში (საქართველო, სომხეთსა და აზერბაიჯანში). კვლევისას ძირითადი აქცენტი გაკეთდა ისეთ ორგანიზაციებზე, როგორცაა: მსოფლიო ბანკი, ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი, აზიის განვითარების ბანკი და საერთაშორისო სავალუტო ფონდი (ნაწილობრივ).

საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების სტრატეგიის ეფექტურად გამოყენების გზების განსაზღვრისთვის, პირველ რიგში, საჭიროდ მივიჩნიეთ იმ კომპანიების წარმომადგენელთა გამოკითხვა, რომელთაც გარკვეული პარტნიორული ურთიერთობები ჰქონდათ საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებთან; ანგარიშებზე დაყრდნობით დამუშავდა საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების მიერ დაფინანსებული რამდენიმე წარმატებული და წარუმატებელი პროექტი.

კვლევის შედეგები და რეკომენდაციები მნიშვნელოვნად სრულყოფს საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების მიმართ სამთავრობო და არასამთავრობო სექტორის, ბიზნესის სფეროს სტრატეგიას, შედეგზე ორიენტირებულს გახდის მას და აამაღლებს საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციების საქმიანობის ხარისხს.

ნაშრომს განსაკუთრებულ პრაქტიკულ მნიშვნელობას ანიჭებს კვლევის ფარგლებში შემუშავებული მოდელი, რომელიც დანახარჯი-ეფექტიანობის მეთოდის გამოყენებით წინასწარ შეაფასებს ბიზნეს ინიციატივებს, პროექტებსა და წინადადებებს. ბუნებრივია, აღნიშნული მოდელი არსებით წვლილს შეიტანს ბიზნესის ადმინისტრირების დარგში. გარდა ამისა, მოდელი შეგვიძლია განვიხილოთ, როგორც საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციების

საქმიანობის ერთ-ერთი ინდიკატორი. შემუშავებული მოდელის ამ კუთხით გამოყენება:

1. საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების მიერ განსახორციელებელ პროექტებს ქვეყნისთვის გაცილებით სასარგებლო მიმართულებით წარმართავს;
2. გამოიწვევს საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების გრძელვადიანი და მოკლევადიანი სტრატეგიების მორგებას განვითარებადი ქვეყნების ინტერესებსა და პრიორიტეტებზე;
3. უფრო გამჭვირვალეს და სანდოს გახდის საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების საქმიანობას;

## თავი პირველი - სამეცნიერო ლიტერატურის მიმოხილვა, არსებული კვლევები საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების შესახებ

საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების საქმიანობის შესახებ მრავალი კვლევა, პუბლიკაცია და ანგარიში არსებობს. განსახილველად შევარჩიეთ ის ნაწილი, რომელიც არსებითია ჩვენი კვლევის პროცესისთვის, კვლევის შედეგების შეჯერებისა და რეკომენდაციების შემუშავებისთვის. გარდა ამისა, მნიშვნელოვნად მივიჩნიეთ, ჩვენი განხილვის ფარგლებში მოქცეულიყო სხვადასხვა პერიოდის შრომები.

იმ საერთაშორისო კვლევებს შორის, რომელთაც მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების შესწავლაში, განსაკუთრებული ადგილი უკავია ჯოზეფ სტიგლიცის ნაშრომს „გლობალიზაცია და მისი თანმდევი უკმაყოფილება“. პირველად წიგნი 2002 წელს დაიბეჭდა და გლობალიზაციის გარშემო მიმდინარე დებატებზე განსაკუთრებული გავლენა იქონია. მას შემდეგ იგი რამდენიმე ენაზე ითარგმნა. 2012 წელს წიგნი ქართულადაც გამოიცა. ნაშრომში განხილულია საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების საქმიანობა და მისი შედეგები განვითარებად ქვეყნებში. ჯოზეფ სტიგლიცი მოკლედ მიმოიხილავს საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციების შექმნის წინაპირობებსა და ისტორიას, საფინანსო ორგანიზაციების თავდაპირველ მიზანსა და ამ მიზნის დროთა განმავლობაში ცვლილებებს. ნაშრომის დიდი ნაწილი ეთმობა საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების ნაკლოვანებათა განხილვას. საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების გამჭვირვალობისა და ეფექტურობის ხარისხის ასამაღლებლად წიგნში წარმოდგენილია რეკომენდაციები.

ავტორის აზრით, საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციების მთავარი ნაკლი და მათი საქმიანობის რიგ შემთხვევებში არაეფექტურობის მიზეზი არის ის, რომ საერთაშორისო ორგანიზაციების დონეზე სათანადოდ არ არის შესწავლილი რეგიონებისა და შესაბამისი განვითარებადი ქვეყნების ინტერესები.<sup>1</sup> სტიგლიცი საფინანსო ორგანიზაციების მხრიდან საქმისადმი გულგრილ დამოკიდებულებაზეც საუბრობს. მოჰყავს რა ფაქტები, ავტორი ასკვნის, რომ საფინანსო ორგანიზაციები ხანდახან რეგიონში არსებულ სიტუაციას ხელოვნურად ამძიმებენ.<sup>2</sup>

ჯოზეფ სტიგლიცის მეტად კრიტიკულმა და გარკვეულწილად სუბიექტურმა კვლევამ წამოჭრა ისეთი საკითხები, რომელიც მანამდე დღის წესრიგში არ დამდგარა. ამდენად, მიუხედავად იმისა, რომ გარკვეულ საკითხებში მისი მოსაზრებები საკამათოა, ჯოზეფ სტიგლიცის ნაშრომი მსოფლიო ბესტსელერად იქცა და საფუძველი ჩაუყარა საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების ფართომასშტაბიანი და მრავალმხრივი კვლევის შემდგომ პროცესებს.

ქვეყნების ეკონომიკური განვითარების მოდელების, ინვესტიციების, ასევე, ქვეყნებში საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების საქმიანობის შესახებ საკმაოდ საინტერესო ფაქტების ანალიზს გვთავაზობს პოლ ჰერსტი და გრემ ტომპსონი ნაშრომში „გლობალიზაცია - კრიტიკული ანალიზი“. აღნიშნული წიგნი ქართულ ენაზე 2005 წელს გამოიცა.

---

1.სტიგლიცი, ჯოზეფ, გლობალიზაცია და მისი თანმდევი უკმაყოფილება, თბილისი, 2012

2.სტიგლიცი, ჯოზეფ, გლობალიზაცია და მისი თანმდევი უკმაყოფილება, თბილისი, 2012

ნაშრომი ეხება ე.წ. „გლობალიზებული ეკონომიკისა“ და საერთაშორისო ბიზნესთან დაკავშირებულ საკითხებს, სხვადასხვა ტიპის ბიზნეს სტრატეგიებს, გლობალიზაციისა და საერთაშორისო ეკონომიკის ისტორიის ჭრილში წარმოდგენლია ტრანსნაციონალური კომპანიების არსი. ავტორები ვრცლად განიხილავენ საერთაშორისო ფინანსური ბაზრების განვითარებას და გლობალიზაციის გავლენას ეროვნული ეკონომიკის სისტემებზე.

ჩვენი კვლევისთვის არსებითია ნაშრომში წარმოდგენილი ვრცელი და არგუმენტირებული მსჯელობა განვითარებადი ქვეყნების ეკონომიკისა და გლობალიზაციაზე. ავტორები აკრიტიკებენ საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციების პოლიტიკას განვითარებადი ქვეყნების მიმართ აზიური ქვეყნების კრიზისის მაგალითზე.

პოლ ჰერსტი და გრემ ტომპსონი, აფასებენ რა საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების საქმიანობას, მათი რეფორმის აუცილებლობაზეც საუბრობენ. „მთავარ ინსტიტუტებს რეფორმა სჭირდებათ.“<sup>3</sup> სსფ-ისა და მსოფლიო ბანკის რაციონალიზაცია და მათი ერთ ზესახელმწიფოებრივ ორგანიზაციად წარმოდგენა შესაძლოა ადვილად განსახორციელებლად მოგვეჩვენოს, მაგრამ რეალურად, ამ შემთხვევაში გაერთიანებასა და ძალაუფლებას სრულიად სხვადასხვა ფუნქციები მიენიჭება“<sup>4</sup> აღნიშნული მსჯელობის პარალელურად ავტორები საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების რეფორმირების გზებს გვთავაზობენ.

---

<sup>3</sup> ჰერსტი, პოლ, ტომპსონი, გრემ, გლობალიზაცია, კრიტიკული ანალიზი, თბილისი, 2005, გვ 253

<sup>4</sup> ჰერსტი, პოლ, ტომპსონი, გრემ, გლობალიზაცია, კრიტიკული ანალიზი, თბილისი, 2005, გვ 253



ავტორთა აზრით, „წარმატების მიღწევის ყველაზე საუკეთესო გზა იქნებოდა განვითარების სტრატეგიაში კონკურენციის წახალისება, მსოფლიო ბანკის რადიკალური კონკურენტის შექმნა (Unger 1996), ეს განვითარებადი ქვეყნების მთავრობებს მისცემდა შესაძლებლობას, რომ მსოფლიო ბანკის მიერ პოლიტიკური გადაწყვეტილებების დიქტატორული ხასიათი და მისი სესხების პირობებად გამოყენების შეეზღუდა.“<sup>5</sup> ავტორები, ასევე, კრიტიკულად უდგებიან საერთაშორისო სავალუტო ფონდს. „რაც შეეხება მსოფლიო ბანკის მეგობარ ორგანიზაციას, სსფ-ს, აქ რეფორმირების საჭიროებასთან დაკავშირებით კიდევ უფრო მკაცრი და მნიშვნელოვანი მოთხოვნებია. გვჭირდება თუ არა „უკანასკნელი მსესხებელი“ საერთაშორისო დონეზე?“<sup>6</sup>. პოლ ჰერსტი და გრემ ტომპსონის აზრით, სავალუტო საფინანსო ორგანიზაციის საჭიროება ეჭვქვეშ არ დგას იმ შემთხვევაში, თუ „სსფ-ს მიერ სამომავლო განვითარებისთვის ფონდების მიწოდების პირობა არის არასტაბილურობის წინააღმდეგ მიმართული ეროვნული პოლიტიკის წახალისება“<sup>7</sup>, ან იმ შემთხვევაში, თუ „სსფ-ის პოლიტიკა მიმართულია ვაჭრობისათვის ლიკვიდური საშუალებების მიწოდებისა და ადგილობრივი გამოშვების მაქსიმიზაციისაკენ“.<sup>8</sup> ავტორები მიიჩნევენ, რომ ამ კუთხით სავალუტო საფინანსო ორგანიზაციამ აზიაში სრულიად განსხვავებული

---

<sup>5</sup> ჰერსტი, პოლ, ტომპსონი, გრემ, გლობალიზაცია, კრიტიკული ანალიზი, თბილისი, 2005, გვ 253

<sup>6</sup> ჰერსტი, პოლ, ტომპსონი, გრემ, გლობალიზაცია, კრიტიკული ანალიზი, თბილისი, 2005, გვ 253

<sup>7</sup> ჰერსტი, პოლ, ტომპსონი, გრემ, გლობალიზაცია, კრიტიკული ანალიზი, თბილისი, 2005, გვ 253

<sup>8</sup> ჰერსტი, პოლ, ტომპსონი, გრემ, გლობალიზაცია, კრიტიკული ანალიზი, თბილისი, 2005, გვ 253

პოლიტიკა გაატარა და, რომ არა სამხრეთ კორეის სტრუქტურების სიმტკიცე, აზიაში სიტუაცია უფრო დამძიმდებოდა.

საკვლევი თემატიკიდან გამომდინარე, ჩვენთვის არანაკლებ მნიშვნელოვანია საკითხები, რომელიც ეხება მსოფლიო ბაზრების მართვას, საერთაშორისო საფინანსო მართვის სპეციფიკას, საერთაშორისო საფინანსო მართვის რეჟიმებს, ვაჭრობის მართვას, ინვესტიციების რეგულირებას, ეკონომიკურ განვითარებასა და ეკონომიკური ტრანსფორმაციის მართვას.

კიდევ ერთი ნაშრომი, რომელიც განვითარებადი ქვეყნების მთავრობებსა თუ ბიზნეს სტრუქტურებს საინტერესო რეკომენდაციებს სთავაზობს, არის მაიკლ ლუისის წიგნი „ბუმერანგი“. ავტორი წარმოგვიდგენს სხვადასხვა ტიპის დავალიანების დაგროვების დროს მისი დაფარვის გზებს. ნაშრომი არ არის სამეცნიერო-კვლევითი ხასიათის, უფრო მეტიც, ის საკმაოდ პოპულარული ენითაა დაწერილი და ავტორის ერთგვარ შეხედულებებს მოიცავს. თუმცა, ჩვენი კვლევისთვის საყურადღებოა იმ ფაქტების ანალიზი, რომელსაც მაიკლ ლუისი აღწერს ირლანდიის, ისლანდიის, საბერძნეთის, გერმანიის შესახებ მსჯელობისას. „ბუმერანგი“ ქართულ ენაზე გამოიცა 2013 წელს საქართველოში აშშ-ის საელჩოს წიგნების თარგმნის პროგრამის ფარგლებში.

მაიკლ ლუისი ეკონომიკური კრიზის შესახებ საუბრისას საკმაოდ საინტერესო ფაქტებზე დაყრდნობით მსჯელობს. ამ კუთხით წარმოდგენილი მაგალითები (მაგ, ისლანდიის „ქეისი“) ძალიან ჰგავს საქართველოში, ცალკეულ ბიზნესთან მიმართებაში (მაგ. სამშენებლო ბიზნესთან) შექმნილ სიტუაციებს.

საინტერესოა ავტორის მსჯელობა საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების დახმარებების ეფექტიანობაზეც. „უმოკლეს ვადებში ბერძნული ობლიგაციების გაუფასურება ბაზარზე სულაც არ იყო გასაკვირი, რადგან საერთაშორისო სავალუტო ფონდი და ევროპის ცენტრალური ბანკი

შეთანხმდნენ, სესხად საბერძნეთისათვის გადაეცათ 145 მილიარდ აშშ დოლარამდე“. - აღნიშნავს საბერძნეთის კრიზისზე მსჯელობისას ავტორი და დასძენს, რომ ეს კეთილი ნების ჟესტი უფრო იყო, ვიდრე ხსნა იმ ქვეყნისთვის, რომელსაც 1.2 ტრილიონი დოლარი ვალი უკვე ჰქონდა.<sup>9</sup> ნაშრომში წარმოდგენილია კრიზისების მაპროვოცირებელი მიზეზები, რომელიც გარკვეულ რეკომენდაციადაც გამოდგება: თუ როდის და როგორ შეიძლება მიმართო საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებს, რომ დახმარება დაგვიანებული ან არაეფექტური არ იყოს.

საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების შესახებ საკმაოდ სიღრმისეულ დისკუსიას გვთავაზობს ჯორჯ გრეი ნაშრომში „საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციები: ბიბლიოგრაფია“. წიგნი გამოცემულია 2000 წელს Nova Science Publishers-ის მიერ.

ჯორჯ გრეის ნაშრომი ღირებულია იმ დებატების გამრავალფეროვნებისათვის, რომელიც საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების საქმიანობას შეეხება განვითარებადი ქვეყნების კუთხით. ავტორს ბევრი საკამათო არგუმენტი აქვს წარმოდგენილი, თუმცა ჩვენი კვლევისთვის საკმაოდ საინტერესო მასალას იძლევა.

განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს ჯორჯ გრეის დისკუსია საერთაშორისო სავალუტო ფონდისა და მსოფლიო ბანკის შესახებ.<sup>10</sup>

ავტორს საერთაშორისო სავალუტო ფონდისა და მსოფლიო ბანკის საქმიანობის განხილვას ორი მიმართულებით ავითარებს:

1. არის თუ არა აღნიშნული ორი საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტის ფუნქცია მდიდარი ქვეყნების ძალაუფლებისა და კეთილდღეობის გამყარება;

---

<sup>9</sup> ლუისი, მაიკლ, ბუმერანგი, მოგზაურობა ახალ მესამე სამყაროში, თბილისი 2013, გვ 60

<sup>10</sup> გრეი, ჯორჯ, „საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციები: ბიბლიოგრაფია“, Nova Science Publishers, 2000

2. რეალურად დაეხმარნენ თუ არა საერთაშორისო სავალუტო ფონდი და მსოფლიო ბანკი განვითარებად ქვეყნებს.

საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციების ანალიზის პარალელურად, ნაშრომი მოიცავს ბიბლიოგრაფიულ ნაწილს, რომელსაც სისტემაში მოყავს არსებული კვლევები, პუბლიკაციები და მონოგრაფიები საერთაშორისო ბანკინგზე, საერთაშორისო გარიგებების ბანკზე და აზიის განვითარების ბანკზე. აღნიშნული ტიპის ინფორმაცია კი, უდაოდ ღირებულია ნებისმიერი ტიპის კვლევისთვის, რომელიც საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებს შეეხება.

საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებზე მსჯელობისას უაღრესად საყურადღებოა უახლესი კვლევები. ამ მხრივ, საკმაოდ მნიშვნელოვან სტატიას გვთავაზობს რიჩარდ ბეარი. ბეარის სტატია „მსოფლიო ბანკი კონტროლს კარგავს“<sup>11</sup> მთლიანად აგებულია მსოფლიო ბანკის კრიტიკულ ანალიზზე, მიმოხილულია როგორც ბანკის შიდა პრობლემები, ისე ბანკის საერთაშორისო პროექტების მიზანშეწონილობა. „ათწლეულების მანძილზე განხორციელებულმა რეფორმებმა უმნიშვნელო შედეგი გამოიღო. გაუგებარი მიზნების მქონე და კორუმპირებულ მსოფლიო ბანკში წესრიგი ვერ დამყარდა“,<sup>12</sup> - აღნიშნავს ავტორი. როგორც ბეარი მიუთითებს, „პრობლემის ერთი ნაწილი ფილოსოფიურ ხასიათს ატარებს: არავის, დაწყებული ბოლო პრეზიდენტით, რობერტ ბელიკით, არასოდეს გარკვევით არ ჩამოუყალიბებია შეხედულება მსოფლიო ბანკის როლის შესახებ XXI საუკუნეში.“<sup>13</sup> პრობლემების მეორე ნაწილს ავტორი ორგანიზაციის სტრუქტურაში ხედავს. პრობლემების მესამე ნაწილს ბეარი კულტურას უკავშირებს, კერძოდ, „ბანკი

---

<sup>11</sup> ჟურნალი „ფორბსი“, ქართულენოვანი გამოცემა, 2012 წ, გვ 45

<sup>12</sup> ჟურნალი „ფორბსი“, ქართულენოვანი გამოცემა, 2012 წ, გვ 45

<sup>13</sup> ჟურნალი „ფორბსი“, ქართულენოვანი გამოცემა, 2012 წ, გვ 45

იმდენად ერიდება საკუთარი რეპუტაციის შებღალვას, რომ გაუცნობიერებლად მალავს ნებისმიერ პრობლემას, რომელიც შეიძლება ნეგატიურად აისახოს მის რეპუტაციაზე, იმის მაგივრად რომ მის გადაჭრას ეცადოს“.<sup>14</sup> გარდა საკუთარი შეხედულებებისა, ბიური სტატიაში გვთავაზობს სხვა ეკონომისტთა საინტერესო მოსაზრებებსაც: „ყველაზე ფუნდამენტურ დონეს მსოფლიო ბანკის სამანდატო პრობლემა აღწევს. ეკონომისტი ადამ ლერიკი, ორგანიზაციის დიდი ხნის კრიტიკოსი, ასაბუთებს, რომ ბანკმა მაშინ გადაუხვია თავდაპირველ გეზს, როდესაც მუშაობა დაიწყო საშუალო შემოსავლის მქონე ქვეყნებთან, „რომელთაც სინამდვილეში ფული არ სჭირდებათ“ - მაგალითად, ისეთ ქვეყნებთან, როგორცაა ბრაზილია, რუსეთი, ინდოეთი და ჩინეთი - ნაცვლად იმისა, რომ გაეგრძელებინა მუშაობა განვითარების პროექტებზე მსოფლიოს ყველაზე ლატაკი და ყველაზე ადვილად მოწყვლადი სახელმწიფოებისათვის.“<sup>15</sup>

მსოფლიო ბანკის მანდატის საკითხზე მსჯელობისას ავტორი რეზუმეს სახით გვთავაზობს მსოფლიო ბანკის დამოუკიდებელი კომისიის ხელმძღვანელის ერნესტო სედილიოს მოსაზრებას, „ნუთუ მართლა სჯერათ, რომ მსოფლიო ბანკი მართებული ორგანიზაცია იქნება 10, 15, ან 20 წლის შემდეგ, თუკი ასეთი გზით სიარულს გააგრძელებს?“

ქართულ სამეცნიერო პუბლიცისტიკაში საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების შესახებ ფუნდამენტური კვლევები ნაკლებად (თითქმის არ) მოიძებნება. აღნიშნული მიმართულებით კვლევების სიმწირის ფონზე აუცილებლად განსახილველია ვლადიმერ პაპავას ნაშრომი „საერთაშორისო სავალუტო ფონდი საქართველოში: მიღწევები და შეცდომები“. ვლადიმერ

---

<sup>14</sup> ჟურნალი „ფორბსი“, ქართულენოვანი გამოცემა, 2012 წ, გვ 45

<sup>15</sup> ჟურნალი „ფორბსი“, ქართულენოვანი გამოცემა, 2012 წ, გვ 45

პაპავა წიგნში დეტალურად, ფაქტებზე დაყრდნობით გვთავაზობს საკუთარ მოსაზრებებს საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ საქართველოში დაშვებულ შეცდომებსა თუ მიღწეულ წარმატებებზე. წიგნი გამოცემულია 2000 წელს და, ბუნებრივია, ეყრდნობა 2000 წლამდე არსებულ მონაცემებს; ამიტომ, ნაშრომით წარმოდგენილ დასკვნებს სრულად ვერ გავიზიარებთ. თუმცა, ნაშრომი ღირებულია კვლევის თანმიმდევრულობით, ტაქტიკით და 2000 წლამდე არსებული სტატისტიკური მონაცემების სიუხვით.

ვლადიმერ პაპავა აღნიშნავს, რომ „საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ საქართველოში დაშვებული სხვადასხვა შეცდომა განსხვავებული ბუნებისა და მნიშვნელობისაა. აქვე იმასაც უნდა გაესვას ხაზი, რომ ამ შეცდომების ნაწილი ზოგადი ხასიათისაა და ისინი დაშვებული იქნა ფონდის არა მარტო საქართველოში მუშაობისას, არმედ უფრო ფართო მასშტაბით - სხვა სახელმწიფოთა მიმართაც.“<sup>16</sup> ავტორის აზრით, საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ საქართველოში, და არა მხოლოდ საქართველოში დაშვებული შეცდომებს შორის მნიშვნელოვანია: მეთოდური და მეთოდოლოგიური შეცდომები, ტაქტიკური და პოლიტიკური შეცდომები, საგადასახადო პრობლემატიკა და ფასწარმოქმნის გაუთვალისწინებლობა, დაბნეულობითა და ტრაფარეტული მიდგომით, წაყრუებით და ლობირებით გამოწვეული შეცდომები, კომპეტენციის გადამეტებით გამოწვეული შეცდომები. ვლადიმერ პაპავა დაწვრილებით განიხილავს თითოეული ტიპის შეცდომას. მიუხედავად წარმოდგენილი შეცდომების სიმრავლისა, ვლადიმერ პაპავა საერთაშორისო სავალუტო ფონდს საქართველოს სტრატეგიულ პარტნიორს უწოდებს, „იგი ასეთად უნდა დარჩეს მაშინაც, როცა საქართველო „რევიპიენტი“ სახელმწიფოს როლს თავს დააღწევს, რადგანაც ჩვენს ქვეყანას

---

<sup>16</sup> პაპავა, ვლადიმერ, საერთაშორისო სავალუტო ფონდი საქართველოში: მიღწევები და შეცდომები, თბილისი, 2000, გვ 149

სხვა რეალური ალტერნატივა, გარდა იმისა, რომ იყოს ცივილიზებული სამყაროს განუყოფელი შემადგენელი ნაწილი არ გააჩნია.<sup>17</sup>

ვლადიმერ პაპავას ნაშრომი საშუალებას გვაძლევს ვიმსჯელოთ საქართველოსა და საერთაშორისო სავალუტო ფონდის ადრეული (10-11 წლის წინანდელი) პერიოდის ურთიერთობის ეფექტიანობაზე და შევადაროთ ის დღევანდელს.

საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების საქართველოში საქმიანობის შესწავლისთვის საინტერესოა ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების შეფასებები და დასკვნები. ამ მხრივ, ჩვენი ყურადღება მიიქცია არასამთავრობო ორგანიზაცია - „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო“-ს ანგარიშმა, სადაც საუბარია საჭიროებათა შეფასების ერთობლივ დოკუმენტზე, ამ დოკუმენტით განსაზღვრულ ანგარიშვალდებულებებსა და განკუთვნილ დახმარებებზე. არასამთავრობო ორგანიზაციის ანგარიშში წარმოდგენილია 2008 წლის ომის შემდგომი ეკონომიკური სიტუაცია საქართველოში და განხილულია საჭიროებათა შეფასების ერთობლივი დოკუმენტით განსაზღვრული რეაბილიტაციის გეგმა.

არასამთავრობო ორგანიზაცია საჭიროებათა შეფასების ერთობლივი დოკუმენტის მიმართ რამდენიმე არსებით შენიშვნას გამოთქვამს. როგორც წარმოდგენილ ანგარიშშია აღნიშნული, „საჭიროებათა შეფასების ერთობლივი დოკუმენტი დახურულ კარს მიღმა შეიქმნა,<sup>18</sup> „ისე, რომ საქართველოს განვითარების სტრატეგიის შემუშავების პროცესში საქართველოს პარლამენტს, პოლიტიკურ პარტიებს, კვლევით ორგანიზაციებს, ინტერესთა ჯგუფებს და

---

<sup>17</sup> პაპავა, ვლადიმერ, საერთაშორისო სავალუტო ფონდი საქართველოში: მიღწევები და შეცდომები, თბილისი, 2000, გვ 149

<sup>18</sup> საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო, „საქართველოსთვის განკუთვნილი დახმარება გამჭვირვალობა, ანგარიშვალდებულება და საჭიროებათა შეფასების ერთობლივი დოკუმენტი“, თბ, 2008; გვ 9.

მედიას არანაირი მონაწილეობა არ მიუღიათ.“<sup>19</sup> არასამთავრობო ორგანიზაციას მნიშვნელობა აქვს გამჭვირვალობასთან, ანგარიშვალდებულების განსაზღვრასთან დაკავშირებითაც. საჭიროებათა შეფასების დოკუმენტი განხილულია ევროპის სამეზობლო პოლიტიკის კონტექსტშიც. საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო“-ს ანგარიში ჩვენი კვლევისთვის მნიშვნელოვანია რამდენიმე ასპექტით: 1. გავიაზროთ საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების საქმანობისას არასამთავრობო ორგანიზაციების, როგორც შემფასებლის ფუნქცია და როლი; 2. გავაცნობიეროთ საერთაშორისო ორგანიზაციების შესახებ ინფორმირებულობის საჭიროება. 3. განვსაზღვროთ სახელმწიფო სტრუქტურების, როგორც შუამავლის მნიშვნელოვანი როლი საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებთან ურთიერთობაში.

#### *დასკვნა*

ჩვენს მიერ განხილული კვლევები საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების როლსა და ფუნქციას, ძირითადად, განიხილავენ დაკისრებული მისიებიდან გამომდინარე. კრიტიკისას ძირითადი აქცენტი კეთდება საფინანსო ინსტიტუტების ბიუროკრატიულ სტრუქტურაზე, სტრატეგიების შემუშავების მეთოდისა და განვითარებად ქვეყნებში მათ შეცდომებზე, შეუსრულებელ დაპირებებზე. ჩვენი აზრით, აღნიშნული შეფასებები ცალმხრივია და არ ითვალისწინებს რამდენიმე მნიშვნელოვან ასპექტს.

---

<sup>19</sup>. საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო, „საქართველოსთვის განკუთვნილი დახმარება - გამჭვირვალობა, ანგარიშვალდებულება და საჭიროებათა შეფასების ერთობლივი დოკუმენტი“, თბ, 2008; გვ 10.



მიგვაჩნია, რომ:

1. საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციების განვითარებად ქვეყნებში საქმიანობის კვლევისას უნდა შევაფასოთ განვითარებადი ქვეყნების მზაობა - რამდენად არიან მზად გააზრებულად და მიზანმიმართულად მიიღონ დახმარებები;

2. საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების საქმიანობის ეფექტურობის განსაზღვრისას უნდა შევისწავლოთ - რამდენად შეძლო ამა თუ იმ ქვეყანამ გამოწვევების ეფექტურად გამოყენება;

ვფიქრობთ, საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების საქმიანობის შეფასებას წინ უნდა უძღოდეს მრავალმხრივი კვლევა, რომელიც არ იქნება დაფუძნებული მხოლოდ სტატისტიკურ მონაცემებზე, ან კონკრეტული „ქეისების“ ანალიზზე.

## თავი მეორე - საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების კვლევის მნიშვნელოვანი ასპექტები

### *კვლევის მეთოდოლოგია*

საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების შესახებ არსებული ადგილობრივი თუ საერთაშორისო კვლევების განხილვა ცხადყოფს, რომ საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების შესწავლა შემოიფარგლება მხოლოდ ცალკეული ასპექტებით, მათი სტრატეგიის, რეგიონების მიხედვით პრიორიტეტების გადანაწილების განხილვითა და „ქეისების“ ანალიზით. მკვლევართა ნაწილი ცდილობს საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების ზოგადი პოლიტიკის შესწავლას „ქეისების“ საფუძველზე. კვლევების ნაწილი მიმართულია სტატისტიკური მონაცემების გააზრებაზე.

ცხადია, რომ თითოეული მიმართულება არსებითია, თუმცა, არასაკმარისი საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების სრულფასოვანი და მრავალმხრივი კვლევისთვის. საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების კვლევის მიზანი არ უნდა იყოს მხოლოდ მათ მიერ გაწეული საქმიანობის განხილვა. ამავდროულად უნდა მოხდეს ისეთი რეკომენდაციებისა და მეთოდების შემუშავება, რომელიც წინასწარ შეაფასებს საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების წინადადებებს, ინიციატივებს და პროექტებს.

განვითარებად ქვეყნებში, მათ შორის, საქართველოში საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების საქმიანობისა და მისი ეფექტურობის განსაზღვრისთვის აუცილებელია: 1. იმ სტრატეგიის შესწავლა, რომელიც საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებს ზოგადად კავკასიის რეგიონში გააჩნიათ (საქართველო, სომხეთი, აზერბაიჯანი). 2. საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების პრიორიტეტების დადგენა თითოეული ქვეყნისთვის და მათი შედარებითი ანალიზი.

ბუნებრივია, კონკრეტული რეგიონული გამოცდილების საფუძველზე წარმოდგენილი დასკვნები სრულად ვერ ასახავს საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების საქმიანობის პრიორიტეტებს ყველა სხვა განვითარებადი ქვეყნის მიმართ. მაგრამ, რეგიონული კვლევა უფრო კონკრეტულ და რეალურ შედეგებს მოგვცემს, პირველ რიგში, რეგიონის თითოეული ქვეყნისთვის; გარდა ამისა, კავკასიის მაგალითზე შევძლებთ საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების სტრატეგიების განმსაზღვრელი ფაქტორების დადგენას სხვადასხვა რეგიონის მიმართ. საბოლოოდ მივიღებთ სურათს, რომელიც უმნიშვნელოვანესი იქნება საქართველოსა და საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების თანამშრომლობის უკეთესად გააზრებისა და შესწავლისათვის; წარმოდგენილი კვლევის დიზანი - შერეულია (თვისებრივი, რაოდენობრივი), ხოლო კვლევის მეთოდებისა და ქმედებების თანმიმდევრობა - კონგრუენტული (თვისებრივი და რაოდენობრივი მეთოდების ერთდროულად გამოყენება).

საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების საქმიანობის შესწავლისთვის აუცილებელია ერთდროულად გამოვიყენოთ:

- ქეისების ანალიზი
- მონაცემთა შეგროვება
- ინსტრუმენტირება (კითხვარები, ინტერვიუები)
- ექსპერტთა გამოკითხვა
- დანახარჯი- ეფექტიანობის ანალიზი

*„ქეისების“ ანალიზი და მონაცემთა სანდოობა*

კვლევის ფარგლებში „ქეისებად“ გამოყენებულია საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციების ანგარიშები. ანგარიშების, როგორც პირველწყაროს შესწავლა საშუალებას გვაძლევს გავაანალიზოთ საერთაშორისო ორგანიზაციების ანგარიში, როგორც თვითშეფასება და მის ფარგლებში ვისაუბროთ წარმატებებსა და შეცდომებზე;

კვლევის სპეციფიკიდან გამომდინარე, ყველა საჭირო მონაცემი გასაჯაროებულია სახელმწიფო სტრუქტურებში, ან თავად საერთაშორისო ორგანიზაციების ოფიციალურ ვებ. გვერდებზე. შესაბამისად, სახელმწიფო მონაცემები, ისევე, როგორც საერთაშორისო ორგანიზაციების ანგარიშები საკმარისი და სანდო ინფორმაციაა კვლევისთვის.

#### *ინსტრუმენტირება*

ძირითადი ნაწილი, რასაც ინსტრუმენტირება მოიცავს არსებული კვლევისათვის, არის სათანადო კითხვარების შედგენა და ინტერვიუების ორგანიზება. საჭირო კითხვარი შედგენილია კვლევის სპეციფიკის გათვალისწინებით. კითხვარის შედგენამდე განისაზღვრა რესპოდენტთა შერჩევისა და კითხვარის შედგენის კრიტერიუმები.

#### *ექსპერტთა გამოკითხვა*

კვლევისთვის ერთ-ერთი ყველაზე ღირებული მასალა ექსპერტთა გამოკითხვაა. ამ მხრივ, საინტერესოა, იმ ქართველ და უცხოელ ექსპერტთა

გამოკითხვა, რომელთაც გარკვეულ პერიოდში შეხება ჰქონიათ საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების საქმიანობასთან, ან საქმიანობის შეფასებასთან.

ასევე, ღირებულებად მიგვაჩნია, იმ ადამიანთა გამოკითხვა, რომელთაც საქმიანი კავშირი აქვთ საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებთან (მაგალითად, არიან დასაქმებული საერთაშორისო ორგანიზაციებში, ან მათ მიერ განხორციელებულ პროექტებში). ამ კუთხით შერჩეულ რესპოდენტთა ნაწილი მუშაობს საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციების საქართველოს, ბელორუსის, მოლდოვას, რუსეთის, აზერბაიჯანის, თურქეთის, სომხეთის, ტაჯიკეთის, ყირგიზეთის, უკრაინის წარმომადგენლობებში, ნაწილი - საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების სათაო ოფისებში.

კვლევის ფარგლებში არსებითად მიგვაჩნია იმ ბიზნეს კომპანიების მენეჯერთა გამოკითხვა, რომლებიც ჩართულნი იყვნენ საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციების სხვადასხვა პროექტებში (იღებდნენ მათგან დაფინანსებას, წილობრივ მონაწილეობას, კონსულტაციას და ა.შ.).

კვლევის პროცესის დასკვნითი ნაწილი გულისხმობს საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციების ინიციატივების, ბიზნეს გეგმების, პროექტების წინასწარი შეფასების მეთოდოლოგიის შემუშავებას.

ამ მხრივ, აუცილებლად მიგვაჩნია დანახარჯი-ეფექტიანობის მეთოდის გამოყენება, რომელიც წარმოდგენილია ჰენრი მ. ლევინისა და პატრიკ ჯ.მაკკევანის ნაშრომში „დანახარჯი-ეფექტიანობის ანალიზი: მეთოდები და გამოყენება“. ჰენრი მ. ლევინი და პატრიკ ჯ.მაკკევანი წარმოგვიდგენენ დანახარჯების ანალიზის ოთხ მეთოდს: დანახარჯი-ეფექტიანობის მეთოდი, დანახარჯი-სარგებლობის მეთოდი, დანახარჯი-სარგებლიანობის მეთოდი, დანახარჯი-შესრულებადობის მეთოდი.

დანახარჯი-ეფექტიანობის მეთოდის გამოყენება გულისხმობს ისეთ კომპონენტებს, როგორიცაა:

- მრავალატრიბუტიანი სარგებლობის ფუნქციის წარმოდგენა და შესაბამისი დახასიათება;
- სხვადასხვა პროგრამების სარგებლობის გაზომვის მეთოდების სათანადო განხილვა;
- დისკუსიას იმის თაობაზე, თუ რისი სარგებლიანობის გაზომვაა მიზანშეწონილი;
- დანახარჯი-ეფექტიანობის ნორმის გამოთვლის გზები და მისი გამოყენება პროგრამების რანჟირებისათვის;

კვლევის ფარგლებში შემუშავებული მოდელი წარმოდგენილ კომპონენტებს მეთოდოლოგიურად ეყრდნობა.

თემაში წარმოდგენილი ძირითადი საკვლევი საკითხებია:

1. რამდენად ეფექტიანია საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების საქმიანობა საქართველოში (საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების გადაწყვეტილებები, საქართველოს მზაობა გადაწყვეტილებებზე);
2. რა განსაზღვრავს საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების საქმიანობის ეფექტიანობას საქართველოში;
3. შესაძლებელია თუ არა შემუშავდეს მოდელი, რომელიც უზრუნველყოფს ქვეყნების მხრიდან საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების მიერ დაფინანსებული პროექტების ეფექტიანობის ამაღლებას;

*მსოფლიო ბანკის (IBRD, IDA) პროექტების ფინანსური და რაოდენობრივი ანალიზი საქართველოში, სომხეთსა და აზერბაიჯანში*

რეგიონის ქვეყნებში საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების მიერ განხორციელებულ პროექტებზე საუბრისას მნიშვნელოვანია გაანალიზებულ იქნას იმ პროექტების რაოდენობრივი და ფინანსური მაჩვენებლები, რომლებიც საქართველოში, სომხეთსა და აზერბაიჯანში მსოფლიო ბანკის და განვითარების საერთაშორისო ასოციაციის ფარგლებში (IDA) იქნა განხორციელებული.

იმისათვის, რომ პროექტის ფინანსური თუ რაოდენობრივი მაჩვენებლები დინამიკაში დავინახოთ, საჭიროა რამდენიმე წლის განმავლობაში განხორციელებულ პროექტებზე დაკვირვება. შესაბამისად, დაკვირვების პერიოდად განისაზღვრა 2009-2012 წლები და მსოფლიო ბანკის მიერ ოფიციალურად გაცხადებული მაჩვენებლები 2013 წლის ორი კვარტლის შემდგომ პერიოდში.

უნდა აღინიშნოს, რომ კავკასიის რეგიონის (საქართველო, სომხეთი, აზერბაიჯანი) მიმართ მსოფლიო ბანკის (IBRD, IDA) პოლიტიკა და საქმიანობა საკმაოდ დინამიურია განსაკუთრებით იმ სფეროებში, რომელიც პოტენციურად საინტერესოა მსოფლიო ბანკის საქმიანობისათვის. აღნიშნული სფეროებიდან უპირატესი ინფრასტრუქტურაა, რომელიც კარგ მდგომარეობაში ნამდვილად არ არის და რეგიონის ყველა ქვეყნისთვის მნიშვნელოვანია, როგორც სოციალური, ისე ბიზნესის განვითარების მიმართულებით.


უფრო დეტალურად განვიხილოთ მსოფლიო ბანკის მიერ განხორციელებული პროექტების რაოდენობრივი და ფინანსური მაჩვენებლები

ჯერ ცალკეული ქვეყნების (საქართველო, სომხეთი, აზერბაიჯანი) დონეზე და შემდგომ გავაკეთოთ მისი შედარებითი ანალიზი.

### საქართველო

კვლევაში 2009-2013 წლების მაჩვენებლებია მოცემული, რომელიც პროცესების დინამიკაში ანალიზის საშუალებას მოგვცემს.

პირველ რიგში, გადავხედოთ მსოფლიო ბანკის მიერ 2009-2013 წლების განმავლობაში საქართველოში განხორციელებული პროექტების რაოდენობრივი მაჩვენებელს:



დიაგრამა 1, წყარო: მსოფლიო ბანკი

დიაგრამიდან ჩანს, რომ მხოლოდ 2011 წელი შეიძლება ჩაითალოს ნაკლებ აქტიურად საქართველოს და მსოფლიო ბანკის ურთიერთობაში. სხვა დანარჩენ პერიოდში აქტივობა მაღალია.


დინამიურობის განხილვისთვის პროექტების რაოდენობრივი ანალიზი საკმარისი არ არის. კიდევ უფრო მნიშვნელოვანი კომპონენტია პროექტების ფინანსური უზრუნველყოფის შესწავლა: კერძოდ, რა მოცულობის პროექტებია დაფინანსებული მსოფლიო ბანკის მხრიდან. აღნიშნული შედარება, უფრო



სრულყოფილ წარმოადგენს რეგიონის ქვეყნებში მსოფლიო ბანკის მიერ განხორციელებულ საქმიანობას.

შინაარსობრივად მსოფლიო ბანკის პროექტების დიდი ნაწილი საქართველოს შემთხვევაში მიმართულია რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მოწესრიგების მიმართულებით (დეტალური ინფორმაციისათვის იხილეთ მსოფლიო ბანკის დოკუმენტი INTERNATIONAL BANK FOR RECONSTRUCTION AND DEVELOPMENT AND THE INTERNATIONAL DEVELOPMENT ASSOCIATION AND INTERNATIONAL FINANCE CORPORATION COUNTRY PARTNERSHIP STRATEGY FOR GEORGIA For the Period FY 10-FY 13 August 1 1,2009). პროექტების საერთო მოცულობაში დიდი წილი უჭირავს აღმოსავლეთ-დასავლეთის მაგისტრალის მოწესრიგებას, რაც ქვეყნისათვის სასიცოცხლოდ ღირებული და მნიშვნელოვანი პროექტია.

შევისწავლოთ მსოფლიო ბანკის მიერ 2009-2013 წლებში საქართველოში განხორციელებული პროექტების ფინანსური მაჩვენებელი:



დიაგრამა 2, წყარო: მსოფლიო ბანკი

დიაგრამა ხაზს უსვამს ერთ ტენდენციას: მიუხედავად იმისა, რომ მსოფლიო ბანკის მიერ 2009-2010-2012 წელს თანაბარი ოდენობის პროექტები განხორციელდა საქართველოში, წლების მიხედვით დაფინანსების მოცულობა ერთმანეთისაგან საკმაოდ განსხვავებულია (დეტალური ინფორმაციისათვის იხილეთ მსოფლიო ბანკის დოკუმენტი The World Bank Group - Georgia Partnership Country Program Snapshot, April 2013). ასევე, საინტერესოა ის ფაქტიც, რომ მსოფლიო ბანკის მიერ საქართველოში 2011 წელს - ორი, 2013 წლის


განახლებული მონაცემების მიხედვით კი, უკვე სამი პროექტია დაფინანსებული. თუმცა, 2011 წელს მსოფლიო ბანკის მიერ ორ პროექტზე გამოყოფილ იქნა გაცილებით მეტი თანხა, ვიდრე ეს 2013 წელს სამი პროექტისთვის ფიქსირდება.

თანხობრივი მაჩვენებლის მიხედვით მსოფლიო ბანკის მიერ საქართველოში განხორციელებული პროექტების პიკი იყო 2010 წელი. აღნიშნულ პერიოდში გამოყოფილი დაფინანსება მნიშვნელოვნად აღემატება სხვა წლების ანალოგიურ მაჩვენებელს.

### *სომხეთი*

უნდა აღინიშნოს, რომ მსოფლიო ბანკი საკმაოდ აქტიურად თანამშრომლობს სომხეთთან ქვეყნისათვის საჭირო სხვადასხვა პრიორიტეტული მიმართულებით.

გადავხედოთ მსოფლიო ბანკის მიერ 2009-2012 წლების განმავლობაში სომხეთში განხორციელებული პროექტების რაოდენობრივ მაჩვენებელს (2013 წლის ორი კვარტლის მონაცემებში, საქართველოსგან განსხვავებით, მსოფლიო ბანკი სომხეთს არ მოიხსენიებს):



დიაგრამა 3, წყარო: მსოფლიო ბანკი

(დეტალური ინფორმაციისათვის იხილეთ მსოფლიო ბანკის დოკუმენტი - The World Bank Group - Armenia Partnership Country Program Snapshot, April 2013)

2009-2012 წლების მონაცემების ანალიზიდან ნათლად ჩანს, რომ მსოფლიო ბანკისათვის (IBRD, IDA) სომხეთში განხორციელებული პროექტების რაოდენობრივი მაჩვენებლის მიხედვით ყველაზე აქტიური 2009 წელი იყო.


მსოფლიო ბანკმა სწორედ 2009 წელს განახორციელა 7 პროექტი სომხეთში. შედარებისათვის უნდა აღინიშნოს, რომ 2009 წელს მსოფლიო ბანკს საქართველოში მხოლოდ ოთხი პროექტი აქვს განხორციელებული.

2009 წლის შემდგომ 2010-2011 წლებში მსოფლიო ბანკმა სომხეთში 6-6 (სულ 12) პროექტი განახორციელა, რაოდენობრივი კუთხით საქართველოში მსოფლიო ბანკმა 2010 წელს 4 პროექტი, ხოლო 2011 წელს მხოლოდ ორი პროექტი განახორციელა (აღნიშნულ საკითხზე მეტი ინფორმაციისათვის იხილეთ მსოფლიო ბანკის დოკუმენტი INTERNATIONAL BANK FOR RECONSTRUCTION AND DEVELOPMENT INTERNATIONAL DEVELOPMENT ASSOCIATION INTERNATIONAL FINANCE CORPORATION COUNTRY PARTNERSHIP STRATEGY FOR THE REPUBLIC OF ARMENIA For the Period of FY09-FY12 May 12, 2009)

მსოფლიო ბანკის მიერ განხორციელებული პროექტების რაოდენობრივი მაჩვენებლის შედარებითი ანალიზით თუ ვიმსჯელებთ, 2012 წელი სომხეთში შედარებით პასიური იყო, ვინაიდან მხოლოდ ხუთი პროექტი განხორციელდა. თუმცა, აქვე უნდა მივუთითოთ რომ, საქართველოში 2009-2012 წლების განმავლობაში მსოფლიო ბანკის მიერ ოთხ პროექტზე მეტი არც ერთ წელს არ განხორციელებულა.

სრული ანალიზისათვის შევადაროთ მსოფლიო ბანკის მიერ განხორციელებული პროექტების ფინანსური მოცულობები სომხეთსა და საქართველოში ერთსადაიმავე პერიოდში.

გადავხედოთ მსოფლიო ბანკის მიერ 2009-2012 წლების განმავლობაში სომხეთში განხორციელებული პროექტების ფინანსურ მაჩვენებელს:



დიაგრამა 4, წყარო: მსოფლიო ბანკი

დიაგრამიდან ჩანს, რომ სომხეთში მსოფლიო ბანკის მიერ ყველაზე მსხვილი დაფინანსება განხორციელდა 2011 წელს (მიუხედავად იმისა, რომ მსოფლიო ბანკის მიერ სომხეთში ყველაზე მეტი პროექტი (7) 2009 წელს განხორციელდა). 2011 წელს დაფინანსების მოცულობამ 163 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა შედარებისათვის უნდა აღინიშნოს, რომ მსოფლიო ბანკის მიერ საქართველოში 2011 წელს დაფინანსებული პროექტების საერთო ღირებულება 95 მილიონ აშშ დოლარს არ აღემატებოდა.

სხვა სურათია 2009 წლის მონაცემებით. აღნიშნულ წელს სომხეთში მსოფლიო ბანკმა შვიდი პროექტის განხორციელებისათვის 131.5 მილიონი აშშ დოლარი დახარჯა, მაშინ, როდესაც საქართველოში ამავე წელს მსოფლიო


ბანკმა განახორციელა მხოლოდ ოთხი პროექტი და პროექტების ჯამურმა დაფინანსებამ 170 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა.

2010 წელს სომხეთში მსოფლიო ბანკმა 6 პროექტი დააფინანსა. დაფინანსებული პროექტების საერთო მოცულობამ 147.6 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა. ამავე პერიოდში 2009 წლის მსგავსად, მსოფლიო ბანკმა საქართველოში მხოლოდ ოთხი პროექტი დააფინანსა, თუმცა, დაფინანსების საერთო მოცულობამ 290 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა.

2012 წელს სომხეთში მსოფლიო ბანკმა 2009-2012 წლებში ყველაზე ცოტა, ხუთი პროექტი დააფინანსა და ჯამურად 125.82 მილიონი აშშ დოლარი დახარჯა. ამავე წელს მსოფლიო ბანკმა საქართველოში კვლავ ოთხი პროექტი დააფინანსა და დაფინანსების ჯამურმა ოდენობა 213 მილიონი აშშ დოლარი იყო.

#### *აზერბაიჯანი*

მსოფლიო ბანკის მიერ 2009-2013 წლების განმავლობაში აზერბაიჯანში განხორციელებული პროექტების რაოდენობრივი მაჩვენებელი ასეთია:




დიაგრამა 5, წყარო: მსოფლიო ბანკი

დიაგრამიდან ჩანს, რომ აზერბაიჯანში მსოფლიო ბანკის მიერ განხორციელებული პროექტების რაოდენობის მიხედვით პიკი 2011 წელია და ეს მაჩვენებელი მხოლოდ სამს შეადგენს. შედარებისათვის გავიხსენოთ, რომ 2011 წელს მსოფლიო ბანკის მიერ სომხეთში ექვსი, ხოლო საქართველოში - ოთხი პროექტი განხორციელდა.

ზოგადად, აზერბაიჯანი მსოფლიო ბანკის მიერ განხორციელებული პროექტების რაოდენობრივი მაჩვენებლის მიხედვით მნიშვნელოვნად ჩამორჩება საქართველოსაც და სომხეთსაც. ოდნავ განსხვავებული სიტუაციაა მსოფლიო ბანკის მიერ განხორციელებული პროექტების ფინანსური მაჩვენებლის კუთხით (დეტალური ინფორმაციისათვის იხილეთ მსოფლიო ბანკის დოკუმენტი INTERNATIONAL BANK FOR RECONSTRUCTION AND DEVELOPMENT AND THE INTERNATIONAL DEVELOPMENT ASSOCIATION AND INTERNATIONAL FINANCE CORPORATION COUNTRY PARTNERSHIP STRATEGY FOR AZERBAIJAN For the Period FY 11-14 September 15, 2010).

განვიხილოთ მსოფლიო ბანკის მიერ 2009-2013 წლების განმავლობაში აზერბაიჯანში განხორციელებული პროექტების ფინანსური მაჩვენებელი:




დიაგრამა 6, წყარო: მსოფლიო ბანკი

წარმოდგენილი ციფრების ანალიზიდან ჩანს, რომ მსოფლიო ბანკმა ყველაზე დიდი დაფინანსება აზერბაიჯანში განახორციელა 2010 წელს და აღნიშნულმა თანხამ 241.6 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა. შედარებისთვის - 2010 წელს საქართველოში მსოფლიო ბანკის დაფინანსებამ შეადგინა 295 მილიონი აშშ დოლარი, ხოლო სომხეთში 147 მილიონ დოლარზე მეტი. თუმცა, რაოდენობრივად 2010 წელს საქართველოში განხორციელდა ოთხი, სომხეთში კი ექვსი პროექტი. მაშინ, როცა 2010 წელს მსოფლიო ბანკის მიერ აზერბაიჯანში მხოლოდ ერთი პროექტი იქნა განხორციელებული.

თუ 2013 წელს არ მივიღებთ მხედველობაში, აზერბაიჯანში 2009-2012 წლებში მსოფლიო ბანკის მიერ ყველაზე მცირე ინვესტიცია განხორციელდა 2012 წელს და დაფინანსებული თანხის მოცულობამ 50 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა (დეტალური ინფორმაციისათვის იხილეთ მსოფლიო ბანკის დოკუმენტი World Bank Group – Azerbaijan Partnership Program Snapshot, April 2013). სომხეთშიც

მსოფლიო ბანკის მიერ დაფინანსებული პროექტების ყველაზე მცირე თანხობრივი მაჩვენებელი დაფიქსირდა 2012 წელს და შეადგინა 125.82 მილიონი აშშ დოლარი, ხოლო საქართველოში დაფინანსების მინიმალური მოცულობა იყო 2011 წელს და შეადგინა 95 მილიონი აშშ დოლარი.

დაბოლოს, გავანალიზოთ მსოფლიო ბანკის მიერ საქართველოში, სომხეთსა და აზერბაიჯანში დაფინანსებული პროექტების ჯამური ფინანსური მაჩვენებელი 2009-2012 წლებში:



დიაგრამა 7, წყარო: მსოფლიო ბანკი

ჯამური მაჩვენებლებიდან ნათლად ჩანს, რომ ფინანსური თვალსაზრისით ყველაზე დიდი მოცულობის პროექტები მსოფლიო ბანკმა საქართველოში, ხოლო შემდეგ აზერბაიჯანში განახორციელა, სომხეთი ამ მაჩვენებლით მესამეა რეგიონის ქვეყნებს შორის. შესაბამისად, ფინანსური მაჩვენებლების გაანალიზება ნათლად გვაჩვენებს, რომ მხოლოდ პროექტების რაოდენობრივ მონაცემებზე დაყრდნობით (რომლის მიხედვითაც, რაოდენობრივად მსოფლიო ბანკს სომხეთში ყველაზე მეტი პროექტი აქვს განხორციელებული) მსოფლიო ბანკის რეგიონალური საქმიანობის შეფასება შესაძლოა არასწორი აღმოჩნდეს.




*ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკისა (EBRD) და აზიის განვითარების ბანკის (ADB) პრიორიტეტები რეგიონის ქვეყნებში*

კვლევისთვის მიზანშეწონილად მივიჩნიეთ ორი საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტის - ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკისა და აზიის განვითარების ბანკის ანგარიშების შედარებითი მიმოხილვა რეგიონში. საკვლევ პერიოდად ავირჩიეთ 2008-2012 წლები. პირველ რიგში იმიტომ, რომ აზიის განვითარების ბანკმა განსაკუთრებული აქტივობით საქმიანობა საქართველოში 2008 წლიდან დაიწყო. 2012 წელი კი გვაძლევს ისეთი ინფორმაციების მოპოვების საშუალებას, რომელთაც შესაძლოა დავეყრდნოთ როგორც უკვე ფაქტს, და არა ჯერ კიდევ შესასრულებელ გეგმას. ბუნებრივია, ამ კუთხით 2013 წლის მონაცემები უკვე აღარ გამოგვადგებოდა.

*საქართველო*

საქართველოში ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი (EBRD) პროექტებს მრავალი წელია ახორციელებს. ყველაზე არსებითი ჩვენი კვლევისა და სხვა საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებთან შედარებისთვის არის 2012 წელი.

გადავხედოთ EBRD-ის პრიორიტეტებს, 2012 წლის მონაცემების მიხედვით მიმდინარე პროექტებს საქართველოში და მათ წილობრივ მაჩვენებლებს სექტორების მიხედვით:



■ ინდუსტრია,  
კომერცია და

■ ენერგოსექტორი


დიაგრამა 8, წყარო: ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი

თვალსაჩინოა, რომ ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის უმთავრეს პრიორიტეტს საქართველოში საფინანსო ინსტიტუტები წარმოადგენს. EBRD სწორედ საფინანსო ინსტიტუტების საშუალებით, „გავლით“ ახორციელებს მიკრო, მცირე და საშუალო მეწარმეობის დაფინანსებას ქვეყანაში. მნიშვნელოვან წილს იკავებს ენერგოსექტორი. შედარებით მოკრძალებული წილი უკავია აგრობიზნესს, საკუთრებას, ტურიზმსა და ტელეკომუნიკაციებს. ამ მიმართულებით ბანკის პროექტების 13 პროცენტია განხორციელებული. თუმცა, ყველაზე მცირე წილი ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის პროექტებში ინფრასტრუქტურას უკავია, რაც უპირატესად მუნიციპალური ინფრასტრუქტურის განვითარებასა და ტრანსპორტის სექტორის გაუმჯობესებას უზრუნველყოფს.

რაც შეეხება აზიის განვითარების ბანკს (ADB), მიუხედავად იმისა, რომ აქტიურად მხოლოდ 2008 წლიდან ერთვება საქართველოში განსახორციელებელ პროექტებში, იგი მაინც ახერხებს საერთაშორისო

საფინანსო ინსტიტუტებს შორის ქვეყანაში ერთ-ერთი წამყვანი ადგილის დაკავებას.

შევისწავლოთ აზიის განვითარების ბანკის მიმდინარე პროექტები საქართველოში სექტორების მიხედვით:



დიაგრამა 9, წყარო: აზიის განვითარების ბანკი

აზიის განვითარების ბანკის პრიორიტეტების ანალიზისას ნათლად ჩანს, რომ ის აქცენტს უფრო მეტად აკეთებს არა კერძო, არამედ სახელმწიფო და მუნიციპალურ პროექტებზე.

აზიის განვითარების ბანკის პროექტებში წამყვანი ადგილი უკავია ტრანსპორტსა და საინფორმაციო საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გაუმჯობესებას. მეორე მნიშვნელოვანი მიმართულებაა წყალმომარაგება და სხვა მუნიციპალური ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება; პროცენტული

მაჩვენებლების მიხედვით აზიის განვითარების ბანკის პრიორიტეტებში მესამე ადგილზეა სახელმწიფო სექტორის მენეჯმენტი და მულტისექტორული განვითარება. ხოლო ფინანსური სექტორი, რომელიც ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკისათვის მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს, წილობრივად აზიის განვითარების ბანკის პროექტების დაახლოებით 8 პროცენტში ხვდება, ყველაზე მცირე წილი კი ADB-ის პროექტებში ენერგოსექტორს უკავია 4.15 პროცენტით.

### *სომხეთი*


საინტერესო და მნიშვნელოვანია საერთაშორისო საფინანსო ინტიტუტების პრიორიტეტების გამოკვეთა სომხეთში და მისი განხილვა საქართველოსთან მიმართებაში. მით უმეტეს, საქართველოსა და სომხეთს ინფრასტრუქტურული თუ ბიზნეს სექტორის მიმართულებით ხშირად მსგავსი პრობლემები აქვს. ასევე, საკმაოდ საინტერესოა სომხეთის გამოცდილება ქვეყანაში ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის მიერ განხორციელებული ინფრასტრუქტურული პროექტების მიმართულებით. ამ მხრივ, სომხეთში რამოდენიმე საინტერესო მაგალითია (მეტი ინფორმაციისათვის იხილეთ CASE UPGRADING THE YEREVAN METRO IN ARMENIA, 2010)

ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი სომხეთით დიდი ხანია დაინტერესდა, აზიის განვითარების ბანკი 2005 წლიდან ახორციელებს პროექტებს სომხეთში (მეტი ინფორმაციისათვის იხილეთ DOCUMENT OF THE EUROPEAN BANK FOR RECONSTRUCTION AND STRATEGY FOR ARMENIA As approved by the Board of Directors at its meeting on 29 May 2012). ამჟამად ორივე

საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტი საკმაოდ აქტიურად საქმიანობს სომხეთში. მათი პრიორიტეტები ამ შემთხვევაშიც განსხვავებულია.

შევადართ ის პრიორიტეტული მიმართულებები, რომლებსაც ორი მნიშვნელოვანი საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტი ახორციელებს ამ ქვეყანაში. (სომხეთის შემთხვევაშიც გამყენებულია 2012 წლის მონაცემები).

პირველ რიგში, გადავხედოთ ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის მიმდინარე პროექტებს სომხეთში სექტორების მიხედვით:



დიაგრამა 10, წყარო: ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი

ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის პრიორიტეტები სომხეთსა და საქართველოში ნაწილობრივ იდენტურია. აღნიშნული მსგავსება განსაკუთრებით იკვეთება ორი ძირითადი მიმართულებით:

- ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის პრიორიტეტი სომხეთშიც საფინანსო სექტორია, რომელიც თავის მხრივ მოიცავს მიკრო, მცირე და საშუალო ბიზნესების დაფინანსებას. იგი საფინანსო ინსტიტუტებს საკუთარი


პროექტების 46 პროცენტს უთმობს, საქართველოში ეს მაჩვენებელი 10 %-ით მეტია. მნიშვნელოვანია, რომ ბიზნესის დაფინანსების მიმართულებით სომხეთში ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის მიერ რამოდენიმე საინტერესო ქეისია შემოთავაზებული (მეტი ინფორმაციისათვის იხილეთ CASE SUPPORTING ARMENIAN PHARMACEUTICAL INDUSTRY, 2011)

- მსგავსი წილობრივი მაჩვენებელია ინდუსტრიის, კომერციისა და აგრობიზნესის მიმართულებითაც, რომელიც, თავის მხრივ, გულისხმობს ტურიზმსა და ტელეკომუნიკაციებს. ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი ამ მიმართულებით საკუთარი პროექტების 12 პროცენტს ახორციელებს სომხეთში, საქართველოში აღნიშნულ მიმართულებას 13 პროცენტისანი წილობრივი მაჩვენებელი აქვს.

გარკვეული განსახვავება ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის პრიორიტეტებში არის ენერჯეტიკისა და ინფრასტრუქტურის მიმართულებით. ბანკი სომხეთის ენერგოსექტორში საკუთარი პროექტების 21 პროცენტს მიმართავს, საქართველოში - 33 პროცენტს. სომხეთში ბანკს საკმაოდ საინტერესო ენერგოპროექტები აქვს განხორციელებული, რაც ქეისების ანალიზიდანაც ჩანს (მეტი ინფორმაციისათვის იხილეთ CASE ALTERNATIVE ENERGY FOR ARMENIA, 2006). ყველაზე დიდი განსხვავება საქართველოსა და სომხეთში მიმართულ დაფინანსებებს შორის არის ინფრასტრუქტურის მიმართულებით. ინფრასტრუქტურულ პროექტებში ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი სომხეთის შემთხვევაში საკუთარი პროექტების 20 პროცენტს მიმართავს. მაშინ, როდესაც საქართველოში ეს ციფრი ოთხი პროცენტით განისაზღვრება.

ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის პროექტების პარალელურად სომხეთში საკმაოდ მნიშვნელოვანი პროექტები ხორციელდება აზიის განვითარების ბანკის მიერ (ADB) (მეტი ინფორმაციისათვის იხილეთ Armenia: Country Operations Business Plan (2012-2013), Asian Development Bank, November 2011 და Armenia: Country Operations Business Plan (2008-2010), Asian Development Bank, November 2007). ამასთან, აზიის განვითარების ბანკის აქტიური თანამშრომლობა სომხეთში საქართველოსთან შედარებით უფრო ადრეულ წლებში იწყება (მეტი ინფორმაციისათვის იხილეთ Armenia: Economic Report and Interim Operational Strategy (2006-2009), Asian Development Bank, August 2006).

გავანალიზოთ აზიის განვითარების ბანკის მიმდინარე პროექტები სომხეთში შესაბამისი სექტორების მიხედვით:



დიაგრამა 11, წყარო: აზიის განვითარების ბანკი

ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის მსგავსად აზიის განვითარების ბანკის მიერ სომხეთსა და საქართველოში განხორციელებულ საქმიანობაში შესაძლებელია ნაწილობრივი მსგავსების აღმოჩენა (მეტი

ინფორმაციისათვის იხილეთ Armenia: Country Strategy and Program (2006-2011) - Final Review, Asian Development Bank, June 2012). აღწერილი მსგავსება განსაკუთრებით ჩანს სამი მიმართულებით:

- აზიის განვითარების ბანკი (ADB) სომხეთში საკუთარი პროექტების 58.41 პროცენტს ახორციელებს ტრანსპორტისა და საინფორმაციო საკომუნიკაციო მიმართულებით, საქართველოს შემთხვევაში ეს მაჩვენებელი 52 პროცენტს მცირედით აღემატება.
- აზიის განვითარების ბანკი სომხეთში 12.11 პროცენტს მიმართავს წყალმომარაგებისა და სხვა მუნიციპალური ინფრასტრუქტურისთვის. საქართველოს შემთხვევაში ეს მაჩვენებელი თითქმის 14 პროცენტია. აღსანიშნავია, რომ აზიის განვითარების ბანკთან შედარებით ინფრასტრუქტურის კუთხით გაცილებით მეტი პროცენტული მაჩვენებელი აქვს ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკს (20%). მაშინ, როდესაც იგივე ბანკის (EBRD) იგივე წილობრივი მაჩვენებელი საქართველოში მხოლოდ 4 %-ია.
- თითქმის მსგავსია მულტისექტორულ სფეროში განხორციელებული პროექტების პროცენტული მაჩვენებელი. თუ აზიის განვითარების ბანკი ამ მხრივ სომხეთში განსახორციელებელი პროექტების 12.75 პროცენტს მიმართავს, საქართველოს შემთხვევაში ეს ციფრი - 12.97 პროცენტს შეადგენს.

აზიის განვითარების ბანკის სტრატეგიული სხვაობა საქართველოსა და სომხეთთან მიმართებაში რამდენიმე ასპექტით ვლინდება. ზემოთ ჩამოთვლილი პრიორიტეტების გარდა, აზიის განვითარების ბანკი საქართველოში პროექტებს ახორციელებს კიდევ ორი მიმართულებით. ესენია სახელმწიფო სექტორის მენეჯმენტი და ენერგოსექტორი. ბანკს აღნიშნული მიმართულებებით სომხეთში პროექტები ჯერ არ განუხორციელება.



კიდევ ერთი პრიორიტეტი, რომელიც აზიის განვითარების ბანკს ორივე ქვეყანაში აქვს, ფინანსური სექტორია. ამ მხრივ, ბანკის მიერ ქვეყნებში განხორციელებული პროექტების ხვედრით წილში მნიშვნელოვანი სხვაობაა. აზიის განვითარების ბანკი სომხეთში საფინანსო სექტორის მიმართულებით მის მიერ განხორციელებული პროექტების 16.73 პროცენტს მიმართავს, საქართველოს შემთხვევაში კი ეს ციფრი მხოლოდ 8.21 პროცენტია (მეტი ინფორმაციისათვის იხილეთ Asian Development Bank and Armenia: Fact Sheet, April, 2013).

მიუხედავად განსხვავებებისა, ნათლად ჩანს, რომ თითქმის მსგავსი პრიორიტეტები ფიქსირდება როგორც ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის, ისე აზიის განვითარების ბანკის მხრიდან საქართველოსა და სომხეთთან მიმართებაში.


### *აზერბაიჯანი*

საქართველოსა და სომხეთისაგან განსხვავებით აზერბაიჯანი მდიდარია ბუნებრივი რესურსებით - ნავთობით, გაზით. ცხადია, მის მეზობლებთან შედარებით აზერბაიჯანს შეუძლია თუნდაც დასახელებული ბუნებრივი რესურსების რეალიზაციით მოიზიდოს მეტი ფინანსური რესურსი და მიმართოს იგი ინფრასტრუქტურის განვითარებაზე.

მიუხედავად ამისა, ინფრასტრუქტურისა თუ სხვა პრიორიტეტული კუთხით აზერბაიჯანი საკმაოდ აქტიურად თანამშრომლობს როგორც ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკთან, ისე აზიის განვითარების ბანკთან.

აზერბაიჯანში ორივე საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტი (ADB და EBRD) საკმაოდ აქტიურად ახორციელებს პროექტებს.

განვიხილოთ აზერბაიჯანში ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის მიმდინარე პროექტების წილობრივი მონაცემები სფეროების მიხედვით:



დიაგრამა 12: წყარო: ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი

ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის პრიორიტეტები აზერბაიჯანში ნაწილობრივ ჰგავს ბანკის პრიორიტეტებს საქართველოსა და სომხეთში (მეტი ინფორმაციისათვის იხილეთ DOCUMENT OF THE EUROPEAN BANK FOR RECONSTRUCTION AND DEVELOPMENT STRATEGY FOR AZERBAIJAN 2010 – 2013 As approved by the Board of Directors at its meeting on 7 December 2010).

ინდუსტრიის, კომერციისა და აგრობიზნესის სფეროებში, რომელიც, თავის მხრივ, გულისხმობს ტურიზმსა, ტელეკომუნიკაციებს, ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი აზერბაიჯანში საკუთარი პროექტების 10 პროცენტს მიმართავს, საქართველოში ეს ციფრი - 13 პროცენტით, ხოლო სომხეთში -12 პროცენტით განისაზღვრება.

ენერჯეტიკის სფეროში ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი აზერბაიჯანში საკუთარი პროექტების 30 პროცენტს მიმართავს, ეს


მაჩვენებელი ახლოსაა საქართველოს შესაბამის მაჩვენებელთან, რომელიც 33 პროცენტით განისაზღვრება. სომხეთში ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი ენერგოსექტორის მიმართულებით საკუთარი პროექტების მხოლოდ 21 პროცენტს მიმართავს.

საფინანსო ინსტიტუტებთან მიმართებაში ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის მიერ აზერბაიჯანში განხორციელებული პროექტის პროცენტული მოცულობა მნიშვნელოვნად განსხვავდება სომხეთისა და საქართველოს შესაბამისი მაჩვენებლისაგან. EBRD-ის პროექტების მხოლოდ 21 პროცენტია მიმართული აზერბაიჯანში საფინანსო სექტორზე, მაშინ როდესაც საქართველოში ეს მაჩვენებელი 50 პროცენტით, ხოლო სომხეთში კი 46 პროცენტით განისაზღვრება.

ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის მიერ აზერბაიჯანში განხორციელებული პროექტებიდან საკმაოდ მაღალი წილი (40 პროცენტი) ინფრასტრუქტურას ერგო. EBRD-ის მიერ ინფრასტრუქტურული პროექტების მიმართულებით აზერბაიჯანში რამოდენიმე წარმატებული ქეისია მოცემული (მეტი ინფორმაციისათვის იხილეთ CASE BRIDGING INNOVATION IN AZERBAIJANI ENTERPRISES, 2011). ყველაზე დიდი განსხვავება სომხეთისა და საქართველოს შესაბამის მაჩვენებლებს შორის სწორედ ამ მიმართულებაში ვლინდება. ინფრასტრუქტურაზე სომხეთში ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის მიერ განხორციელებულ პროექტების 20 პროცენტია მიმართული, ხოლო საქართველოში ეს მაჩვენებელი ყველაზე დაბალია და ოთხი პროცენტით განისაზღვრება.

აზერბაიჯანი ასევე მრავალმხრივ საქმიანობს აზიის განვითარების ბანკთან (ADB) (მეტი ინფორმაციისათვის იხილეთ Azerbaijan: Country Operations Business Plan (2011-2013), Asian Development Bank, June 2011). შევადაროთ 2012 წლის დეკემბრის მაჩვენებლების მიხედვით აზერბაიჯანისა და აზიის განვითარების ბანკის თანამშრომლობა, ერთი მხრივ, აზერბაიჯანისა და

ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის პრიორიტეტებს და მეორე მხრივ, აზიის განვითარების ბანკის მიერ საქართველოსა და სომხეთში განხორციელებულ ანალოგიურ მიმართულებებს განვიხილოთ აზიის განვითარების ბანკის მიმდინარე პროექტები აზერბაიჯანში სფეროების მიხედვით:



დიაგრამა 13, წყარო: აზიის განვითარების ბანკი.

აზიის განვითარების ბანკის პრიორიტეტებიც აზერბაიჯანში, სომხეთსა და საქართველოში ნაწილობრივ მსგავსია (მეტი ინფორმაციისათვის იხილეთ **Azerbaijan: Country Operations Business Plan (2012-2014), Asian Development Bank, September, 2012**). თუმცა, ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკისგან განსხვავებით, აზიის განვითარების ბანკის მიერ განხორციელებული პროექტების წილობრივი მაჩვენებლები ქვეყნების მიხედვით საკმაოდ განსხვავდება.

- აზიის განვითარების ბანკი (ADB) აზერბაიჯანში საკუთარი პროექტების 52.69 პროცენტს ახორციელებს ტრანსპორტისა და საინფორმაციო საკომუნიკაციო მიმართულებით. საქართველოს შემთხვევაში ეს მაჩვენებელი 52 პროცენტს მცირედით აღემატება, რაც შეეხება სომხეთს - დასახელებული მიმართულებით განხორციელებული პროექტები 58.41 პროცენტს შეადგენს.
- წყალმომარაგება და სხვა ინფრასტრუქტურული პროექტები აზერბაიჯანში აზიის განვითარების ბანკის საერთო პროექტების 28.18 პროცენტს შეადგენს, სომხეთში შესაბამისი მაჩვენებელი მცირედით აღემატება 12 პროცენტს, ხოლო საქართველოში თითქმის 14 პროცენტია. უნდა აღინიშნოს, რომ ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი აზერბაიჯანში (საქართველოსა და სომხეთისაგან განსხვავებით), გაცილებით მეტ ინფრასტრუქტურულ პროექტს ახორციელებს.
- აზიის განვითარების ბანკის პროექტებიდან აზერბაიჯანში საკმაოდ მცირე ნაწილი მოდის საფინანსო სექტორზე. განხორციელებული პროექტების საერთო მაჩვენებლიდან საფინანსო სექტორზე მოდის მხოლოდ 4.59 პროცენტი. აღსანიშნავია, რომ საქართველოში ეს მაჩვენებელი 8.21 პროცენტია, ხოლო სომხეთში - 16.73 პროცენტი.

საფინანსო სექტორის მიმართ აღნიშნული ტენდენცია ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის შემთხვევაშიც არ იცვლება. აღნიშნული ბანკიც აზერბაიჯანის საფინანსო სექტორისთვის გაცილებით ნაკლებ პროექტებს ახორციელებს.

აზიის განვითარების ბანკის მიერ აზერბაიჯანში განხორციელებული პროექტების დაახლოებით 13 პროცენტი მიმართულია ენერგოსექტორზე, აღსანიშნავია, რომ სომხეთში აზიის განვითარების ბანკს ენერგოსექტორის მიმართულებით პროექტები საერთოდ არ აქვს, ხოლო საქართველოში ამ მიმართულებით განხორციელებული პროექტების წილი 4.15 პროცენტია.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ენერგოსექტორში ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის განხორციელებული პროექტების უფრო დაბალ პროცენტული მაჩვენებელი აქვს აზერბაიჯანს, ვიდრე სომხეთს და საქართველოს.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მიმართულებაა სოფლის მეურნეობა. ამ მხრივ აზერბაიჯანში აზიის განვითარების ბანკი საერთოდ განხორციელებული პროექტების 1.53 პროცენტს მიმართავს (მეტი ინფორმაციისათვის იხილეთ Asian Development Bank and Azerbaijan: Fact Sheet, April, 2013). აღსანიშნავია ისიც, საქართველოსა და სომხეთის სოფლის მეურნეობაში აზიის განვითარების ბანკი პროექტებს საერთოდ არ ახორციელებს.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, საქართველოსგან განსხვავებით აზიის განვითარების ბანკის პრიორიტეტი არ აღმოჩნდა სახელმწიფო სექტორის მენეჯმენტი და ენერგოსექტორი. აზერბაიჯანში აზიის განვითარების ბანკის (ADB) არაპრიორიტეტული სფერო მხოლოდ სახელმწიფო სექტორის მენეჯმენტი აღმოჩნდა (მეტი ინფორმაციისათვის იხილეთ Azerbaijan: Validation of the Final Review of Country Operations, 2000–2011, Asian Development Bank, November 2012).

საქართველოში, სომხეთსა და აზერბაიჯანში აზიის განვითარების ბანკისა (ADB) და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის (EBRD) მიერ განხორციელებული პროექტები საკმაოდ საინტერესო და არსებითი დასკვნების გაკეთების საშუალებას იძლევა. კერძოდ:


1. მიუხედავად იმისა, რომ ორი საერთაშორისო საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტი ერთმანეთისგან დამოუკიდებლად საზღვრავს რეგიონის მიმართ სტრატეგიას, მათ თითქმის მსგავსი პრიორიტეტები აქვთ რეგიონში; აღნიშნული მიდგომა ვრცელდება წყალმომარაგების, ინფრასტრუქტურულ პროექტებზე,

ენერგოსექტორზე, ტრანსპორტსა და საინფორმაციო საკომუნიკაციო ტექნოლოგიებზე.

2. მიუხედავად იმისა, რომ რეგიონის ქვეყნებს ზოგიერთი მიმართულებით ხშირ შემთხვევაში მსგავსი პრობლემები აქვთ, საფინანსო ინსტიტუტების მიერ განხორციელებული პროექტების რაოდენობრივი მაჩვენებლები საქართველოს, სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის ზოგჯერ საგრძნობლად განსხვავებულია.

აუცილებელია, შევაჯეროთ აზიის განვითარების ბანკისა (ADB) და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის (EBRD) მიერ საქართველოს სომხეთსა და აზერბაიჯანში განხორციელებული პროექტების რაოდენობრივი და ფინანსური მაჩვენებლები.


აზიის განვითარების ბანკის მიერ საქართველოს, სომხეთსა და აზერბაიჯანში განხორციელებული პროექტების ფინანსური მაჩვენებლები 2012 წლის დეკემბრის მდგომარეობით ასეთია:



დიაგრამა 14, წყარო: აზიის განვითარების ბანკი

დიაგრამიდან ჩანს, რომ რეგიონში აზიის განვითარების ბანკის მიერ ფინანსური თვალსაზრისით ყველაზე დიდი პროექტები აზერბაიჯანში განხორციელდა, აზერბაიჯანის შემდგომ მოდის საქართველო. რეგიონში ფინანსური კუთხით ყველაზე მწირი პროექტები აზიის განვითარების ბანკმა სომხეთში განახორციელა.

შევისწავლოთ აზიის განვითარების ბანკის მიერ საქართველოს, სომხეთსა და აზერბაიჯანში განხორციელებული პროექტების რაოდენობრივი მაჩვენებლები 2012 წლის დეკემბრის მდგომარეობით:



დიაგრამა 15, წყარო: აზიის განვითარების ბანკი

თვალსაჩინოა, რომ აზიის განვითარების ბანკის მიერ საქართველოსა და აზერბაიჯანში განხორციელებული პროექტების რაოდენობრივი მაჩვენებელი




იგივეა. თუმცა, თანხობრივი მაჩვენებლის მიხედვით აზერბაიჯანში მეტი თანხაა დახარჯული არსებულ 18 პროექტზე, ვიდრე საქართველოში.

აზიის განვითარების ბანკის მიერ რეგიონში განხორციელებული პროექტების რაოდენობრივი და ფინანსური მაჩვენებლის მიხედვით ბოლო ადგილს იკავებს სომხეთი.

საინტერესო მდგომარეობაა რეგიონში ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის (EBRD) მიერ განხორციელებული პროექტების მხრივ. მნიშვნელოვან მონაცემებს იძლევა EBRD-ის მიერ რეგიონის ქვეყნებში ხელმოწერილი პროექტების რაოდენობა, მთლიანი პორტფელის ღირებულება და კერძო სექტორის წილი ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის მიერ რეგიონში განხორციელებული პროექტების პორტფელში.


გადავხედოთ ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის მიერ საქართველოში, სომხეთსა და აზერბაიჯანში ხელმოწერილი ოპერაციების რაოდენობას 2012 წლის დეკემბრის მდგომარეობით:



დიაგრამა 16, წყარო: ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი

ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის მონაცემებიდან ჩანს, რომ ბანკს საქართველოში ყველაზე მეტი ხელმოწერილი პროექტი აქვს, შემდგომ ადგილზეა აზერბაიჯანი და ბოლო პოზიციას იკავებს სომხეთი (მეტი ინფორმაციისათვის იხილეთ EBRD Factsheet about Georgia, June, 2013).

ხელმოწერილი პროექტების რაოდენობის ფონზე შევისწავლოთ ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის საქართველოში, სომხეთსა და აზერბაიჯანში არსებული პროექტების მთლიანი პორტფელი 2012 წლის დეკემბრის მდგომარეობით:




დიაგრამა 17, წყარო: ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი

მოუხედავად ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის მიერ რეგიონის ქვეყნებში ხელმოწერილი პროექტების რაოდენობრივი მაჩვენებლისა, ბანკის მიერ საქართველოს, სომხეთსა და აზერბაიჯანში განხორციელებული პროექტების მთლიანი პორტფელი განსხვავებულ სტატისტიკას იძლევა. დიაგრამიდან ჩანს, რომ ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკს რეგიონის ქვეყნებში განხორციელებული პროექტებიდან ყველაზე დიდი პორტფელი აზერბაიჯანს გააჩნია, მოუხედავად იმისა, რომ

აზერბაიჯანში საქართველოსთან შედარებით ხელმოწერილი პროექტების რაოდენობა შედარებით მცირეა.

ამასთან, აღსანიშნავია ისიც, რომ ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის მიერ სომხეთში განხორციელებული პროექტების საერთო პორტფელი მნიშვნელოვნად ჩამორჩება საქართველოსა და აზერბაიჯანში განხორციელებული პროექტების საერთო პორტფელის მაჩვენებელს (მეტი ინფორმაციისათვის იხილეთ EBRD Factsheet about Armenia, June, 2013).

გავანალიზოთ ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის საქართველოში, სომხეთსა და აზერბაიჯანში არსებული პროექტების მთლიან პორტფელში კერძო სექტორის წილი (პროცენტული მაჩვენებელი):




დიაგრამა 18, წყარო: ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის

მნიშვნელოვანია ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის მიერ რეგიონის ქვეყნებში განხორციელებული პროექტების პორტფელიდან კერძო სექტორის წილობრივი მაჩვენებლის შედარებითი ანალიზი.

აღსანიშნავია, რომ ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის (EBRD) მიერ რეგიონის ქვეყნებში განხორციელებული პროექტების საერთო პორტფელიდან კერძო სექტორის ყველაზე დიდი წილი მოდის სომხეთში - 90 პროცენტი, შემდგომ მოდის საქართველო - 82 პროცენტით და ბოლო ადგილს იკავებს აზერბაიჯანი - 43 პროცენტით.

მიუხედავად იმისა, რომ ყველაზე დიდი პორტფელი რეგიონის ქვეყნებში ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის მიერ განხორციელებულ პროექტებში აზერბაიჯანს უკავია, პორტფელის 57 პროცენტი მიმართულია არა კერძო, არამედ სახელმწიფო პროექტებზე (მეტი ინფორმაციისათვის იხილეთ EBRD Factsheet about Azerbaijan, June, 2013).

შევსწავლოთ ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის აქტიური ოპერაციების რიცხვი საქართველოს, სომხეთსა და აზერბაიჯანში 2012 წლის დეკემბრის მდგომარეობით:



დიაგრამა 19, წყარო: ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი

დიაგრამიდან ჩანს, რომ ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის აქტიური ოპერაციების მიხედვით რეგიონის ქვეყნებს დაახლოებით თანაბარი მაჩვენებელი აქვთ, თუმცა, საქართველოში ევროპის

რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის მიერ მიმდინარეობს სომხეთზე 11-ით მეტი, ხოლო აზერბაიჯანზე 16-ით მეტი აქტიური ოპერაცია.

მონაცემების მრავალმხრივი ანალიზის შედეგად ჩანს, რომ რაოდენობრივი მაჩვენებლის მიხედვით აზიის განვითარების ბანკის მიერ რეგიონის ქვეყნებში განხორციელებული პროექტები შედარებით თანაბარია საქართველოსა და აზერბაიჯანის შემთხვევაში, ხოლო სომხეთის შესაბამისი მაჩვენებელი საკმაოდ დაბალია.

იგივე მდგომარეობაა ფინანსური მაჩვენებლის მიხედვით. აზიის განვითარების ბანკის (ADB) მიერ განხორციელებული პროექტების ღირებულებით აზერბაიჯანისა (რომელიც პირველ ადგილს იკავებს ამ მაჩვენებლით) და საქართველოს შემდეგაა. კვლევის თანახმად, ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის მიერ რეგიონის ქვეყნებში ხელმოწერილი პროექტების მიხედვით საქართველო (პირველ ადგილს იკავებს ამ მაჩვენებლით) და აზერბაიჯანი ლიდერობენ, სომხეთს ამ შემთხვევაშიც შედარებით დაბალი მაჩვენებელი აქვს.

ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის მიერ რეგიონში განხორციელებული პროექტების საერთო პორტფელის მხრივ დაახლოებით მსგავსი სიტუაცია აქვს საქართველოსა და აზერბაიჯანს, სომხეთი ამ მაჩვენებლითაც მნიშვნელოვნად ჩამორჩება რეგიონის ქვეყნებს.

ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის საერთო პორტფელში არსებული კერძო სექტორის წილობრივი მაჩვენებლის მიხედვით დაახლოებით თანაბარი პოზიცია აქვს სომხეთსა და საქართველოს, საერთო პორტფელში კერძო სექტორის წილის მიხედვით რეგიონის ქვეყნებს შორის მესამე ადგილი უკავია აზერბაიჯანს.

რაც შეეხება ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის მიერ რეგიონში განხორციელებული აქტიური პროექტების რაოდენობას, ამ

მაჩვენებლით ლიდერობს საქართველო, ხოლო აზერბაიჯანსა და სომხეთს დაახლოებით თანაბარი მაჩვენებელი გააჩნიათ.

ჯამურად, ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკისა და აზიის განვითარების ბანკის მიერ რეგიონის ქვეყნებში განხორციელებული პროექტების ფინანსური და რაოდენობრივი მონაცემების მიხედვით უფრო მეტად თანაბარი მაჩვენებლები აქვს საქართველოსა და აზერბაიჯანს, ვიდრე სომხეთს. თუმცა, შედარებისას უნდა გავითვალისწინოთ, რომ საქართველო ძირითადად აქცენტირებულია კერძო სექტორის პროექტებზე, აზერბაიჯანში კი პროექტების დიდი ნაწილი მიმართულია სახელმწიფო სექტორის განვითარებაზე.

*ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის (EBRD) სტრატეგიის მიმოხილვა საქართველოსთან მიმართებაში*

საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების მიერ საქართველოში განხორციელებული პროექტების შესწავლისთვის აუცილებელია ისეთი საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტის სტრატეგიის განხილვა, როგორც ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი (EBRD).

ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკს არაერთი მრავალმილიონიანი პროექტი აქვს განხორციელებული საქართველოში, რომელიც ითვალისწინებდა როგორც სახელმწიფო, ისე კერძო სექტორს. EBRD-ის მიერ საქართველოში განხორციელებული პროექტების შედეგად მოხერხდა ინფრასტრუქტურის მოწესრიგება. ბანკის მიერ კერძო სექტორის დაფინანსებამ უზრუნველყო როგორც კომპანიების განვითარება, ისე ახალი ინვესტიციების მოძიება ქვეყანაში. საკმაოდ წარმატებული პროექტები აქვს ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკს განხორციელებული საქართველოში მუნიციპალური ინფრასტრუქტურის მიმართულებით (მეტი ინფორმაციისათვის იხილეთ CASE MODERNISING SOLID WASTE MANAGEMENT IN GEORGIA, 2011).

ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის მიერ 2013 წლის ივნისისთვის დაანონსებულ ახალ სტრატეგიაში აღნიშნულია, რომ EBRD-ის მხარდაჭერამ, რომელიც უკვე განხორციელდა საქართველოს საბანკო სისტემის მიმართ, მოიტანა სისტემური ბანკების წარმატებული რესტრუქტურირაცია. რესტრუქტურირაციის შედეგად ბანკებს უკვე შეუძლიათ, ან ახლო მომავალში შეძლებენ, გავიდნენ კაპიტალის საერთაშორისო ბაზრებზე, რაც უმნიშვნელოვანესი კომპონენტია ქართული საბანკო სისტემის კიდევ უფრო

განვითარებისათვის (მეტი ინფორმაციისათვის იხილეთ ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის დოკუმენტი „სტრატეგია საქართველოსთვის“, დამტკიცებული დირექტორთა საბჭოს მიერ 2010 წლის 9 თებერვალს)

მნიშვნელოვანია ის ფაქტიც, რომ ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის მხარდაჭერით საქართველოში უზრუნველყოფილ იქნა საბანკო ინდუსტრიის შემდგომი ლიკვიდურობა, აღნიშნული ინიციატივა განხორციელდა უმეტესწილად მცირე და საშუალო საწარმოებზე სესხების გაცემის ხელშეწყობის მიზნით. მცირე და საშუალო საწარმოების დაფინანსება, ერთ-ერთი ყველაზე აქტუალური საკითხია საქართველოში ბიზნესის განვითარების მიმართულებით.

საქართველოში ერთ-ერთი არსებითად განსახილველი თემა არის საბანკო სისტემის დოლარიზაცია. უნდა აღინიშნოს, რომ მიუხედავად ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის ცალკეული ქმედებებისა, საბანკო სისტემის დოლარიზაცია სტრატეგიული პერიოდის განმავლობაში მნიშვნელოვნად არ შემცირებულა.

დოლარიზაციის პრობლემაზე საუბრისას, უნდა მივუთითოთ, რომ აღნიშნული პრობლემის დასაძლევად სსფ-მ და მსოფლიო ბანკმა ერთობლივად განახორციელეს ცალკეული აქტივობები. სავარაუდოა, რომ აღნიშნული ქმედებების შედეგი მომავალში დადგება.

ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი წარმატება ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის მიერ მიღწეულ იქნა ენერგოსექტორში. ამ მხრივ, მნიშვნელოვნად წარმატებული პროექტი იყო ენგურის ჰიდროელექტროსადგურის რეაბილიტაციის დასრულება. ცნობილია,



რომ „ენგურჰესი“ აკმაყოფილებს ქვეყნის ენერგომომხმარებლის დაახლოებით 40 პროცენტს.

ენერგოსექტორის კუთხით EBRD-ის მნიშვნელოვანი პროექტი იყო, ასევე, შავი ზღვის 500 კვ გადამცემი ხაზის დაფინანსება, რომელიც საქართველოს გავლით დააკავშირებს აზერბაიჯანსა და თურქეთს. ვფიქრობთ, აღნიშნულმა პროექტმა სტიმული უნდა მისცეს საქართველოში ახალი ჰიდროსადგურების მშენებლობას, მინიმუმ თურქეთის ენერგომომხმარებლის ნაწილობრივი დაკმაყოფილების მიზნით. ენერგოსექტორის მიმართულებით ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკს საქართველოში რამოდენიმე წარმატებული პროექტი აქვს განხორციელებული (მეტი ინფორმაციისათვის იხილეთ CASE FINANCING CROSS-BORDER ENERGY INFRASTRUCTURES, 2010).

რამდენადაც საბანკო და ენერგოსექტორში ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის წარმატება მკაფიოა, ბანკის შედეგები ტექნიკური მომსახურებისა და ტრანსპორტის სექტორებში მოსალოდნელზე დაბალი იყო. ბანკი აღნიშნული შედეგის მიზეზად ასახელებს იმ ფაქტს, რომ სახელმწიფო გარიგებები წყალმომარაგებისა და დასუფთავების სფეროში შეთავაზებულ იქნა დონორებისათვის დაფინანსების შეღავათიანი პირობებით. ამ კუთხით აღსანიშნავია ფოთის პორტის განვითარების პროექტი. მისი დაფინანსება არასაკმარისი აღმოჩნდა და შესაბამისად, პორტი სამართავად გადაეცა ახალ სპონსორს, რომელიც არ საჭიროებს ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის მხრიდან შემდგომ დაფინანსებას.

საწარმოო სექტორში ბანკს მნიშვნელოვანი გარღვევა ქონდა. ბანკის მიერ აღნიშნულია, რომ საგანმანათლებლო ტექნოლოგიების პროდუქციის გამოყენება, კერძოდ კი, MCFF, ძალიან ეფექტური აღმოჩნდა.

საგანმანათლებლო ტექნოლოგიების პროდუქციის გამოყენებამ საშუალება მისცა EBRD-ს შეემუშავებინა მცირე და საშუალო საწარმოების დახმარების სათანადო პროგრამა.

ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის მიერ საქართველოში განხორციელებული ერთ-ერთი საინტერესო პროექტი იყო საქართველოს სოფლის მეურნეობის დაფინანსების პროგრამა (GAFF). EBRD-ის შეფასებით, GAFF-ი უზრუნველყოფს გარდამავალი პერიოდისათვის საბანკო დაფინანსების ხელმისაწვდომობას უპირველესად ქვეყნის სოფლის მეურნეობისა და მიკრო, მცირე და საშუალო საწარმოებისათვის აგრობიზნესში, პროექტის მიოზანია მდგრადი განვითარების საუკეთესო პრაქტიკის და ფერმერული მეთოდების გამოყენების ხელშეწყობა ტექნიკურ დახმარებასთან ერთად. ბუნებრივია, სოფლის მეურნეობის სფეროში მოქმედი კომპანიებისათვის საბანკო სესხების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა უმნიშვნელოვანესი კომპონენტია სფეროს შემდგომი განვითარებისათვის.

როგორც ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი მიუთითებს, საქართველოში ხელმოწერილი პროექტების 88 პროცენტი 2010 წლის თებერვლიდან 2012 წლის ბოლომდე მიჩნეულ იქნა ზემოქმედების „კარგ“ ან „საუკეთესო“ პოტენციალად. აღნიშნული შეაფასება საკმაოდ მნიშვნელოვანია პროექტების ეფექტიანობის განსაზღვრისათვის.

უნდა აღნიშნოს, რომ ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის მიერ გარდამავალი ხასიათის მქონე პროექტების დაახლოებით 60 პროცენტი გავრცელდა ქვეყნის საფინანსო ინსტიტუტებზე, იმ ინსტიტუტების ჩათვლით, რომლებმაც შემოიღეს დაფინანსების ნაკლებად გავრცელებული ფორმები (მაგალითად, ასეთადაა მიჩნეული სასოფლო სამეურნეო და ენერგოეფექტურობის დაკრედიტება).

უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოში არსებული ახალი გამოწვევებიდან გამომდინარე, ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკმა, სტრატეგიული დოკუმენტის თანახმად, განახორციელა სამი ძირითადი გამოწვევის იდენტიფიცირება მომდევნო სტრატეგიული პერიოდისთვის.

- კერძო სექტორში კაპიტალდაბანდებების ხელშეწყობა, რომელიც შემცირდა კრიზისის შემდეგ;
- ენერგოსექტორის მოდერნიზაციის დასრულება;
- საქართველოს რეგიონალური და გლობალური ეკონომიკური ინტეგრაცია წარმოების მასშტაბის ზრდით განპირობებული ეკონომიიდან სარგებელის მისაღებად

EBRD-ის დაანონსებული სტრატეგიის თანახმად, დასაქმების ხელშეწყობიდან გამომდინარე, ბანკი საქართველოში მიზნად ისახავს წარმოების დონის ამაღლებას შრომატევად დარგებში, მაგალითად, სოფლის მეურნეობაში, წარმოებასა და მშენებლობაში. აღნიშნული მიმართულებით ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკს საქართველოში საქმიანობის საინტერესო გამოცდილება გააჩნია (მეტი ინფორმაციისათვის იხილეთ EBRD-ის CASE TRANSFERRING AGRICULTURAL KNOW-HOW TO GEORGIAN FARMERS, 2011)

ახალი სტრატეგიის ფარგლებში ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი ასახელებს საქართველოში გარდამავალი პერიოდის სპეციფიურ სექტორულ გამოწვევებს, რომლებიც მნიშვნელოვანია კერძო ინვესტიციებისათვის. მათ შორისაა:

- კონკურენციის შესახებ კანონმდებლობის გაძლიერება, კორპორაციული მართვის ხელშეწყობა და ბიზნეს სტანდარტების

დანერგვა პროდუქციის ხარისხის, გარემოსა და ჯანდაცვის, ასევე უსაფრთხოების უზრუნველყოფის სფეროებში;

- ადეკვატური კაპიტალური და ფინანსური მომსახურების ხელმისაწვდომობა მიკრო, მცირე და საშუალო საწარმოებისა (MSMES) და დამწყები საწარმოებისათვის სოფლის მეურნეობის სფეროში, კერძოდ, კი საქართველოს რეგიონებში;
- სოფლის მეურნეობის სექტორის ლიბერალიზაცია, სექტორის ეფექტურობის გაუმჯობესებით, აგრეთვე ჰიგიენისა და ხარისხის სტანდარტების შემოღებით პროაქტიური პოლიტიკის გატარების ხარჯზე. საცალო გაყიდვების სექტორში კონკურენციისა და მომსახურების სტანდარტების ამაღლება;
- საბანკო სექტორისა და არასაბანკო ფინანსური ინსტიტუტების გაძლიერება და ფინანსური შუამდგომლობის მხარდაჭერა, განსაკუთრებით MSME სექტორსა და რეგიონებში, რაც ითვალისწინებს საბანკო სექტორის მზადყოფნას დასავლეთის ფინანსური ინსტიტუტების შემდგომი საინვესტიციო სტრატეგიის მხარდასაჭერად;
- ბანკების დაფინანსებასთან დაკავშირებული გადასახადების ვადის გაგრძელება (ეროვნულ ვალუტაში) სესხების გასაცემად ეროვნულ ვალუტაში, არაჰეჯირებულ SME-სა და საცალო მსესხებლებზე ფოკუსირებით, უცხოური ვალუტის კურსის მერყეობის რისკის შესამცირებლად და პორტფელის მენეჯმენტის გასაუმჯობესებლად; გრძელვადიანი დანაზოგების გაძლიერება ადგილობრივ ვალუტაში, ინფლაციის დონის და ცვალებადობის შემცირებით, აგრეთვე არასაბანკო ფინანსური საქმიანობის განვითარებით, როგორცაა ლიზინგი, დაზღვევა და საპენსიო ფონდი (მეტი ინფორმაციისათვის იხილეთ ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის

დოკუმენტი, პროექტი „სტრატეგია საქართველოსთვის“ 2013 წლის ვერსია).

ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის რეკომენდაციებიდან გამომდინარე, ბანკი ეცდება ოპერატიულად იმოქმედოს საქართველოში კერძო ინვესტიციების ხელშესაწყობად. კერძოდ, სტრატეგიის თანახმად, ბანკი გააგრძელებს ოპერაციებს კერძო სექტორის კლიენტებთან, პირდაპირ და არაპირდაპირ, საქართველოში მოქმედი კერძო ბანკების საშუალებით. ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი ძირითადად აქცენტირებული იქნება ისეთი ტიპის პროექტებზე, რომლებიც შესაძლოა განხორციელდეს მრეწველობისა და აგრობიზნესის სფეროებში, ასევე საფინანსო სექტორში. ამასთან, ბანკი ეცდება ყურადღება გაამახვილოს მცირე და საშუალო საწარმოების განვითარების მიმართულებით. ამ მხრივ, მნიშვნელოვანია მცირე და საშუალო საწარმოებისათვის დაფინანსების ხელმისაწვდომობა და მათი ინტეგრაცია სასაქონლო ჯაჭვში.

მნიშვნელოვანია, რომ EBRD დახმარებას გაუწევს წარმოების სექტორს. ამ მხრივ, მხარდაჭერა შესაძლოა გამოიხატოს გადამამუშავებელი კომპანიების საწარმოო ტექნოლოგიებში თანამედროვე სტანდარტების დანერგვის კუთხით. საინტერესოა ასევე ის ინიციატივები, რომელიც შეეხება გარემოს დაცვის, ჯანდაცვის და უსაფრთხოების მკაცრი სტანდარტების დანერგვას.

სტრატეგიის თანახმად, საქართველოში საინვესტიციო შესაძლებლობების გაუმჯობესების მიზნით ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი განსაკუთრებულ დახმარებას გაუწევს საშუალო და მცირე საწარმოებს. ამასთან, საშუალო თანადაფინანსების პროგრამის (MCFF) გამოყენებით, შესაძლოა გაიზარდოს საშუალო ზომის საწარმოების მხარდაჭერა ბანკის მხრიდან.

გარდა ინვესტიციების მოზიდვის მხარდაჭერისა თუ ხელშეწყობისა, საჭიროების შემთხვევაში, ბანკი ბიზნესისათვის გამოიყენებს პირდაპირი დაკრედიტების პროგრამას (DLF) მაშინ, როდესაც პირდაპირი ინვესტირების პროგრამა (DIF) ფოკუსირებული იქნება სუბორდინირებული ვალის რეზერვირებაზე SME კლიენტთა ბალანსის გასაძლიერებლად.

სტრატეგიის თანახმად, იმისათვის, რომ კომერციული ბანკები დაბრუნდნენ B კრედიტორების პოზიციაზე, ბანკი დიდ პროექტებს შედარებით მცირე რაოდენობით განხორციელებაზე. ბანკის ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრიორიტეტად კვლავ რჩება აგროსექტორი. შესაბამისად, ბანკი დაეხმარება სოფლის მეურნეობის სექტორს მიწოდების ადგილობრივი ქსელის განვითარების საშუალებით. ამასთან, ხელს შეუწყობს ეფექტური წარმოების გაზრდას და მაღალი სტანდარტების დანერგვას. ყოველივე აღნიშნული შესაძლოა განხორციელდეს თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვის საშუალებით, ასევე ნოუ-ჰაუს გადაცემით. მნიშვნელოვანია ის ფაქტიც, რომ ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის მიერ დაფუძნებული აგრობიზნესის დაფინანსების პროგრამა საქართველოში (GAFF) ძლიერი იარაღი იქნება კაპიტალის ქრონიკული დეფიციტის აღმოსაფხვრელად ამ სექტორში. თუმცა, ბანკის სტრატეგიის თანახმად ირკვევა, რომ ბანკის მიერ განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა სოფლის მეურნეობის სფეროში დამწყები საწარმოების მხარდაჭერას (განსაკუთრებით კი მათ, რომლებიც გადადიან ნატურალური მეურნეობიდან საბაზრო წარმოებაზე).

ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი გააგრძელებს საფინანსო ინსტიტუტების სხვადასხვა ტიპის მხარდაჭერას. მათ შორის, ბანკი ფინანსური შუამდგომლობის გასაღრმავებლად მხარს დაუჭერს საბანკო სექტორის მოდერნიზაციას მიზნობრივი სესხის, აგრეთვე წილობრივი ან

სუბორდინირებული სესხის უზრუნველყოფით სელექციურ საფუძველზე, შესაბამისი საჭიროებებიდან გამომდინარე.

მნიშვნელოვანია ის ფაქტიც, რომ ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი აწარმოებდა დიალოგს საქართველოს ხელისუფლებასთან აღმოსავლეთ ევროპის ენერგოეფექტურობისა და გარემოს დაცვის საპარტნიორო (E5P) პროგრამაში მონაწილეობის მიღებაზე. აღნიშნულ პროგრამაში ჩართვას საქართველო უახლოეს მომავალში აპირებს.

ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიზანია ენერგოსექტორის სრული მოდერნიზაცია. სტრატეგიის თანახმად, ამ მიმართულებით ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი დაასრულებს იმ პროექტებს ენერგოსექტორში, რომლებიც დაიწყო გასული სტრატეგიული პერიოდის განმავლობაში. არსებული და პოტენციური პროექტების მიზანია ენერჯის წარმოების გაზრდა და ექსპორტის ბაზრებზე გასვლა. ამასთან, ბანკი ასევე გააგრძელებს გადამცემი სისტემის გაძლიერებას, რომელიც შემუშავებული იყო შავი ზღვის გადამცემი ხაზის სახით.

ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი ახალ სტრატეგიულ პერიოდში გეგმავს საქართველოს რეგიონალური და გლობალური ეკონომიკური ინტეგრაციის მხარდაჭერას. უნდა აღინიშნოს, რომ ქვეყნის მასშტაბიდან გამომდინარე, სარგებლის მიღება უფრო მეტად შესაძლებელია ისეთი ტიპის რეგიონული პროექტებიდან, რომლებიც უზრუნველყოფენ ფართომასშტაბიანი დაფინანსების მოზიდვას.

შესაბამისად, სტრატეგიის თანახმად, ბანკის ოპერატიული რეაგირება საქართველოს რეგიონალური და გლობალური ეკონომიკური ინტეგრაციის ხელშესაწყობად, ფოკუსირებული იქნება პროექტებზე სხვადასხვა სფეროებში,

ინფრასტრუქტურის, ლოჯისტიკის, ტელეკომუნიკაციების და ფინანსური სექტორების ჩათვლით.


ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის მიერ განხორციელებულ ინიციატივებს შორის მნიშვნელოვანია მცირე ბიზნესის მხარდასაჭერი მიმართულება. აღნიშნული მიმართულება ხორციელდება ორი - საწარმოთა ზრდის (EGP) და ბიზნეს საკონსულტაციო მომსახურების (BAS) კომპლიმენტარული პროგრამის განხორციელებით.

ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის მონაცემების თანახმად EGP -მ საქართველოში განახორციელა 38 პროექტი, რომელთაგან 7 ამჟამადაც გრძელდება. აღნიშნული პროექტები განხორციელდა ინდუსტრიის სხვადასხვა დარგში, მათგან პირველ სამეულშია საკვების, სასმელის და ქიმიური წარმოება. რაც შეეხება ეფექტიანობის მაშვენებლებს: EBRD-ის მონაცემების თანახმად, აღნიშნული პროგრამის ფარგლებში 21 პროექტი შეფასდა: მათგან - 48 % შეფასდა, როგორც "უაღრესად წარმატებული", და 48 %, როგორც "წარმატებული" პროექტი.

არანაკლებ მნიშვნელოვანია, გადავხედოთ EGP-ის პროგრამის ფარგლებში განხორციელებული დახმარებების ეფექტიანობას:



## EGP-ის პროგრამის ფარგლებში დახმარების მიმღები საწარმოების მონაცემები



დიაგრამა 20, წყარო: ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი

დიაგრამიდან თვალსაჩინოა პროგრამის ეფექტიანობა. ამ შემთხვევაში ყველაზე საყურადღებო კომპონენტია კომპანიების ბრუნვის ზრდა - 77 პროცენტი, რასაც თან სდევს პროდუქტიულობის, დასაბეგრი მოგების და დასაქმების ზრდა, რაც ამავდროულად, არსებითად მნიშვნელოვანი სოციალური კომპონენტია.

უნდა აღნიშნოს, რომ BAS-ის პროგრამის ფარგლებში საქართველომ მიიღო სულ € 6 მილიონი დაფინანსება, რასაც ემატება 2,6 მილიონი კლიენტების მიერ შეტანილი წვლილი. 2012 წლის მესამე კვარტლის

დასასრულს, პროგრამამ დააფინანსა სულ 682 პროექტი 225 კონსულტანტის საქმეში ჩართვით.

ისევე როგორც EGP-ის პროგრამის ფარგლებში, BAS-ის პროგრამის ფარგლებშიც განხორციელებული საქმიანობის ეფექტიანობის შეფასება: ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის მონაცემებით დღეისათვის, საქართველოში უკვე შეაფასეს 580 პროექტი, რომლის 47 % შეაფასდა როგორც წარმატებულ, ან ძალიან წარმატებულ პროექტად..

მთლიანობაში BAS ეხმარება მცირე საწარმოებს, კერძოდ, პროგრამის ფარგლებში განხორციელებული პროექტების 76 %-ზე მეტი ეხება ისეთ საწარმოებს, რომელთაც 50-ზე ნაკლები თანამშრომელი ჰყავს. BAS საქართველოში კონცენტრირებულია სოფლის განვითარების ხელშეწყობაზე.

ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის სტრატეგიის მიმოხილვიდან იკვეთება რამდენიმე ძირითადი ასპექტი:

- ბანკი კვლავ აქტიურად აპირებს საქართველოში სხვადასხვა ტიპის პროექტების განხორციელებას;
- ბანკი აქცენტირებული იქნება სოფლის მეურნეობის პროექტებზე, სოფლის მეურნეობის სფეროში დასაქმების მაჩვენებლის გაზრდის, პროდუქციის გასაღების ბაზრებზე გასვლისა და სფეროში კაპიტალის ქრონიკული დეფიციტის აღმოფხვრის მიზნით.
- ბანკი გააგრძელებს პროექტებს ენერგოსექტორში, იმისათვის, რომ საქართველომ უზრუნველყოს ენერჯის ექსპორტირება, მნიშვნელოვანი იქნება ამ მხრივ ენერგოგადამცემი ხაზების კეთილმოწყობა;
- ბანკი ორიენტირებული იქნება საფინანსო ინსტიტუტების მრავალმხრივ ხელშეწყობაზე.

აღსანიშნავია, რომ სხვადასხვა ტიპის პროგრამების ფარგლებში ბანკის საქმიანობა ძირითადად ეფექტიანად ფასდება. მნიშვნელოვანია, რომ საქართველომ მიმოხილული პროექტების ფარგლებში გააგრძელოს აქტიური და მრავალმხრივი თანამშრომლობა ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკთან.

გასათვალისწინებელია ისიც, რომ ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის მიერ მიმართულებების მიხედვით დასახელებული პროექტები ძირითადად ასახავს იმ პრიორიტეტებს, რომელსაც მთავრობა ეკონომიკის განვითარების მიმართულებით ასახელებს. მათ შორისაა, სოფლის მეურნეობა, ენერგოსექტორი, წარმოების განვითარება, საფინანსო ინსტიტუტები და, ზოგადად, დასაქმების ზრდა, რომელსაც მივიღებთ შრომატევადი დარგების განვითარებით.

საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების საქმიანობის მიმოხილვის დროს იკვეთება, რომ საერთაშორისო ორგანიზაციებს უფრო ნათლად აქვს წარმოდგენილი და ფორმულირებული ქვეყნის საჭიროებები, ვიდრე ეს თავად ქვეყანას გააჩნია. იგივე შეიძლება ვთქვათ ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის მიერ წარმოდგენილ საკმაოდ კარგად გაწერილ სტრატეგიაშიც.

## *აზიის განვითარების ბანკი და საქართველო*

იმ საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებს შორის, რომელთაგან საქართველოს სახელმწიფო თუ კერძო სექტორი იღებს დახმარებებს, აზიის განვითარების ბანკი უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს. 2008 წლის სექტემბერში როდესაც ხელი მოეწერა ხელშეკრულებას მასპინძელ ქვეყანასთან, აზიის განვითარების ბანკმა საქართველოში მუდმივი წარმომადგენლობა გახსნა და 2008 წლის დეკემბერში უკვე ფუნქციონირება დაიწყო.

აზიის განვითარების ბანკის აქტივობებმა განსაკუთრებული მისია შეასრულა და სერიოზული დახმარება გაუწია ქვეყანას 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომისა და მსოფლიო ეკონომიკური კრიზის ფონზე. ამასთან, აზიის განვითარების ბანკის პროექტების ანალიზისას ნათლად ჩანს ერთი ტენდენცია - პროექტების დიდი ნაწილი შესაფასებელია არა მხოლოდ ეკონომიკური, არამედ სოციალური ეფექტიანობის მიმართულებით. კერძოდ, აზიის განვითარების ბანკის მრავალი პროექტი სწორედ მოქალაქეთა ყოველდღიური საერთო სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებას ისახავს მიზნად. წყალმომარაგების, ეკოლოგიურად უსაფრთხო და ეფექტური საქალაქო ტრანსპორტის მიმართულებით განხორციელებული პროექტები „საქართველოს მოქალაქეებზე ორიენტირებული“ პროექტების მხოლოდ მცირე ნაწილია.

აზიის განვითარების ბანკის ყველა ტიპის აქტივობა პრაქტიკულად სრულად არის კოორდინირებული საქართველოს მთავრობასა და განვითარების დამფინანსებელ სხვა საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებთან. აზიის განვითარების ბანკის მიერ სისტემატურად,

გარკვეული პერიოდულობით ტარდება განვითარების პარტნიორთა შეხვედრები. მიმდინარეობს ორმხრივი კონსულტაციები ისეთ პარტნიორებთან, როგორებიცაა: ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი (EBRD), ევროპის საინვესტიციო ბანკი (EIB), საერთაშორისო სავალუტო ფონდი (IMF), გერმანიის განვითარებისა და რეკონსტრუქციის ბანკი (KfW), შვედეთის საერთაშორისო განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტო, აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტო (USAID) და მსოფლიო ბანკი.

იმისათვის, რომ ეფექტური გახდეს ბანკის მიერ განხორციელებული პროექტები უფრო შედეგზე ორიენტირებული იყოს და გამოირჩეოდეს მაღალი მდგრადობით, აზიის განვითარების ბანკი მჭიდროდ თანამშრომლობს საქართველოს კერძო სექტორთან და არასამთავრობო ორგანიზაციებთან.

2008 წელს დამტკიცებული შუალედური სამოქმედო სტრატეგია რეალურად წარმართავს აზიის განვითარების ბანკის ინვესტიციებს ქვეყანაში იმ პერიოდამდე, ვიდრე ძალაში არ შევა საქართველოსთან პარტნიორობის ახალი სტრატეგია 2013 წელს (მეტი ინფორმაციისათვის იხილეთ ADB Country Operations Business Plan, Georgia 2012-2013, November 2012).

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ აზიის განვითარების ბანკი საქართველოში მხოლოდ 2008 წლიდან მოქმედებს აქტიურად, თუმცა, მიუხედავად ამისა, პარტნიორული ურთიერთობები სწრაფად განვითარდა და აზიის განვითარების ბანკის პორტფელი და დაფინანსების მოცულობა ქვეყანაში საკმაოდ სწრაფად იზრდება (მეტი ინფორმაციისათვის იხილეთ Georgia: Interim Operational Strategy 2008-2009, Asian Development Bank, January 2008)

უმნიშვნელოვანესი ასპექტი, რომელიც აზიის განვითარების ბანკის საქმიანობაში იკვეთება, არის ე.წ. „დამატებითი ღონისძიებები“. კერძოდ,

აღსანიშნავია მათი თანამშრომლობა სამოქალაქო საზოგადოებასთან. აზიის განვითარების ბანკი მიიჩნევს, რომ ეს თანამშრომლობა გაწეული დახმარებების მეტ ეფექტიანობას, შედეგს და მდგრადობას უზრუნველყოფს. რეალურად, ეს კარგად გააზრებული ტაქტიკაა იმდენად, რამდენადაც საქართველოში გვაქვს ცალკეული მსხვილი ინვესტიციების განხორციელების დროს წარმოქმნილი პრობლემების მაგალითები. აღნიშნული პრობლემები სწორედ სამოქალაქო საზოგადოებასთან ნაკლებად აქტიური თანამშრომლობის ბრალია. საკმარისია გავიხსენოთ, „ბრიტიშ პეტროლიუმი“ (BP). მის სრულიად უწყინარ მიზანს - განეხორციელებინა ქვეყანაში ძალიან მნიშვნელოვანი (როგორც ფინანსურად, ისე სტრატეგიულად) ინვესტიცია, ხშირად თან სდევდა საკმაოდ უსამართლო და არაკვალიფიციური დისკუსია.

#### *აზიის განვითარების ბანკის ოპერაციული გამოწვევები*

ის, რომ საქართველოში მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდა საყოველთაო კეთილდღეობაზე ეფექტურად აისახოს, მნიშვნელოვანი გამოწვევაა და სახელმწიფოსათვის პრიორიტეტულ საკითხს წარმოადგენს. საქართველოში, ასევე, სერიოზულ პრობლემაა რეგიონებს შორის, სოფლისა და ქალაქის მაცხოვრებელთა შორის არსებული საკმაოდ არათანაბარი შემოსავალები და შესაძლებლობები. აზიის განვითარების ბანკის შეხედულებით, ამგვარი უთანასწორობის აღმოფხვრას ხელს შეუწყობს სასოფლო-სამეურნეო სექტორის პროდუქტიულობის ამაღლება და ბაზართან კავშირის გაუმჯობესება.

საქართველოში მნიშვნელოვანი პრობლემაა მოქალაქეთა პროფესიული რესურსების, უნარ-ჩვევების შეუსაბამობა საქართველოში არსებულ სამუშაო

ადგილებთან. აზიის განვითარების ბანკი თვლის, რომ საჭიროა გარკვეული აქტივობები განხორციელდეს ამ მიმართულებით, რამდენადაც ამ პრობლემის აღმოფხვრა მნიშვნელოვანწილად ხელს შეუწყობს ქვეყანაში არსებული სამუშაო ძალის ჩართვას მაღალპროდუქტიულ და შემოსავლიან სექტორებში.

მნიშვნელოვანი ასპექტი, რომელზეც აზიის განვითარების ბანკი ამახვილებს ყურადღებას, არის ეკონომიკური კეთილდღეობის მეტ-ნაკლებად თანაბარი გადანაწილება. ეს საკითხი საქართველოში საკმაოდ აქტიუალურია. პრობლემა დადასტურებულია ე.წ. „ჯინის კოეფიციენტის“<sup>20</sup> კვლევითაც, რომელიც ჩატარდა 2012 წელს ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრის მიერ. პრობლემის აღმოსაფხვრელად მიუღებელია სახელმწიფოს ხელოვნური ჩარევა. ამ კუთხით აზიის განვითარების ბანკი „სხვაგვარ მოდელს“ გვთავაზობს, რომელიც გულისხმობს საქართველოს სასოფლო-სამეურნეო სექტორის პროდუქტიულობის ამაღლებას და ბაზართან კავშირის გაძლიერებას. აზიის განვითარების ბანკის „სხვაგვარი მოდელი“ სწორ აქცენტს აკეთებს, რადგან:

1. სოფლისა და ქალაქის მცხოვრებთა შორის ყველაზე ხშირად ე.წ. ეკონომიკური უთანასწორობა ვლინდება. შესაბამისად, მნიშვნელოვანია ისეთი აქტივობების განხორციელება, რომელიც არსებულ უთანასწორობას შეამცირებს. სასოფლო-სამეურნეო სექტორის პროდუქტიულობის ამაღლება ბუნებრივია აამაღლებს სოფლის მოსახლეობის ეკონომიურ მდგომარეობას.

---

20. ჯინის კოეფიციენტი ფორმულაა, რომელიც იტალიელმა მათემატიკოსმა კორადო ჯინიმ 1914 წელს შეიმუშავა. აღნიშნული ფორმულა ყველაფრის გასაზომად შეიძლება გამოვიყენოთ, მათ შორის, იმის დასადგენად, თუ რამდენად თანაბრად არის განაწილებული ფული სხვადასხვა ქვეყნებში.

2. არანაკლები პრობლემაა ბაზრებთან კავშირის გაუმჯობესება. დარგში პროდუქტიულობის გაზრდის შემდეგ, აუცილებლად დადგება დარგი პრობლემის წინაშე - სად გაყიდოს პროდუქცია. გაყიდვების პრობლემა არის ის მიზეზი, რომელიც ხშირად იწვევს მწარმოებელთა იმედგაცრუებასა და კრიზისს. სწორედ ამიტომ, აზიის განვითარების ბანკი დარგის პროდუქტიულობის ამაღლებასთან ერთად ბაზრებთან კავშირი გაძლიერებას გვთავაზობს. მნიშვნელოვანია აზიის განვითარების ბანკის აქცენტი სამუშაო ძალის კვალიფიკაციაზე, რომელიც არ შეესაბამება შესასრულებელი სამუშაოს მოთხოვნებს.. საქართველოში ამ მხრივ, არა მხოლოდ სასოფლო-სამეურნეო სფეროში, ზოგადად, თითქმის ყველა სფეროში პრობლემაა. პრობლემა კომპლექსურია და შესაბამისად, საჭიროა ძალიან დიდი ინვესტირება საფუძვლიანი განათლებისა თუ მოკლევადიანი გადამზადების მიმართულებით.

უნდა აღნიშნოს, რომ აზიის განვითარების ბანკის შეფასების მიხედვით საქარველოში არსებული ეკონომიკური ზრდის მიუხედავად, უკიდურესი სიღარიბე ქვეყნისათვის კვლავ სერიოზულ პრობლემად რჩება. აზიის განვითარების ბანკის შეფასებით, ქვეყნისათვის არსებითი მნიშვნელობა აქვს ჯანსაღი ეკონომიკური ზრდის შენარჩუნებას და სოციალური უზრუნველყოფის ეფექტიანი, სწორად გამიზნული სისტემის განვითარებას. აგბ-ის შეფასებით არანაკლებ მნიშვნელოვანია საქართველოში საზოგადოებრივ ინფრასტრუქტურაში ინვესტიციის რეგულირება უცხოური და შიდა კერძო ინვესტიციების გააქტიურებისა და მეზობელ ქვეყნებთან კავშირების შემდგომი განვითარების თვალსაზრისით. ეს ყოველივე წინაპირობაა იმისა, რომ საქართველომ რეგიონის საკვანძო ქვეყნის სტატუსი რეალურად დაიმკვიდროს.



რეგიონის საკვანძო სტატუსის რეალური დამკვიდრება ინფრასტრუქტურის განვითარების გარეშე წარმოუდგენელია. აზიის განვითარების ბანკმა, შესაძლოა, ამ მხრივ სერიოზული როლი ითამაშოს, თუმცა ეს საკმარისი არ აღმოჩნდეს. ამისათვის საჭიროა ქვეყნის მხრიდან აქტივობების გაძლიერება საქართველოში შესაბამისი ინვესტორების მოძიების მიმართულებით.

აზიის განვითარების ბანკის აზრით, საქართველოსათვის აუცილებელია სახელმწიფოს კეთილგონივრული სტრატეგია სესხებთან მიმართებით, მათ შორის - ინვესტიციების პრიორიტეტიზაცია და ინფრასტრუქტურული სერვისების სწორი მართვის უზრუნველყოფა.

აზიის განვითარების ბანკი მიიჩნევს, რომ საქართველომ პოლიტიკური და ინსტიტუციური რეფორმები უწყვეტად უნდა განაგრძოს სახელმწიფო და კერძო სექტორის ინვესტიციების შედეგების მაქსიმალურად ამაღლების უზრუნველყოფისათვის. ნებისმიერი საკანონმდებლო ნორმა მხოლოდ ქაღალდზე დარჩება და ვერ უზრუნველყოფს ინვესტორთათვის სტაბილური ბიზნეს გარემოს ფორმირებას, თუ არ გაგრძელდა რეფორმები პოლიტიკური და ინსტიტუციური მიმართულებით. ამ მხრივ საქართველოში გაცილებით უკეთესი სიტუაციაა, ვიდრე ეს 2010-2011 წლებში იყო. თუმცა მუშაობა კვლავ გასაგრძელებელია.

### *ზოგადი კონტექსტი*

უნდა აღნიშნოს, რომ საქართველო აზიის განვითარების ბანკში გაწევრიანდა, როგორც B1 ჯგუფის განვითარებადი წევრი ქვეყანა. აზიის განვითარების ბანკის შეფასების თანახმად, აღნიშნული სტატუსი

საქართველოს საშუალებას აძლევს მიიღოს დაფინანსება, როგორც აზიის განვითარების შეღავათიანი ფონდიდან (აგფ), ასევე მისი ორდინალური კაპიტალური რესურსებიდან (ოკრ). აგბ-ის ანგარიშის მიხედვით, საქართველოს ამჟამინდელი სასესხო პორტფელი ორივე სახის რესურსებისგან შედგება.

„საქართველო პატარა, ღია ეკონომიკის ქვეყანაა, რომელსაც სტრატეგიული მდებარეობა უჭირავს ევროპისა და აზიის გზაჯვარედინზე და წარმოადგენს რეგიონალური სავაჭრო ნაკადების მნიშვნელოვან კვანძს. ბოლო წლებში საქართველოს მთავრობამ განახორციელა მასშტაბური რეფორმები ეკონომიკის შემდგომი დერეგულირების, ბიუროკრატიული ბარიერების მოსპობისა და კორუფციის მნიშვნელოვანწილად შემცირებისთვის, იმავდროულად განამტკიცებდა რა გამჭვირვალობასა და ანგარიშგებას.“<sup>21</sup> - აღნიშნავს საკუთარ ანგარიშში აზიის განვითარების ბანკი.

აზიის განვითარების ბანკის ასეთი შეფასება მნიშვნელოვანი სტიმულია ქვეყნისათვის - განაგრძოს რეფორმები ეკონომიკის დერეგულირების მიმართულებით. საქართველოს ერთ-ერთი მთავარი გამოწვევაა შეინარჩუნოს ღია ეკონომიკა. თუ ქვეყანა სხვადასხვა ტიპის რეგულაციებს დაუშვებს, რაც თავის მხრივ ბიუროკრატიულ ბარიერებს გააძლიერებს, ეს წარმოშობს დიდ რისკს ეკონომიკური ზრდის შეფერხების მიმართულებით და შესაბამისად, საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების შეფასებები საქართველოს ეკონომიკის მიმართულებით, სავარაუდოდ, არსებითად შეიცვლება, რაც არასასურველ გავლენას მოახდენს ქვეყანაში ინვესტიციების შემოდინებაზე.

აზიის განვითარების ბანკის შესაბამისი ანგარიშის თანახმად, 2011 წლის დეკემბრის მდგომარეობით, საქართველოსათვის გაწეული სუვერენული

---

<sup>21</sup> აზიის განვითარების ბანკის ანგარიში, 2012

დახმარება გამოიხატება: \$783.8 მილიონი - დამტკიცებული სესხების, \$543.8 მილიონი - აფგ-ის სესხების და \$240 მილიონი - ოკრ-ის სესხების სახით; კუმულაციურმა დაფინანსებამ \$362 მილიონი შეადგინა.

*აზიის განვითარების ბანკის მიერ დაფინანსებული პროექტების მოკლე მიმოხილვა (2011 წლის მდგომარებით)*

აზიის განვითარების ბანკის ანგარიშში აღნიშნულია, რომ რუსეთის ფედერაციასთან 2008 წლის აგვისტოს შეიარაღებულმა კონფლიქტმა და შემდგომმა მსოფლიო ეკონომიკურმა კრიზისმა უარყოფითად იმოქმედა საქართველოს ეკონომიკაზე. პასუხად, აზიის განვითარების ბანკმა ოპერატიულად გააფართოვა საქართველოს მთავრობის საბიუჯეტო დახმარება სამი პროგრამული სესხის საშუალებით, რომელთა ჯამურმა ოდენობამ \$250 მილიონი შეადგინა 2008-2010 წლებში.

განსაკუთრებით აღსანიშნავია აზიის განვითარების ბანკის მხარდაჭერა 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის შემდეგ. აღნიშნული დახმარება არსებითი აღმოჩნდა ქვეყნისათვის. საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების და, მათ შორის, აზიის განვითარების ბანკის დახმარებამ მნიშვნელოვნად შეამცირა ერთი მხრივ, ომის შემდგომ არსებული ეკონომიკური რისკები და მეორე მხრივ, რისკები, რომელიც შესაძლოა გამოეწვია მსოფლიო ეკონომიკურ კრიზისს.

აზიის განვითარების ფონდის ანგარიშის თანახმად, აფგ-ის 70 მილიონიანი აშშ დოლარის შეღავათიანი სესხით დაფინანსებული მუნიციპალური სამსახურების განვითარების ორეტაპიანი პროექტი დღემდე ხორციელდება და მხარს უჭერს მუნიციპალური ინფრასტრუქტურის, მათ შორის, გზების, წყალმომარაგებისა და კანალიზაციის სისტემების რეაბილიტაციას ქვეყნის მასშტაბით. პირველი ეტაპი (\$40 მლნ) დაგეგმილზე

თითქმის ერთი წლით ადრე დასრულდება. აღნიშნული პროექტის ფარგლებში არსებული ქვეპროექტების უმეტესობა დამთავრებულია და, შედეგად, საქართველოში სასმელი წყალი და საკანალიზაციო სისტემა ბევრი დასახლებული პუნქტისთვის გახდა ხელმისაწვდომი. აზიის განვითარების ბანკის ანგარიშის მიხედვით, წარმოდგენილ პროექტს ახორციელებს მუნიციპალური განვითარების ფონდი - სპეციალური საშუამავლო ორგანიზაცია, რომელიც აღმასრულებელი და განმახორციელებელი სააგენტოს ფუნქციას ატარებს დონორების მიერ დაფინანსებული მრავალი პროექტისთვის.

მუნიციპალური განვითარების ფონდის გრძელვადიანი ხედვის, კორპორატიული სტრატეგიისა და ბიზნეს-მოდელის მხარდაჭერის მიზნით, აზიის განვითარების ბანკმა განახორციელა შესაძლებლობების განვითარების ტექნიკური მხარდაჭერა. ამასთან, საგზაო დერეფნის საინვესტიციო პროგრამა, შვიდ წლიანი, ხუთას მილიონიანი აშშ დოლარის მულტიტრანშული დაფინანსების მექანიზმი, რომელიც აზიის განვითარების ბანკმა 2009 წელს დაამტკიცა, ხელს უწყობს საქართველოსთვის ვაჭრობისა და რეგიონალური კავშირების განვითარებას.

აზიის განვითარების ბანკის მიერ ინიცირებულია მდგრადი ურბანული ტრანსპორტის საინვესტიციო პროგრამა. რვა წლიანი, 300 მილიონიანი აშშ დოლარის მულტიტრანშული დაფინანსების მექანიზმი (მდმ), რომელიც 2010 წელს დამტკიცდა, მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს საზოგადოებრივი ტრანსპორტის ქსელს და ხელს შეუწყობს ეკოლოგიურად უსაფრთხო და ეფექტიანი სატრანსპორტო საშუალებების განვითარებას ძირითად ქალაქებში.

საქართველოს ქალაქებში ტრანსპორტის ეკოლოგიური უსაფრთხოება აქტუალურია, უმეტეს შემთხვევებში პრობლემა, მართლაც, სერიოზულია. იმ

დროს, როდესაც ქვეყნას ინვესტირების განხორციელების საშუალება არ აქვს, დიდ მნიშვნელოვას იძენს საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების დახმარება. ვფიქრობთ, მსგავსი ტიპის პროექტების ეკონომიკური ეფექტიანობის შეფასება ნაკლებად რელევანტურია. გაცილებით მნიშვნელოვანია მისი სოციალური ეფექტიანობის ანალიზი, საქართველოს ქალაქებში ეკოლოგიურად უსაფრთხო და ეფექტიანი სატრანსპორტო საშუალებების განვითარება პირველ რიგში მოსახლეობის კეთილდღეობაზე აისახება.

აზიის განვითარების ბანკის საქმიანობის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მიმართულებაა საქალაქო სამსახურების გაუმჯობესების რვაწლიანი საინვესტიციო პროგრამა, რომლის ფარგლებში გამოყოფლია 300 მილიონიანი აშშ დოლარის ღირებულების მულტიტრანშული დაფინანსების მექანიზმი (მდმ), პროგრამა აზიის განვითარების ბანკმა დაამტკიცა 2011 წელს და მიზნად ისახავს 24-საათიანი წყალმომარაგებისა და საკანალიზაციო სისტემების უზრუნველყოფას საქართველოს გარკვეულ რეგიონულ ცენტრებში და საქართველოს სხვა მსხვილ ქალაქებში.

საქართველოში ჭარბი წყლის რესურსების არსებობის ფონზე, საქართველოს ქალაქების დიდ ნაწილს არ აქვს 24 საათიანი წყალმომარაგება. წყალმომარაგების პრობლემის უმთავრესი მიზეზი მოძველებული ინფრასტრუქტურა, ან ინფრასტრუქტურის არ არსებობაა. ნებისმიერ შემთხვევაში საჭირო ხდება მსხვილი ინვესტიციების განხორციელება, რომელსაც საქალაქო ტრანსპორტის გაუმჯობესების მსგავსად, არა ეკონომიკური, არამედ ძალიან მნიშვნელოვანი სოციალური ეფექტი აქვს.

## *თანადაფინანსებული პროექტები*

აზიის განვითარების ბანკის ერთ-ერთი საინტერესო ინიციატივაა თანადაფინანსების ოპერაციების შესაძლებლობა. აღნიშნული მიმართულება აზიის განვითარების ბანკის პარტნიორებს, მთავრობასა და მის სააგენტოებს, მრავალმხრივ საფინანსო ორგანიზაციებსა და კომერციული ორგანიზაციებს, საშუალებას აძლევს მონაწილეობა მიიღონ აზიის განვითარების ბანკის პროექტების დაფინანსებაში. აღნიშნული პროგრამის ფარგლებში დამატებითი სახსრების უზრუნველყოფა ხდება ოფიციალური სესხებისა და გრანტების, ისეთი კომერციული თანადაფინანსების სახით, როგორცაა B სესხები, რისკის გადაცემის ღონისძიებები, პარალელური სესხები და აზიის განვითარების ბანკის სავაჭრო-საფინანსო პროგრამის ფარგლებში განხორციელებელი ტრანზაქციების თანადაფინანსება.

აზიის განვითარების ბანკის პოლიტიკა, რომელიც საშუალებას აძლევს კომერციული ორგანიზაციებს მონაწილეობა მიიღონ აზიის განვითარების ბანკის მიერ ინიცირებული პროექტების დაფინანსებაში, მიმართულია ერთი მხრივ, აზიის განვითარების ბანკის მიერ ინიცირებული პროექტების ეკონომიკური და სოციალური ეფექტიანობის ამაღლებაზე და, მეორე მხრივ, ამ პროექტების მდგრადობაზე.

განსაკუთრებით აღსანიშნავია, აზიის განვითარების ბანკის მიერ საკუთრივ, თუ კერძო ინვესტიციებით დაფინანსებული პროექტების თანმდევი გრანტები. როგორც წესი, გრანტი პროექტის სათანადოდ შესრულების გარდა ქვეყანას არანაირ სხვა ვალდებულებას არ აკისრებს, შესაბამისად, ეს თანხა „საჩუქრია“. აზიის განვითარების ბანკის ანგარიშის თანახმად, 2011 წლის დეკემბრის მდგომარეობით, საქართველოში ბანკის მიერ კუმულაციურმა პირდაპირმა დამატებითი ღირებულების თანადაფინანსებამ

170.0 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა - ერთი საინვესტიციო პროექტისათვის და 2.3 მილიონი აშშ დოლარი - ტექნიკური დახმარების სამი პროექტისათვის.

### *არასუვერენული სესხები*

აზიის განვითარების ბანკი ასრულებს კერძო ინვესტიციების ერთგვარი კატალიზატორის ფუნქციას. კერძოდ, პირდაპირ ფინანსურ დახმარებას უწევს არასუვერენული საზოგადოებრივი სექტორისა და კერძო სექტორის სფეროებში განხორციელებულ პროექტებს, პირდაპირი სესხების, კაპიტალდაბანდებების, გარანტიების, B სესხებისა და ვაჭრობის დაფინანსების სახით.

უნდა აღინიშნოს, რომ 2012 წლისათვის აზიის განვითარების ბანკს საქართველოსათვის დამტკიცებული აქვს 95 მილიონი აშშ დოლარის არასუვერენული დაფინანსება, რომელიც, ძირითადად, განკუთვნილი იყო საქართველოს ფინანსურ სექტორში განხორციელებული სამი მნიშვნელოვანი კერძო პროექტისათვის (მეტი ინფორმაციისათვის იხილეთ Asian Development Bank and Georgia: Fact Sheet, April, 2013).

### *აზიის განვითარების ბანკის სტრატეგია საქართველოში*

აზიის განვითარების ბანკის მიერ განხორციელებული აქტივობების პარალელურად მნიშვნელოვანია იმ სტრატეგიის მიმოხილვა, რომელიც ბანკმა გამოაქვეყნა 2012 წლის ნოემბერში, საქართველოში ჩატარებული ბოლო საპარლამენტო არჩევნების შემდეგ.


გარდა ამისა, საქართველო აზიის განვითარების ბანკის წევრი გახდა 2007 წლის თებერვალში. ქვეყნასთან თანამშრომლობის სტრატეგიისა და საოპერაციო ბიზნეს გეგმის არსებობის პირობებში აზიის განვითარების ბანკის საქმიანობა საქართველოში წარმართებოდა დროებითი საოპერაციო სტრატეგიის თანახმად. 2008-2009 წლებში ბანკი საქართველოში მოქმედებდა დროებითი საოპერაციო სტრატეგიით განსაზღვრული პრინციპების შესაბამისად. ამიტომ, აუცილებელია იმ ცვლილებების განხილვაც, რომელიც ამ კუთხით 2012 წლის დოკუმენტშია მოცემული.

მიუხედავად აზიის განვითარების ბანკისა და საქართველოს თანამშრომლობის რამდენიმეწლიანი ისტორიისა, აზიის განვითარების ბანკმა საქართველოში მხოლოდ 2012 წელს დაიწყო ქვეყნასთან თანამშრომლობის სტრატეგიის შემუშავება.

აზიის განვითარების ბანკის საქართველოსთან თანამშრომლობის სტრატეგია მნიშვნელოვანი დოკუმენტია, აღნიშნული დოკუმენტი ქვეყანას საშუალებას აძლევს უფრო ღრმად გაანალიზოს ის მიმართულებები, რომლებიც შესაძლოა საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტს გააჩნდეს მასთან მიმართებაში. ამასთან, როცა აზიის განვითარების ბანკის სტრატეგიულ დოკუმენტს ვაანალიზებთ, უნდა მივუთითოთ, რომ დოკუმენტში მოცემულია



საკმაოდ კონკრეტული მიმართულებები, რომელიც ბანკის საერთო ხედვიდან გამომდინარეობს.



დიაგრამა 21: წყარო: აზიის განვითარების ბანკი

IOS-ის შესაბამისად, აზიის განვითარების ბანკის 2012-2013 წლების საოპერაციო ბიზნეს გეგმა ითვალისწინებს მნიშვნელოვან ძალისხმევას სტრატეგიული თუ ძირითადი ინფრასტრუქტურის განვითარებაში. რომელიც შეამცირებს საგზაო და სატრანსპორტო შეზღუდვებსა და დაბრკოლებებს და გაუმჯობესებს მომსახურების დონეს მუნიციპალურ ინფრასტრუქტურაში.

აზიის განვითარების ბანკის აღნიშნული ინიციატივა, გამოწვეულია იმ პრობლემით, რომელიც ქვეყანაში რეალურად დგას. მაშინ, როდესაც ქვეყანას სატრანსპორტო ფუნქციის შესრულებაზე აქვს პრეტენზია, აუცილებელია აღმოფხვრას ის საგზაო და სატრანსპორტო შეზღუდვები, რომელმაც შესაძლოა სწორედ ქვეყნის სატრანსპორტო ფუნქციას შეუშალოს ხელი. ამასთან, მეორე

არანაკლებ მნიშვნელოვანი საკითხი მუნიციპალური ინფრასტრუქტურის მოწესრიგებაა, რაც, ასევე, საკმაოდ სერიოზული ნაბიჯია სოციალური და ეკონომიკური ეფექტიანობის მიმართულებით. იმდენად, რამდენადაც ქვეყანას აქცენტი გაკეთებული აქვს ტურზმის განვითარებაზე, მუნიციპალური ინფრასტრუქტურის მოწესრიგება გადაუდებელი თემაა.

მნიშვნელოვანია, რომ აზიის განვითარების ბანკის მიერ ქვეყანაში განსახორციელებელი (მათ შორის განხორციელებული) საოპერაციო ბიზნეს გეგმა საქართველოს მთავრობის საშუალოვადიანი განვითარების სტრატეგიასა და მის ძირეულ პუნქტებთან სრულ შესაბამისობაშია. ამას ადასტურებს ის ფაქტიც, რომ სწორედ 2012 წელს საქართველოს მთავრობასა და აზიის განვითარების ბანკს შორის გამართული კონსულტაციების შედეგად დამტკიცდა აზიის განვითარების ბანკის სტრატეგიული მიდგომა საქართველოსთან მიმართებაში და მოსალოდნელი დახმარების წყაროები.

ზოგადად, იმ საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტის საქმიანობა, რომელიც პარტნიორობს ამა თუ იმ ქვეყანასთან განვითარების ხელშეწყობისა და მხარდაჭერის მიზნით, თანხვედრაში უნდა მოდიოდეს ქვეყნის განვითარების იმ დეკლარირებულ სტრატეგიასთან, რომელიც წარმოდგენილი აქვს მთავრობას. წინააღმდეგ შემთხვევაში, ინტერესთა საწყისი თანხვედრის არარსებობის გამო თავს იჩენს უამრავი გაურკვეველობა, რომელიც კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენებს ნებისმიერი პროექტის ეკონომიკურ თუ სოციალურ ეფექტურობას.

აზიის განვითარების ბანკის სტრატეგიული დოკუმენტის თანახმად, საქართველოს სახელმწიფოს შესაძლებლობა აქვს უპრობლემოდ ისარგებლოს აზიის განვითარების ფონდისა და აზიის განვითარების ბანკის შესაბამისი ორდინალური კაპიტალური რესურსებით.

სტრატეგიის თანახმად, 2012 წელს აზიის განვითარების ბანკის მხრიდან საოპერაციო რესურსების პარამეტრი შეადგენდა 116 მილიონ აშშ დოლარს და 183 მილიონ აშშ დოლარს 2013 წლისათვის. დამტკიცებული თანხა 2012 წლისათვის განისაზღვრა 130 მილიონი აშშ დოლარით, საიდანაც 94 მილიონი აშშ დოლარი ორდინარული კაპიტალური რესურსების, ხოლო 36 მილიონი აშშ დოლარი აზიის განვითარების ფონდის წილია.


უნდა აღინიშნოს, რომ 2012 წელს განსაზღვრული თანხა აზიის განვითარების ბანკის მიერ საოპერაციო რესურსების პარამეტრების წლიური თანხის 12 პროცენტია. აზიის განვითარების ბანკის მიერ შემოთავაზებული თანხები საკუთესო საშუალებათა საქართველოსთვის, რომ სატრანსპორტო თუ მუნიციპალური ინფრასტრუქტურის განვითარების კუთხით ეფექტური და ქმედითი ნაბიჯები გადადგას.

2013 წლისათვის ქვეყანაში განსახორციელებელი პროექტების ბიზნეს გეგმით საჭირო იქნება აზიის განვითარების ბანკის საოპერაციო რესურსების პარამეტრების სრული თანხა - 183 მილიონი დოლარი: 100 მილიონი ორდინალური კაპიტალური რესურსებიდან, ხოლო 83 მილიონი აზიის განვითარების ფონდიდან. აღსანიშნავია ისიც, რომ ქვეყანაში განსახორციელებელი პროექტების საერთო საკრედიტო რესურსი განისაზღვრა 313 მილიონი აშშ დოლარით. იგი ითვალისწინებს ურბანული ინფრასტრუქტურისა და მომსახურების განვითარებისათვის საჭირო ოთხ სესხს. ურბანული ინფრასტრუქტურისა და მომსახურების განვითარებისათვის გამოყოფილი მრავალტრანშიანი სესხი საშუალებას აძლევს ქვეყნას ეტაპობრივად შეაფასოს სესხის გამოყენების ეფექტიანობა.

აზიის განვითარების ბანკის სტრატეგიის თანახმად, 2012 წლის ტექნიკური დახმარების გრანტით გათვალისწინებული თანხა შეადგენდა 170

000 აშშ დოლარს, ხოლო 2013 წლისათვის ეს თანხა განისაზღვრა ერთი მილიონი დოლარით. აღნიშნული თანხების ძირითადი მიმართულებაა ტრასპორტის პროექტების მომზადება. ამავე პერიოდში აზიის განვითარების ბანკის მხრიდან შესაძლებელია არასუვერენული სესხის გამოყენებაც და შესაბამისად, ძირითადი აქცენტი გაკეთდება კომერციული ბანკების მიერ მცირე და საშუალო ბიზნესის დაფინანსებაზე, საბანკო ინვესტიციებზე სხვადასხვა პრიორიტეტულ სექტორში.

რეალურად, მცირე და საშუალო ბიზნესის დაფინანსება კომერციული ბანკების მხრიდან მიჩნეულია საქართველოში, როგორც ერთ-ერთი მთავარი პრობლემური საკითხი. არაერთი დისკუსია წარმართულა აღნიშნულ პრობლემატიკასთან დაკავშირებით. ამ მიმართულებით აზიის განვითარების ბანკისა თუ ნებისმიერი საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტის ინიციატივა მცირე და საშუალო ბიზნესისათვის მნიშვნელოვანი ხელშემწყობი ფაქტორი იქნება. ასეთი ინიციატივა გაზარდის კომერციული ბანკების კონკურენციას მცირე და საშუალო ბიზნესის დაკრედიტების მიმართულებით.



დიაგრამა 22, წყარო: აზიის განვითარების ბანკი

2008-2009 წლებში აზიის განვითარების ბანკის დროებითი საოპერაციო სტრატეგია საქართველოში შემდეგ პრიორიტეტებს გულისხმობდა: მუნიციპალური ინფრასტრუქტურის მომსახურების გაუმჯობესება, საგზაო-სატრანსპორტო შეზღუდვებისა და დაბრკოლებების შემცირება, ენერგეტიკის ინფრასტრუქტურის მნიშვნელოვნად გაუმჯობესება სუვერენული სესხების მეშვეობით.

უნდა აღინიშნოს, რომ 2012-2013 წლების სტრატეგიის თანახმად, აზიის განვითარების ბანკი განაგრძობს მუნიციპალური ინფრასტრუქტურული პროექტების განვითარებას მიმდინარე მრავალტრანშიანი დაფინანსების ინსტრუმენტის მეშვეობით.

ენერგეტიკული ინფრასტრუქტურის განვითარება საქართველოს ერთ-ერთი პრიორიტეტია. ენერგეტიკული ინფრასტრუქტურა ის სფეროა, რომელის განვითარების რესურსიც საქართველოში საკმაოდ დიდია. აზიის განვითარების ბანკის ტექნიკური დახმარებით დაფინანსებული პროექტის მოსამზადებელი სამუშაოები ხელს შეუწყობს საქართველოში ტრანსპორტირებისათვის საჭირო მნიშვნელოვანი ინვესტიციების მოზიდვას. ამასთან, აზიის განვითარების ბანკი მიზნად ისახავს მოიძიოს საქართველოში განახლებადი ენერჯის პროექტებისათვის საჭირო დაფინანსების შესაძლებლობები არასუვერენული სესხების მეშვეობით.

პარალელურად, აზიის განვითარების ბანკი აგრძელებს მოლაპარაკებებს საქართველოს მთავრობასთან ენერგეტიკის სფეროში სუვერენული დაკრედიტების შესაძლებლობაზე, ენერგეტიკის სფეროს დაფინანსების შესაძლებლობასთან ერთად დიდ მნიშვნელობას იძენს განახლებადი ენერჯის პროექტებისათვის საჭირო დაფინანსებების მოძიება. აზიის განვითარების

ბანკის მხრიდან აღნიშნული რესურსების მოძიების შემთხვევაში ქვეყანას გაუჩნდება სფეროს განვითარების საკმაოდ დიდი შანსი.


აზიის განვითარების ბანკის ახალი სტრატეგიით წარმოდგეblლი დახმარებები რამდენიმე პრიორიტეტულ მიმართულებას მოიცავს, მათ შორისაა: საგზაო ტრანსპორტი, ურბანული ინფრასტრუქტურა და მომსახურება, კერძო სექტორი და სხვა თემატური მიმართულებები.

საგზაო ტრანსპორტი - უნდა აღნიშნოს, რომ საქართველოს გეოპოლიტიკური მდებარეობის გამო, ტრანსპორტი ქვეყნის ეკონომიკის განვითარებისათვის მნიშვნელოვანი ფაქტორია. საქართველოსათვის ჩქაროსნული ავტომაგისტრალი თურქეთის აღმოსავლეთის საზღვრიდან აზერბაიჯანის სამხრეთ-აღმოსავლეთის საზღვრებამდე უმნიშვნელოვანეს სტრატეგიულ მარშრუტს წარმოადგენს.

2013 წლისათვის დაგეგმილია ჩქაროსნული ავტომაგისტრალის პროექტის მომზადებისათვის საჭირო ტექნიკური დახმარების ფარგლებში გათვალისწინებული ერთი მილიონი აშშ დოლარის გამოყოფა. ჩქაროსნული მაგისტრალის ჯეროვნად ამოქმედება საქართველოს საშუალებას აძლევს გაზარდოს ტვირთბრუნვა და შესაბამისად, ტვირთბრუნვიდან მისაღები შემოსავლები.

ურბანული ინფრასტრუქტურა და მომსახურება - სტრატეგიის თანახმად, აზიის განვითარების ბანკი მხარს უჭერს საქართველოში ურბანულ განვითარებასა და მომსახურებას ტრანსპორტის, წყლით მომარაგების, სანიტარული სამსახურის სექტორების განვითარებაზე გამოყოფილი 800 მილიონი აშშ დოლარის საკრედიტო ხაზის მეშვეობით.

ამასთან, სტრატეგიული დოკუმენტის თანახმად, საინტერესოა ის ფაქტიც, რომ 2010 წელს აზიის განვითარების ბანკის მიერ დამტკიცებული 300 მილიონი აშშ დოლარი საქართველოში გამოიყო მდგრადი ურბანული ტრანსპორტის საინვესტიციო პროგრამის განვითარებაზე, ურბანული ტრანსპორტის ეფექტურობის, სამიედლოობის და ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით.



დიაგრამა 23, წყარო: აზიის განვითარების ბანკი

აზიის განვითარების ბანკის მიერ ურბანული ინფრასტრუქტურისათვის გამოყოფილი თანხები განსაკუთრებით შთამბეჭდავია 2011 წელს. ამ კუთხით საქართველოში მოსაგვარებელია სამი ძირითადი პრობლემა, რომელიც ურბანულ ტრანსპორტს უკავშირდება: მნიშვნელოვანია ურბანული ტრანსპორტის ფასი. იგი არ უნდა იყოს არაადეკვატური მოსახლეობის

შემოსავლებთან, ურბანული ტრანსპორტი არ უნდა ქმნიდეს გარკვეულ რისკს მომხმარებლებისათვის და ურბანული ტრანსპორტი მისი პოტენციური კონკურენტების ფონზე ადექვატურად პასუხობდეს მომხმარებლების მოთხოვნებს.

თემატური პრიორიტეტები - საინტერესოა, რომ აზიის განვითარების ბანკის სტრატეგიული დოკუმენტის თანახმად, საქართველოში განახლებადი ენერჯის პროექტებისათვის საჭირო არასუვერენული დახმარება 2013 წლებისათვის არის გათვალისწინებული.

რაც შეეხება 2012 წელს, აზიის განვითარების ბანკმა გასული წლის ივლისში დაამტკიცა მცირე მასშტაბიანი, 170 000 აშშ დოლარის ოდენობის გრანტი, რომელიც შეეხება კლიმატური ცვლილებების შესახებ ცოდნის ამაღლებას. კლიმატური ცვლილებებისადმი ცოდნის ამაღლება მოსახლეობის თვითშეგნების განვითარებისაკენ მიმართული საკმაოდ მნიშვნელოვანი და საჭირო აქტივობაა.

კერძო სექტორი - აზიის განვითარების ბანკის სტრატეგიის თანახმად, 2012-2013 წლებში ბანკი ხელს შეუწყობს სავაჭრო ოპერაციების, მცირე და საშუალო ბიზნესის დაკრედიტებას.

აზიის განვითარების ბანკის კერძო სექტორის ოპერაციების დეპარტამენტი, ასევე, ითვალისწინებს კერძო სექტორის ინვესტიციების მოძიებას და ტექნიკური დახმარების აღმოჩენას განახლებადი ენერჯის, ტრანსპორტის, ლოჯისტიკის, აგრობიზნესის, საკვების გადამამუშავებელი, ჯანდაცვის და განათლების სისტემების განვითარებისათვის.

აზიის განვითარების ბანკი თავისი სამომავლო საქმიანობით შექმნის წინაპირობებს, რომელიც საქართველოში ცალკეული მნიშვნელოვანი



თემატური მიმართულებებისათვის ინვესტიციების მოზიდვას შეუწყობს ხელს. ინვესტიციების მოზიდვის პრიორიტეტულ მიმართულებებად ნახსენებია აგრობიზნესი, სფერო, რომელიც ყოველთვის დიდი დისკუსიის საგანი იყო ქართული ეკონომიკის განვითარებაზე საუბრის დროს. იმ ფონზე, როდესაც სახელმწიფო საუბრობს სოფლის მეურნეობის სფეროს პრიორიტეტიზებაზე, საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტის მხრიდან ფინანსური მხარდაჭერა ქმნის მნიშვნელოვან რესურსს დარგის განვითარებისათვის.

საყურადღებოა, ასევე, ჯანდაცვის სფეროს როგორც პრიორიტეტის განსაზღვრა ინვესტიციების მოზიდვის კონტექსტში. საქართველოში ჯანდაცვის სფერო მნიშვნელოვან დახმარებას საჭიროებს. არანაკლებ საინტერესი და მნიშვნელოვანი პრიორიტეტია ინვესტიციების მოზიდვა განათლების სექტორში. განათლებაში ახალი ტექნოლოგიების, კადრების გადამზადების მიმართულებით ინვესტიციები მნიშვნელოვან დახმარებას გაუწევს სფეროს შემდგომ განვითარებას.

საერთო ჯამში, 2012 წელს 2011 წელთან შედარებით აზიის განვითარების ბანკის პროექტებში უმნიშვნელოდ არის შემცირებული ფინანსური სექტორის დაკრედიტება; დაახლოებით ერთი პროცენტით არის შემცირებული სახელმწიფო სექტორის დაფინანსება, დაახლოებითა იგივე ოდენობით არის გაზრდილი ტრანსპორტის და საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიის სფეროს დაფინანსება.

უნდა აღნიშნოს, რომ აზიის განვითარების ბანკის მიერ წყალმომარაგების და სხვა მუნიციპალური ინფრასტრუქტურის დაფინანსება 2012 წელს 2011 წელთან შედარებით შემცირებულია თითქმის ორი პროცენტით, იგივე რაოდენობითაა შემცირებული მულტისექტორული

დაფინანსება. სამაგიეროდ, 2012 წელს 2011 წელთან შედარებით იკვეთება ახალი მიმართულება - ენერგოსექტორი, რომლის ფინანსური მაჩვენებელი აზიის განვითარების ბანკის მიერ 2012 წელს დაფინანსებული პროექტების საერთო თანხის ოთხ პროცენტს აღემატება.

წარმოდგენილი ანალიზიდან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ აზიის განვითარების ბანკს 2012 წელს 2011 წელთან შედარებით პრიორიტეტები არსებითად არ შეუცვლია. პრიორიტეტებს შორის, რეალური განმასხვავებელი ნიშანი ენერგოსექტორის დაფინანსებაა. სავარაუდოა, რომ 2013 წლისათვის ენერგოსექტორი უფრო მნიშვნელოვან ადგილს დაიკავებს აზიის განვითარების ბანკის მიერ განხორციელებულ პროექტებში.

*საქართველოს მთავრობისა და საქართველოს ეროვნული ბანკის საგარეო  
ვალი საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებთან მიმართებაში -  
მრავალმხრივი კრედიტორებისადმი დავალიანება*

საქართველოში მუდმივად აქტუალურია დისკუსია ქვეყნის საგარეო ვალის შესახებ. ამასთან, სახელმწიფო ვალის თემა ხშირად გამხდარა არა კვალიფიციური დისკუსიის, არამედ სხვადასხვა ტიპის სპეკულაციების საგანი.

სახელმწიფო ვალი არის სახელმწიფოს მიერ აღებული ყველა სესხი და მათზე დარიცხული პროცენტები, რომლებიც დროის მოცემული მომენტისათვის დაფარული არ არის. ნებისმიერ სახელმწიფოს აქვს ვალის გამართლების უამრავი მიზეზი: მაგალითად, სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტი, ან ქვეყნისათვის საჭირო ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება და ა.შ.

სახელმწიფო ვალი თავის მხრივ იყოფა ორ ნაწილად: სახელმწიფო საგარეო და სახელმწიფო საშინაო ვალად. სახელმწიფო საშინაო ვალი არის ქვეყნის მთავრობის მიერ საკუთარი მოქალაქეებისაგან აღებული ვალი. სახელმწიფო საგარეო ვალი კი არის მთავრობის მიერ სხვა ქვეყნებისაგან, ან საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებისაგან გარკვეული მიზნებისათვის აღებული სესხი.

საგარეო ვალის აღება ეკონომიკური თვალსაზრისით იმ შემთხვევაშია გამართლებული, როდესაც ქვეყანაში ადგილი აქვს ეკონომიკურ ზრდას, ან არსებობს გათვლა, პროგნოზი ქვეყანაში პოტენციური ეკონომიკური ზრდის მიმართულებით და სწორედ ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობისათვის საჭირო ხდება ქვეყნის გარედან დამატებითი ფინანსური სახსრების მოძიება.

სხვაგვარად რომ ვთქვათ, ნებისმიერ ქვეყანას, რომელსაც სურს ვალის აღება, უნდა ჰქონდეს მზარდი მიმდინარე ან პოტენციური შემოსავალი, რათა გრძელვადიან პერიოდში მაინც ადვილად შეძლოს აღებული ვალის, ე.წ. ძირი თანხისა და მისი ასევე მზარდი პროცენტების დაფარვა.


სახელმწიფო საგარეო ვალს ოთხი მიმართულება აქვს: პირველი, ეს არის ვალი მრავალმხრივი კრედიტორებისაგან, ანუ საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებისგან; მეორე, ორმხრივი კრედიტორებისაგან აღებული ვალი, როდესაც ქვეყანა სხვა ქვეყნისაგან სესხულობს ფულს; მესამეა სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების გაყიდვის გზით დაგროვილი ვალი და ბოლოს, სესხი, რომელიც მესამე ქვეყნიდან, ან საერთაშორისო ორგანიზაციიდან ხორციელდება სახელმწიფოს გარანტიის პირობით.

2013 წლის 30 მაისის მდგომარეობით საქართველოს სახელმწიფო საგარეო ვალი თითქმის ოთხი მილიარდ 208 მილიონი აშშ დოლარია. მათ შორის, საქართველოს მთავრობის ვალი თითქმის ოთხი მილიარდი აშშ დოლარია. ამასთან, მრავალმხრივი კრედიტორების მიმართ (იგულისხმება საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტები) საქართველოს დავალიანება ორი მილიარდ შვიდას მილიონ აშშ დოლარს აღწევს, ამას ემატება ამავე პერიოდისათვის საქართველოს ეროვნული ბანკის დავალიანება საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიმართ, რომელიც 278 მილიონ აშშ დოლარს აღემატება.

სახელმწიფოს საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებისადმი დავალიანების შედარებისათვის შეგვიძლია აღვნიშნოთ, რომ ორმხრივი კრედიტორებისადმი (ცალკეული ქვეყნებისადმი) საქართველოს მთავრობის საგარეო ვალი 2013 წლის 30 მაისის მდგომარეობით მხოლოდ 740 მილიონ აშშ დოლარს აღწევს. ცხადია, რომ აღნიშნული ციფრი მნიშვნელოვნად ჩამორჩება

საქართველოს მთავრობის დავალიანებას მრავალმხრივი კრედიტორების მიმართ. ამასთან, ორმხრივი კრედიტორებს შორის, საქართველოს ყველაზე დიდი დავალიანება აქვს გერმანიის მიმართ. ეს დავალიანება 331 მილიონ აშშ დოლარს აღემატება (თანხა ნომინირებულია ევროში), გერმანიის მიმართ დავალიანებაში იგულისხმება გარანტირებული კრედიტიც.

გადავხედოთ საქართველოს მთავრობის საგარეო ვალს მრავალმხრივ და ორმხრივ კრედიტორებთან მიმართებაში - 2013 წლის 30 მაისის მდგომარეობით (ათასი აშშ დოლარი):



\*2013 წლის მონაცემები მოცემულია 2013 წლის 30 მაისის მდგომარეობით

დიაგრამა24 , წყარო: საქართველოს ფინანსთა სამინისტრო


მიუხედავად იმისა, რომ მთავრობის საგარეო ვალი მნიშვნელოვნად აღემატება ორმხრივი კრედიტორების მიმართ არსებულ დავალიანებას,

გასათვალისწინებელია, რომ მრავალმხრივი კრედიტორების მიმართ საქართველოს მთავრობის დავალიანება ხშირად გაცილებით უფრო შეღავათიან პირობებს გულისხმობს (როგორც ძირი თანხის დაფარვის გრაფიკის, ისე საპროცენტო განაკვეთის მხრივ), ვიდრე ეს ორმხრივი კრედიტორებისგან აღებული ვალის - ცალკეული ქვეყნებისადმი დავალიანების მიმდინარე პირობები. ამიტომ, როდესაც სესხების ეკონომიკურ ეფექტიანობას ვაფასებთ, უნდა გავანალიზოთ სესხის გაცემის პირობები და საპროცენტო განაკვეთი.

მრავალმხრივი კრედიტორებისადმი მთავრობისა თუ საქართველოს ეროვნული ბანკის დავალიანებაზე საუბრისას უყურადღებოდ არ უნდა დარჩეს ის ფაქტიც, რომ საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებიდან კრედიტის სახით მიღებული თანხები ხმარდება არა მხოლოდ ცალკეული ინფრასტრუქტურის პროექტების განხორციელებას, არამედ ქვეყნის მაკროეკონომიკურ სტაბილურობას, რაც განვითარებადი ქვეყნისათვის საკმაოდ მნიშვნელოვანი ასპექტია.

საქართველოს სახელმწიფოს საგარეო ვალი მრავალმხრივ კრედიტორებთან (საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებთან) მიმართებაში თითქმის ყოველწლიურად იზრდებოდა. თუმცა, პარალელურად შესამჩნევი იყო ქვეყნის ინფრასტრუქტურის მოწესრიგების მიმართულებით განხორციელებული პროექტები და საკმაოდ მძიმე ეკონომიკური რყევების პირობებში (რუსეთის ემბარგო, რუსეთ-საქართველოს კონფლიქტი, მსოფლიო ეკონომიკური კრიზისი) მაკროეკონომიკური სტაბილურობა.

განვიხილოთ საქართველოს მთავრობის საგარეო ვალი მრავალმხრივ კრედიტორებთან მიმართებაში:



\*2013 წლის მონაცემები მოცემულია 2013 წლის 30 მაისის მდგომარეობით


დიაგრამა 25, წყარო: საქართველოს ფინანსთა სამინისტრო

2013 წლისათვის საქართველოს მთავრობას შვიდი მრავალმხრივი კრედიტორის მიმართ აქვს დავალიანება, ესენია:

- მსოფლიო ბანკი, განვითარების საერთაშორისო ასოციაცია (IDA)
- მსოფლიო ბანკი, რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკი (IBRD)
- სოფლის მეურნეობის განვითარების საერთაშორისო ფონდი (IFAD)
- საერთაშორისო სავალუტო ფონდი (IMF)
- ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი (EBRD)
- აზიის განვითარების ბანკი (ADB)
- ევროპის საინვესტიციო ბანკი (EIB)
- ევროკავშირის დახმება (EC)

გარდა აღნიშნული საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებისა, საქართველოს ეროვნულ ბანკს აქვს ცალკე წარმოქმნილი დავალიანება საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიმართ.

საქართველოს ეროვნული ბანკის დავალიანება საერთაშორისო სავალუტო ფონდისადმი წლების მიხედვით (მილიონი აშშ დოლარი):



\*2013 წლის მონაცემები მოცემულია 2013 წლის 30 მაისის მდგომარეობით

დიაგრამა 26, წყარო: საქართველოს ფინანსთა სამინისტრო

დიაგრამის მიხედვით ნათლად ჩანს, რომ 2003-2012 წლებში ეროვნული ბანკის მიერ საერთაშორისო სავალუტო ფონდის ფინანსური დახმარების გამოყენების ყველაზე მაღალი მაჩვენებელი იყო 2009 წელს. 2009 წელი იყო ყველაზე მაღალი რისკის შემცველი წელი საქართველოს მაკროეკონომიკური სტაბილურობისათვის. დიდი რისკები შექმნა ქვეყანაში 2008 წელს რუსეთ-




საქართველოს კონფლიქტმა, რომელსაც დაემატა მსოფლიოს ეკონომიკური კრიზისის ფონზე მოსალოდნელი რისკები.

უნდა აღინიშნოს, რომ მრავალმხრივ კრედიტორებთან მიმართებაში საქართველოს მთავრობის დავალიანებისაგან განსხვავებით, საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ საერთაშორისო სავალუტო ფონდისადმი გადასახდელი თანხები 2010 წლიდან იწყებს მნიშვნელოვან კლებას. 2013 წლის 30 მაისის მდგომარეობით საქართველოს ეროვნული ბანკის დავალიანებას საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიმართ უფრო დაბალი მაჩვენებელი აქვს, ვიდრე ეს 2003 წელს იყო.

ამასთან, აუცილებელია, იმ ციფრების ანალიზი, თუ რომელი საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტთან მიმართებაში აქვს საქართველოს მთავრობას ყველაზე მაღალი დავალიანება.

შევისწავლოთ საქართველოს მთავრობის საგარეო ვალი მრავალმხრივ კრედიტორებთან მიმართებაში:




\*მაჩვენებლები მოცემულია, 2013 წლის 30 მაისის მდგომარეობით

დიაგრამა 27, წყარო: საქართველოს ფინანსთა სამინისტრო

აღსანიშნავია, რომ ცხრილში არ არის მოხვედრი საქართველოს დავალიანება ევროგაერთიანებისადმი (EC). ცხრილი მოცემულია 2003-2013 წლების ჩათვლით, ხოლო ევროგაერთიანების მიმართ დავალიანებას საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მონაცემების მიხედვით 2010 წლის შემდგომ ვეღარ ვხვდებით.

საქართველოს მთავრობის დავალიანება ევროგაერთიანებისადმი (EC)

### ათასი აშშ დოლარი




დიაგრამა 28, წყარო: საქართველოს ფინანსთა სამინისტრო.

თუ მოკლედ მიმოვიხილავთ ამ დავალიანებას, აშკარაა, რომ აღნიშნული ვალდებულების ყველაზე მაღალი მაჩვენებელი 2003 წელს ფიქსირდება და შემდგომ წლებში საქართველოს მთავრობის დავალიანება ევროგაერთიანების მიმართ თითქმის მუდმივი შემცირების ტენდენციით ხასიათდება, რაც საკმაოდ მნიშველოვანია.

საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებისადმი საქართველოს დავალიანების ცხრილიდან ნათლად ჩანს, რომ ორმხრივ კრედიტორებთან მიმართებაში საქართველოს მთავრობას საგარეო ვალი ყველაზე მაღალი მაჩვენებლით მსოფლიო ბანკის, განვითარების საერთაშორისო ასოციაციის მიმართ გააჩნია.

თუ აღნიშნულ დავალიანებას წლების მიხედვით გაავანალიზებთ, აღმოჩნდება, რომ აღნიშნულ დავალიანებას მუდმივად მზარდი სახე ჰქონდა და პიკს 2012 წელს მიაღწია. ამავე დროს უნდა აღინიშნოს, რომ დავალიანების ყველაზე მაღალი ზრდა ფიქსირდება 2008-2009 წლების პერიოდში, რუსეთ-საქართველოს შეიარაღებული კონფლიქტისა და მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის ფონზე.

საქართველოს მთავრობის საგარეო ვალი მსოფლიო ბანკის, განვითარების საერთაშორისო ასოციაციის (IDA) მიმართ




დიაგრამა 29, წყარო: საქართველოს ფინანსთა სამინისტრო

\*2013 წლის მონაცემები მოცემულია 2013 წლის 30 მაისის მდგომარეობით

როგორც უკვე აღვნიშნეთ, საქართველოს მთავრობას საგარეო ვალის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი მსოფლიო ბანკის, რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო (IBRD) ბანკის მიმართ აქვს.

საქართველოს მთავრობის საგარეო ვალის მაჩვენებლის დინამიკა მსოფლიო ბანკის, რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო (IBRD) ბანკის მიმართ - 2009-2013 წლებში ასეთია:



დიაგრამა 30, წყარო: საქართველოს ფინანსთა სამინისტრო \*2013 წლის მონაცემები მოცემულია 2013 წლის 30 მაისის მდგომარეობით


წარმოდგენილი დიაგრამიდან ნათლად ჩანს, რომ მსოფლიო ბანკის რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო (IBRD) ბანკი საქართველოს მთავრობასთან აქტიურ თანამშრომლობას მხოლოდ 2009 წლიდან იწყებს. ამ პერიოდში საქართველოს მთავრობა უკვე აქტიურად თანამშრომლობს, მსოფლიო ბანკთან, განვითარების საერთაშორისო ასოციაციასთან, ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკთან, სოფლის მეურნეობის განვითარების საერთაშორისო ფონდთან, ასევე აზიის განვითარების ბანკთან. მიუხედავად შედარებით გვიან დაწყებული თანამშრომლობისა, ჩანს, რომ რეკონსტრუქციისა და განვითარების

საერთაშორისო ბანკი საკმაოდ აქტიურად იწყებს თანამშრომლობას საქართველოს მთავრობასთან და განვითარების საერთაშორისო ასოციაციის შემდგომ საქართველოს მთავრობის მთავარი კრედიტორი ხდება. ამასთან, მისი დახმარებები ყოველწლიურად უფრო მზარდი ხდება.

2013 წლის 30 მაისის მდგომარებით, არსებული ვალის მაჩვენებლის მიხედვით საქართველოს მთავრობის რიგით მესამე კრედიტორი საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებს შორის საერთაშორისო სავალუტო ფონდია.

ჩვენ უკვე განვიხილეთ საქართველოს ეროვნული ბანკის დავალიანება საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიმართ. თუ ამ დავალიანებას არ მივიღებთ მხედველობაში, ფინანსთა სამინისტროს მონაცემების მიხედვით, საქართველოს მთავრობის საგარეო ვალის წარმოშობა საერთაშორისო სავალუტო ფონდთან 2009 წლიდან იწყებს ათვლას.

გადავხედოთ საქართველოს მთავრობის საგარეო ვალს საერთაშორისო სავალუტო ფონდის (IMF) მიმართ წლების მიხედვით




დიაგრამა 31, წყარო: საქართველოს ფინანსთა სამინისტრო \*2013 წლის მონაცემები მოცემულია 2013 წლის 30 მაისის მდგომარეობით

მონაცემთა ანალიზის დროს ირკვევა, რომ საერთაშორისო სავალუტო ფონდმა სწორედ მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის ფონზე და რუსეთ-საქართველოს შეიარაღებული კონფლიქტის შემდგომ გაუწია საქართველოს დახმარება. ამასთან, საერთაშორისო სავალუტო ფონდის დახმარების პიკი 2012 წელია. 2011 წლიდან კი საქართველოს მთავრობა იწყებს საერთაშორისო სავალუტო ფონდისადმი დავალიანების შემცირებას. ამ მხრივ, საქართველოს მთავრობის და საქართველოს ეროვნული ბანკის ქმედებათა პოლიტიკა საერთაშორისო სავალუტო ფონდთან მიმართებაში მსგავსია.

2008 წლის რუსეთ-საქართველოს კონფლიქტის შემდგომ საქართველოსთან აქტიურ თანამშრომლობას იწყებს აზიის განვითარების ბანკი და 2013 წლის მაისის მონაცემით საქართველოს მთავრობის მრავალმხრივ კრედიტორთა შორის მეოთხე პოზიცია უკავია.

განვიხილოთ საქართველოს მთავრობის საგარეო ვალი აზიის განვითარების ბანკისადმი 2008-2013 წლები:




დიაგრამა32, წყარო: საქართველოს ფინანსთა სამინისტრო \*2013 წლის მონაცემები მოცემულია 2013 წლის 30 მაისის მდგომარეობით

მონაცემებიდან ნათლად ჩანს, თუ რამდენად აქტიურად შემოდის აზიის განვითარების ბანკი საქართველოში. განსაკუთრებული აქტივობა სწორედ 2008-2009 წლებში ფიქსირდება და შემდგომ, თუ 2013 წლის მაჩვენებელს არ მივიღებთ მხდველობაში, აზიის განვითარების ბანკის აქტივობა ერთმნიშვნელოვნად მზარდია.

2013 წლის მაჩვენებლის მიხედვით საქართველოს მთავრობის მრავალმხრივ კრედიტორთა შორის იკვეთება ევროპის საინვესტიციო ბანკი (EIB). აღსანიშნავია, რომ ევროპის საინვესტიციო ბანკი ორი წლით უფრო გვიან იწყებს აქტივობებს საქართველოში, ვიდრე აზიის განვითარების ბანკი (ADB).

აქვე უნდა მივუთითოთ, რომ 2010 წლიდან, ევროპის საინვესტიციო ბანკის შემოსვლის შემდეგ, საქართველოს მთავრობის მრავალმხრივ კრედიტორთა შთამბეჭდავ რიცხვს ახალი კრედიტორი აღარ დამატებია.

საქართველოს მთავრობის დავალიანების დინამიკა ევროპის საინვესტიციო ბანკის (EIB) მიმართ 2010-2013 წლებში ასეთია:




გ  
 დიაგრამა 33, წყარო: საქართველოს ფინანსთა სამინისტრო \*2013 წლის მონაცემები მოცემულია 2013 წლის 30 მაისის მდგომარეობით

მონაცემების ანალიზისას ნათლად ჩანს, რომ ევროპის საინვესტიციო ბანკი საქართველოსთან თანამშროლობას იწყებს შედარებით მცირე სესხით, თუმცა შემდომი სამი წლის განმავლობაში ეს დახმარება გაცილებით დიდ მასშტაბებს იძენს და 2013 წლის მაჩვენებლის მიხედვით აღემატება საქართველოს მთავრობის ორი ყველაზე ადრინდელი მრავალმხრივი კრედიტორის - ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკისა და სოფლის მეურნეობის განვითარების საერთაშორისო ფონდის მაჩვენებლებს.

ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი (EBRD) საქართველოს მთავრობის ერთ-ერთი ყველაზე ხანგრძლივი პერიოდის მრავალმხრივი კრედიტორია. თუმცა, როდესაც განვიხილავთ ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკისადმი საქართველოს მთავრობის საგარეო ვალს, უნდა გავითვალისწინოთ ერთი მხრივ, ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკისადმი წარმოქმნილი მრავალმხრივი საგარეო ვალი და მეორე მხრივ, გარანტირებული კრედიტები.

გავანალიზოთ საქართველოს მთავრობის დავალიანება ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის მიმართ (EBRD). ცხრილში გაერთიანებულია მრავალმხრივი საგარეო ვალი და გარანტირებული კრედიტები:






\*2013 წლის მონაცემები მოცემულია 2013 წლის 30 მაისის მდგომარეობით

დიაგრამა 34, წყარო: საქართველოს ფინანსთა სამინისტრო

მონაცემთა ანალიზიდან ჩანს, რომ ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის აქტივობა 2003-2008 წლებში დიდად არ განსხვავდებოდა ერთმანეთისაგან. თუმცა, 2009 წლიდან აქტიურობის დონე საგრძნობლად და 2013 წლის ჩათვლით საქართველოს მთავრობის საგარეო ვალს ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის მიმართ მზარი ხასიათი აქვს.

ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკთან ერთად საქართველოს მთავრობის დიდი ხნის პარტნიორად მიიჩნევა სოფლის მეურნეობის განვითარების საერთაშორისო ფონდიც.

გადავხედოთ საქართველოს მთავრობის ვალს სოფლის მეურნეობის განვითარების საერთაშორისო ფონდის მიმართ (IFAD)



\*2013 წლის მონაცემები მოცემულია 2013 წლის 30 მაისის მდგომარეობით

დიაგრამა 35, წყარო: საქართველოს ფინანსთა სამინისტრო

მიუხედავად იმისა, რომ 2013 წლის 30 მაისის მაჩვენებლის მიხედვით საქართველოს მთავრობის მრავალმხრივ კრედიტორთა შორის სოფლის მეურნეობის განვითარების საერთაშორისო ფონდი (IFAD) ბოლო ადგილს იკავებს, მისი დახმარება საქართველოსთვის, ახალი პრიორიტეტებიდან გამომდინარე, საკმაოდ მნიშვნელოვანია. მონაცემთა ანალიზიდან ჩანს, რომ ფონდი, სხვა საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების უმრავლესობის მსგავსად, განსაკუთრებულად გააქტიურებულია სწორედ 2008 წლიდან და მისი დახმარება პიკს 2013 წელს აღწევს.

საქართველოსათვის საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების მიერ გამოყოფილი დაფინანსების დინამიკას მთლიანობაში თუ გავანალიზებთ, საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების მიერ განსაკუთრებული აქტიურობის პერიოდი 2008 წლის შემდგომი პერიოდია. ბუნებრივია, ამ ფაქტის მთავარი მიზეზია 2008 წლის 22 ოქტომბერს ბრიუსელში ჩატარებული დონორთა კონფერენცია საქართველოს რეაბილიტაციისათვის. კონფერენციის

უმთავრესი მიზანი იყო რუსეთ-საქართველოს ომის შემდგომი ეკონომიკური რეაბილიტაცია და ქვეყანაში ეკონომიკური კრიზისის შეჩერება, რომლის ყველა ნიშანიც ომის შემდგომ პერიოდში მკაფიოდ ჩანდა.

ბრიუსელის კონფერენციის შემდგომ საქართველოს გამოეყო დაფინანსება, რომელიც დაახლოებით ოთხმილიარდნახევარს შეადგენდა. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი კონტრიბუტორები იყვნენ აშშ, ევროკომისია და იაპონია. ცხადია, გადამწყვეტი როლი დაეკისრა მსოფლიო ბანკის შემდგომ აქტივობებს საქართველოში. მნიშვნელოვანია ისიც, რომ გამოყოფილი თანხებიდან ორი მილიარდი დოლარი გრანტის სახით გამოიყო, ხოლო დანარჩენი თანხა, უმეტესად, დაბალპროცენტიანი სესხია.

დონორთა კონფერენციის შედეგად გამოყოფილი თანხები, ცხადია, ვერ განიხილება როგორც მხოლოდ ინვესტიცია საქართველოს ეკონომიკაში. ამ პერიოდში ქვეყნის წინაშე იდგა მთელი რიგი სოციალური პრობლემები. შესაბამისად, დონორთა დაფინანსების მხოლოდ ეკონომიკურ ეფექტიანობაზე საუბარი არასწორია.


დონორთა კონფერენციამ საქართველოსათვის საჭირო პრიორიტეტებად რამოდენიმე დაასახელა: სოციალური დახმარება და დაზიანებული ინფრასტრუქტურის აღდგენა, სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტის დამლევა, საბანკო სექტორის რეაბილიტაცია, ასევე, ძირითადი ინვესტიციები სატრანსპორტო, მუნიციპალურ და ენერჯეტიკის სფეროში.

დონორთა კონფერენციას წინ უძღოდა საქართველოსათვის საჭიროებათა შეფასების დოკუმენტის მიღება (Joint Needs Assessment), რომელიც საქართველოსათვის 3.25 მილიარდი აშშ დოლარის დახმარების გამოყოფას ითვალისწინებდა. დოკუმენტის წინასწარი ვერსია მომზადდა მსოფლიო ბანკის, ევროკომისიისა და გაერო-ს საჭიროებათა შეფასების

ერთობლივი მისიის მიერ, რომელიც საქართველოში ორი კვირის მანძილზე იმყოფებოდა 2008 წლის სექტემბერში. საჭიროებათა შეფასების ერთობლივ დოკუმენტში განხილულია 2008 წლის აგვისტოს ომის შედეგები, შეფასებულია ომის შემდგომ წარმოშობილი საჭიროებები. ამასთან, მოცემულია დახმარების განხორციელების გეგმა.

საჭიროებათა შეფასების დოკუმენტში დახმარებები ძირითადად განისაზღვრა ინფრასტრუქტურული, საბიუჯეტო და სოციალური სფეროს მიმართულებით.

გადავხედოთ საჭიროებათა შეფასების ერთობლივ დოკუმენტში მიმართულებათა პროცენტულ გადანაწილებას:



დიაგრამა 36, წყარო: საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო

2008 წლის დონორთა კონფერენციის შედეგად საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების კიდევ უფრო გააქტიურება გამოიწვია, რამაც ქვეყანაში მნიშვნელოვანი პროექტების ინიცირებას ჩაუყარა საფუძველი. მიუხედავად იმისა, რომ პროექტების დიდი ნაწილი სოციალური ხასიათისაა, ბიზნესის განვითარებას მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი, განსაკუთრებით კი, ინფრასტრუქტურულმა და მუნიციპალურმა პროექტებმა. ამასთან, საქართველოს მიეცა შანსი დამატებით ეთანამშრომლა იმ საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებთან, რომლებიც მანამდე საქართველოსთან მიმართებაში განსაკუთრებული ინტერესით არ გამოირჩეოდნენ.

*საექსპერტო კვლევა - „საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების საქმიანობის შეფასების შესახებ დასკვნები“*

საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებზე მსჯელობისას მათ მიერ წარმოდგენილი ანგარიშების განხილვის პარალელურად, არსებითია სამთავრობო, თუ კერძო სექტორის იმ წარმომადგენელთა აზრის კვლევა, რომელთაც, გარკვეული საქმიანი ბიზნეს ურთიერთობა ჰქონდათ საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებთან.

კვლევის ფარგლებში ჩავატარეთ გამოკითხვა. რესპოდენტთა შერჩევას ვიხელმძღვანელებთ შემდეგი კრიტერიუმებით:

- პროფესიული კომპეტენცია და სამუშაო გამოცდილება;
- აქტივობა, პროექტებში ჩართულობის სიხშირე;
- მისი, როგორც პრაქტიკოსის მიღწევები;


პარალელურად განვსაზღვრეთ ყველა ის პროფესიული თუ სამუშაო სფერო, რომელიც საჭირო იყო კომპეტენტური პასუხებისთვის. რესპოდენტთა ჯგუფის შექმნისას ერთი მხრივ, ვიხელმძღვანელებთ შემუშავებული კრიტერიუმებით და მეორე მხრივ, ვეცადეთ რესპოდენტები თანაბრად შეგვერჩია ყველა საჭირო სფეროდან. საბოლოოდ შეირჩა 41 რესპოდენტი, მათ შორის არიან:

- საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების ყოფილი თანამშრომლები;
- არასამთავრობო ორგანიზაციების თანამშრომლები;
- სახელმწიფო სტრუქტურების თანამშრომლები;
- ეკონომიკურ და ბიზნეს თემატიკაზე მომუშავე ჟურნალისტები;
- აკადემიური წრეების წარმომადგენლები;

- კერძო სექტორის (ბიზნესის) წარმომადგენლები;
- სახელმწიფო სტრუქტურების ყოფილი თანამშრომლები ;
- პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლები;
- დამოუკიდებელი ექსპერტები;

გამოკითხვა წარმოდგენილი იყო 9 კითხვით. კითხვარის შედგენისას ვიხლემძღვანელეთ შემდეგი პრინციპებით: 1. კითხვებში ასახულიყო საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების მიმართ არსებული არსებითი შენიშვნები; 2. წარმოჩენილიყო საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების საქმიანობის შეფასება; 3. კითხვები თანაბრად გადანაწილებულიყო ყველა საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტზე.

კითხვა 1. თვლით თუ არა, რომ ქვეყანას მაკროეკონომიკური სტაბილურობისთვის კვლავ ესაჭიროება საერთაშორისო სავალუტო ფონდის დახმარება?




დიაგრამა 37. საექსპერტო გამოკითხვის შედეგები

გამოკითხულთა - 75 პროცენტი მიიჩნევს, რომ ქვეყანას ჯერ კიდევ ესაჭიროება საერთაშორისო სავალუტო ფონდის დახმარება მაკროეკონომიკური სტაბილურობის მისაღწევად.

საერთაშორისო სავალუტო ფონდის დახმარების საჭიროების პარალელურად, აუცილებელია გაანალიზდეს დახმარების ეფექტურობა და ამ კუთხით სავარაუდო შეცდომები. რაც, თავის მხრივ, უფრო ეფექტიანს და შედეგზე ორიენტირებულს გახდის მომავალ დახმარებებს.

კითხვა 2. რამდენად ეფექტიანი იყო საერთაშორისო სავალუტო ფონდის ქმედებები წლების განმავლობაში საქართველოში განხორციელებული პროექტებიდან გამომდინარე ქვეყნის მაკროეკონომიკური სტაბილურობისათვის? (მხოლოდ საერთაშორისო სავალუტო ფონდის გადაწყვეტილებების ეფექტიანობის შეფასება)




დიაგრამა 38: საექსპერტო გამოკითხვის შედეგები



საქართველოში მაკროეკონომიკური სტაბილურობისათვის საერთაშორისო სავალუტო ფონდის ქმედებებმა დადებითი შეფასება მიიღო, კერძოდ, შეფასებამ „ეფექტიანი“ და „ძირითადად ეფექტიანი“ ჯამში 80 პროცენტი მოგვცა. აღნიშნულიდან გამომდინარე ჩანს, რომ საერთაშორისო სავალუტო ფონდის საქმიანობას გამოკითხულ ექსპერტთა უმრავლესობა დადებითად, თუმცა მაინც არასკამარისად მიიჩნევს. საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ საქართველოში მაკროეკონომიკური სტაბილურობისათვის განხორციელებულ პროექტებს ეფექტიანად მხოლოდ 30 პროცენტი მიიჩნევს, ხოლო 50 პროცენტი მას „ძირითადად ეფექტიანად“ თვლის. რაც მიუთითებს, რომ ფონდის საქმიანობასთან დაკავშირებით შეკითხვები არსებობს და შესაბამისად, ფონდის პროექტები სასურველია უფრო მეტ გადახედვას ექვემდებარებოდეს.

საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ განხორციელებული პროექტების ეფექტიანობის შეფასებასთან ერთად უნდა შეფასდეს პროექტების გამოყენების ეფექტიანობაც.

კითხვა 3.რამდენად ეფექტიანად გამოიყენა საქართველომ საერთაშორისო სავალუტო ფონდის ფარგლებში გამოყოფილი დაფინანსება ქვეყნის მაკროეკონომიკური სტაბილურობისათვის?




დიაგრამა 39: საექსპერტო გამოკითხვის შედეგები

გამოკითხვის შედეგები საკმაოდ საინტერესო დასკვნების გაკეთების საშუალებას იძლევა. კერძოდ, მკაფიოდ ჩანს, რომ გამოკითხული რესპოდენტებიდან არავინ (0%) მიიჩნევს, რომ საქართველომ საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ გამოყოფილი დაფინანსება ეფექტიანად გამოიყენა. მაშინ, როდესაც თავად საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ განხორციელებულ ქმედებებს რესპოდენტთა 30 პროცენტი ეფექტიანად, ხოლო 50 % ძირითადად ეფექტიანად მიიჩნევს. აღნიშნული შედეგი მიგვანიშნებს, რომ საერთაშორისო სავალუტო ფონდის სტრატეგიის მიმართ სანდოობის კოეფიციენტი უფრო მაღალია, ვიდრე ამ სტრატეგიის საქართველოს მიერ გამოყენების ეფექტურობისა და მიზნობრიობის მიმართ.

მეორე მხრივ, გამოკითხული ექსპერტების 70 პროცენტი მიიჩნევს, რომ საერთაშორისო სავალუტო ფონდის ფარგლებში გამოყოფილი დაფინანსება საქართველომ ძირითადად ეფექტიანად გამოიყენა. გამოკითხულთა 25 პროცენტი მიიჩნევს, რომ დაფინანსების გამოყენება საქართველოს მხრიდან ძირითადად არაეფექტიანი იყო, ხოლო საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ გამოყოფილი დაფინანსების ძირითადად არაეფექტიანობას მხოლოდ ათი პროცენტი უსაგვს ხაზს. ეს შედეგი კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ ქვეყანას ესაჭიროება უფრო კვალიფიციური და შედეგზე ორიენტირებული მუშაობა საერთაშორისო სავალუტო ფონდთან მიმართებაში.

გარდა საერთაშორისო სავალუტო ფონდისა, არანაკლებ მნიშვნელოვანია იმ საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების საქმიანობის მიმოხილვა, რომლებიც არა მხოლოდ მაკროეკონომიკური სტაბილურობის, არამედ ინფრასტრუქტურისა და ბიზნესის განვითარების მიმართულებით მუშაობენ სამთავრობო და კერძო სექტორთან.

კითხვა 4.რამდენად ეფექტიანი იყო მსოფლიო ბანკის ქმედებები წლების განმავლობაში საქართველოში განხორციელებული პროექტებიდან გამომდინარე? (მხოლოდ მსოფლიო ბანკის გადაწყვეტილებების ეფექტიანობა)




დიაგრამა 40: საექსპერტო გამოკითხვის შედეგები

გამოკითხულთა 85 პროცენტი მიიჩნევს, რომ მსოფლიო ბანკის მიერ საქართველოში პროექტების განხორციელებასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებები „ეფექტიანი“, ან „ძირითადად ეფექტიანი“ იყო, რაც საკმაოდ მაღალი მაჩვენებელია. მნიშვნელოვანია ისიც, რომ არაეფექტიანობის მაჩვენებელი ნულს უტოლდება. თუმცა, გამოკითხულთა 15 პროცენტი მაინც მიიჩნევს, რომ მსოფლიო ბანკის გადაწყვეტილებები საქართველოში პროექტების დაფინანსებასთან მიმართებაში ძირითადად არაეფექტიანი იყო.

მსოფლიო ბანკის გადაწყვეტილებების ეფექტიანობასთან ერთად, საინტერესოა კითხვა, რომელიც საქართველოს მხრიდან მსოფლიო ბანკის მიერ გამოყოფილი დაფინანსების ეფექტიანად გამოყენებას შეაფასებს.

კითხვა 5. რამდენად ეფექტიანად გამოიყენა საქართველომ მსოფლიო ბანკის ფარგლებში გამოყოფილი დაფინანსება?



დიაგრამა 41: საექსპერტო გამოკითხვის შედეგები


გამოკითხულთა 65 პროცენტი თვლის, რომ ქვეყანამ მსოფლიო ბანკის დაფინანსება „ეფექტიანად“ ან „ნაწილობრივ ეფექტიანად“ გამოიყენა. ეს მაჩვენებელი მსოფლიო ბანკის გადაწყვეტილებებთან მიმართებაში 20 პროცენტით ნაკლებია, რაც მიუთითებს, რომ მსოფლიო ბანკის გადაწყვეტილებების მიმართაც სანდოობის კოეფიციენტი უფრო მაღალია, ვიდრე საქართველოს მთავრობის მიერ მსოფლიო ბანკის გადაწყვეტილებების ფარგლებში გამოყოფილი დაფინანსების ეფექტიანობის მიმართ.

მნიშვნელოვანია, რომ აღნიშნული 20 პროცენტის სხვაობა მოგვცა მხოლოდ „ეფექტიანობის“ კომპონენტმა.

აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ რესპოდენტთა აზრით, მსოფლიო ბანკის პროექტები შედარებით უფრო ეფექტიანად იქნა ათვისებული საქართველოს მთავრობის მიერ, ვიდრე საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ გამოყოფილი დაფინანსება. ამაზე მიუთითებს ის პროცენტული მაჩვენებლები, რომელიც გამოკითხვამ გვიჩვენა.

საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებზე მსჯელობისას მნიშვნელოვანია, განხილულ იქნას საქართველოში საკმაოდ აქტიურად მოქმედი ორი საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტი: ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი და აზიის განვითარების ბანკი. შესაბამისად, ასევე, ღირებულია კვლევისათვის აღნიშნული საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების მიერ განხორციელებული პროექტების ეფექტიანობის შედარება ინფრასტრუქტურისა და ბიზნესის მიმართულებით.

კითხვა 6. ეფექტიანია თუ არა საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების - ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკისა (EBRD) და აზიის განვითარების ბანკის (ADB) მიერ განხორციელებული პროექტები ინფრასტრუქტურის მიმართულებით?




დიაგრამა 42: საექსპერტო გამოკითხვის შედეგები

ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკისა და აზიის განვითარების ბანკის მიერ საქართველოში განხორციელებულ პროექტებს გამოკითხულთა 95 პროცენტი „ეფექტიანად“ (35%) ან „ძირითადად ეფექტიანად“ (60%) მიიჩნევს. ეს მაჩვენებელი საერთაშორისო სავალუტო ფონდისა და მსოფლიო ბანკის მიერ საქართველოში განხორციელებულ პროექტების შეფასების მაჩვენებლებზე გაცილებით მაღალია. ფინანსური თვალსაზრისით ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკისა და აზიის განვითარების ბანკის მაჩვენებელი მსოფლიო ბანკს მაჩვენებელზე დაბალია. მიუხედავად ამისა, ორივე საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტის საქმიანობის ეფექტიანობის მაჩვენებელი მსოფლიო ბანკის მაჩვენებელზე საკმაოდ მაღალია.

საქართველოში ინფრასტრუქტურის განვითარებას შესაძლოა ორი ძირითადი შედეგი ჰქონდეს. ესენია: სოციალური ეფექტი და ბიზნესის განვითარება. შესაბამისად, მნიშვნელოვანია აზიის ევროპის რეკონსტრუქციისა

და განვითარების ბანკისა და განვითარების ბანკის მიერ განხორციელებული პროექტების ამ კუთხით გააზრება.

კითხვა 7. ეფექტიანია თუ არა ბიზნესის განვითარებისათვის სართაშორისო საფინანსო ინსტიტუტების - ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკისა (EBRD) და აზიის განვითარების ბანკის (ADB) მიერ განხორციელებული პროექტები ინფრასტრუქტურის მიმართულებით?




დიაგრამა 43: საექსპერტო გამოკითხვის შედეგები

საქართველოში განხორციელებული პროექტების ეფექტიანობის მაჩვენებლისაგან განსხვავებით ბანკების მიერ განხორციელებული ინფრასტრუქტურული პროექტების ბიზნესისათვის ეფექტიანობაზე გამოკითხულთა აზრი მნიშვნელოვნად დიფერენცირებულია. თუმცა, რესპოდენტთა 60 პროცენტი მიიჩნევს, რომ EBRD-ისა და ADB-ის მიერ განხორციელებული ინფრასტრუქტურული პროექტები საქართველოში ბიზნესისათვის „ეფექტიანი“ ან „ძირითადად ეფექტიანია“, რაც ჯამში ცუდი

მაჩვენებელი არ არის. ამასთან, გასათვალისწინებელია ისიც, რომ შესაძლოა პროექტები არ იყოს ეფექტიანი ბიზნესისათვის, თუმცა მას მნიშვნელოვანი სოციალური დატვირთვა ჰქონდეს. ასეთი პროექტების მაგალითებია, ქალაქების წყალმომარაგების სისტემის გაუმჯობესება, მუნიციპალური ტრანსპორტისა და ნაგავსაყრელების მოწესრიგება და ა.შ.

კითხვა 8. ეფექტიანია თუ არა სართაშორისო საფინანსო ინსტიტუტების - ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკისა (EBRD) და აზიის განვითარების ბანკის (ADB) მიერ განხორციელებული პროექტები ბიზნესის დაფინანსების (საბანკო სექტორი, წარმოება, მომსახურება) მიმართულებით?




დიაგრამა 44: საექსპერტო გამოკითხვის შედეგები

საკმაოდ საინტერესო მაჩვენებელი ფიქსირდება ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკისა და აზიის განვითარების ბანკის მიერ უშუალოდ ბიზნესის დაფინანსების ეფექტიანობაზე. ეფექტიანობის მაჩვენებელი ჯამში 60 პროცენტია. ხოლო არაეფექტიანად მას გამოკითხულთა მხოლოდ 5 პროცენტი



აფასებს. გასათვალისწინებელია ისიც, რომ ქვეყანაში წლების განმავლობაში არსებული არც თუ სტაბილური ბიზნეს გარემო მთავარი ხელისშემშლელი ფაქტორი იყო ბიზნესის განვითარების მიმართულებით და შესაბამისად, მხოლოდ საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების მიერ ბიზნესის დაფინანსების ეფექტიანობის კუთხით მსჯელობა სრულად არ ასახავდეს რეალობას.

კითხვა 9.თვლით თუ არა, რომ ქვეყანას უნდა ჰქონდეს საკუთარი საკუთარი სტრატეგია საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებთან მიმართებაში?



დიაგრამა 45: საექსპერტო გამოკითხვის შედეგები

გამოკითხულთა 100 პროცენტის მიერ მიჩნეულია, რომ სახელმწიფოს ესაჭიროება სტრატეგია საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებთან მიმართებაში.

ჩატარებული გამოკითხვის შედეგებიდან ყველაზე საყურადღებოა ერთი ასპექტი:

საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების საქმიანობის ეფექტურობა გაცილებით მაღალია, ვიდრე მიღებული დახმარების ქვეყნის მხრიდან ეფექტურად გამოყენების მაჩვენებელი.

რა არის ამის მიზეზი:

- საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებს უკეთ აქვთ გაცნობიერებული და შესწავლილი ქვეყნის საჭიროებები, ვიდრე თავად ქვეყანას;
- სახელმწიფოს მხრიდან არ არის შემუშავებული მიღებული დახმარებების შედეგების წინასწარ გათვლის პოლიტიკა;
- ქვეყანას არ გააჩნია საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებთან ურთიერთობის ერთიანი სამოქმედო სტრატეგია, რომელიც თავის მხრივ, უნდა მოიცავდეს ქვე-სტრატეგიებს, იმის გათვალისწინებით, რომ საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტთან მიმართებაში ქვეყანას ჰქონდეს დიფერენცირებული მიდგომა და კონკრეტული სტრატეგია.

## თავი მესამე - როგორ განვსაზღვროთ საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების საქმიანობის ეფექტურად გამოყენების გზები (დასკვნები და რეკომენდაციები)

ჩვენი კვლევის პირველი ეტაპი განხორციელდა საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების ანგარიშების, როგორც პირველწყაროს განხილვით. კვლევის მეორე ეტაპი მიზნად ისახავდა ერთი მხრივ, ანგარიშების კვლევით მიღებული შედეგების გადამოწმებას და მეორე მხრივ, საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების მიმართ საზოგადოებრივი აზრის კვლევას. წარმოდგენილი კვლევების შედეგების შეჯერებით უნდა დავასკვნათ, რომ:

ქვეყანას აუცილებლად ესაჭიროება საერთაშორისო სავალუტო ფონდის დახმარება მაკროეკონომიკური სტაბილურობის შემდგომში შესანარჩუნებლად. შესაბამისად, სახელმწიფომ მაქსიმალურად უნდა უზრუნველყოს და გააძლიეროს საერთაშორისო სავალუტო ფონდთან შემდგომი პარტნიორობა. ფაქტია, რომ საქართველოს მაკროეკონომიკური სტაბილურობა, ჯერ კიდევ, არ არის მყარი და ამ მხრივ, რისკები საკმაოდ მაღალია;

საქართველოს მაკროეკონომიკური სტაბილურობისათვის საერთაშორისო სავალუტო ფონდის ქმედებები საერთო ჯამში ეფექტიანი იყო თუმცა, არა - „სრულად ეფექტიანი“. შესაბამისად, საერთაშორისო სავალუტო ფონდთან მოლაპარაკებების პროცესში საჭიროა პოტენციური დახმარების პროექტების კიდევ უფრო კვალიფიციური განხილვა, რათა თუნდაც არაეფექტიანი, ან ნაკლებად ეფექტიანი პროექტების რიცხვი მინიმუმამდე იქნას შემცირებული;

ქვეყანის მაკროეკონომიკურ სტაბილურობასთან მიმართებაში საერთაშორისო სავალუტო ფონდის გადაწყვეტილებები გაცილებით უფრო ეფექტური იყო, ვიდრე ამ გადაწყვეტილებების ფარგლებში განხორციელებული

პროექტების ეფექტიანი გამოყენება ქვეყნის ხელისუფლებების მიერ. შესაბამისად, ქვეყანას ესაჭიროება კვალიფიციური მუშაობა საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ გამოყოფილი დაფინანსების უფრო ეფექტიანად და სასარგებლოდ გამოყენების მიმართულებით. სასურველია, საერთაშორისო სავალუტო ფონდთან სამუშოდ განსაზღვრულ სახელმწიფო მოხელეებს გადაწყვეტილებების მიღებამდე კონსულტაციები ჰქონდეთ შესაბამისი სფეროს წარმომადგენლებთან;

მსოფლიო ბანკის ქმედებები საქართველოში განხორციელებული პროექტებიდან გამომდინარე ძირითადად ეფექტიანი იყო. უნდა აღინიშნოს, რომ მსოფლიო ბანკის პროექტების ეფექტიანობა გარკვეულწილად მაღალია საერთაშორისო სავალუტო ფონდის საქართველოსთან მიმართებაში წარმოდგენილი გადაწყვეტილებების ეფექტიანობაზე. თუმცა, მსოფლიო ბანკის მიერ არსებული გადაწყვეტილებების ნაწილი ნაკლებად ეფექტიანია. ეს კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ ყველა ტიპის პროექტს, რომელსაც ახორციელებს ესა თუ ის საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტი უფრო სრულყოფილი განხილვა ესაჭიროება. შესაბამისად, ამ მხრივ მუშაობის გაძლიერებაა საჭირო;

მსოფლიო ბანკის მიერ საქართველოსთან მიმართებაში განსახორციელებელი პროექტები გაცილებით ეფექტიანადაა მიჩნეული, ვიდრე ქვეყნის მიერ მიღებული დაფინანსებების ეფექტიანად ათვისება. საერთაშორისო სავალუტო ფონდის პროექტებთან შედარებით მსოფლიო ბანკის მიერ დაფინანსებული პროექტების ათვისების ეფექტიანობას უფრო მაღალი მაჩვენებელი აქვს;

ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკისა და აზიის განვითარების ბანკის მიერ საქართველოში განხორციელებული პროექტები ძალიან ეფექტიანი აღმოჩნდა ქვეყნისათვის. თუმცა, აღნიშნული

ინფრასტრუქტურული პროექტების მხოლოდ ერთი ნაწილია მიჩნეული ბიზნესის განვითარების ხელშემწყობად. გასათვალისწინებელია, რომ ქვეყანაში საჭიროა სოციალური პროექტების განხორციელებაც, თუმცა, შეზღუდული რესურსების პირობებში, სასურველია, ქვეყანამ აქცენტი გააკეთოს ისეთი ტიპის ინფრასტრუქტურულ პროექტებზე, რომელსაც ბიზნესის განვითარების, ან ორმხრივი (ბიზნესისა და სოციალური) დატვირთვა ექნება. შესაბამისად, საჭიროა, რომ შესაფასებულ იქნას აზიის განვითარების ბანკისა და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის მიერ საქართველოში განხორციელებული პროექტები და ახალი ანალიზის საფუძველზე მოხდეს მათთან ურთიერთობების გაგრძელება.

ბიზნესის განვითარების კუთხით ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკისა და აზიის განვითარების ბანკის დაფინანსება ძირითადად ეფექტიანად მიიჩნევა. თუმცა, არაეფექტიანობის მაჩვენებელიც საკმაოდ მაღალია. საჭიროა, შესწავლილ იქნას არაეფექტიანობის მიზეზები. კერძოდ, პირველ რიგში აუცილებელია დადგინდეს, არის თუ არა ამის მიზეზი სახელმწიფოს არსებული პოლიტიკა ბიზნესთან. თუ არაეფექტიანობის მიზეზების ნაწილი სახელმწიფოს ბიზნესთან მიმართებაში არსებული პოლიტიკის შედეგია, მაშინ სათანადო დასკვნების გამოტანა და შესაბამისი პოლიტიკის შემუშავებაა საჭირო.

## დასკვნები და რეკომენდაციები

საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების განვითარებადი ქვეყნების მიმართ სტრატეგიისა და საქმიანობის განხილვა, ბუნებრივია, მათი მიღწევების და შეცდომების შესწავლის საფუძველზე ხდება. კრიტიკულად განწყობილი ექსპერტები ხშირად საუბრობენ იმ არასახარბიელო შედეგებზე, რომელიც საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების საქმიანობას მოჰყვა ამა თუ იმ რეგიონში. ვფიქრობთ, საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების საქმიანობის შეფასებისას, არანაკლებ გათვალისწინებული უნდა იყოს განვითარებადი ქვეყნების დამოკიდებულება და მზაობა მათი აქტივობების მიმართ. მეტიც, საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების ინიციატივების შედეგის ეფექტურობა დამოკიდებულია შემდეგ ფაქტორებზე:

- რამდენად არის მზად ქვეყანა - მიიღოს და მიზნობრივად გამოიყენოს საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების გამოწვევები;
- რამდენად აცნობიერებს ქვეყანა საკუთარ საჭიროებებს, რამდენად ჩამოყალიბებული აქვს დახმარების მიღების პოლიტიკა, სტრატეგია;
- აქვს თუ არა წინასწარ ჩამოყალიბებული საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების სტრატეგიისა და პოლიტიკის ეფექტურად გამოყენების გზა;

გასული წლების განმავლობაში საქართველო აქცენტს აკეთებდა ფინანსური რესურსების მოზიდვაზე. ნაკლებად ითვალისწინებდა საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების მხრიდან წამოყენებული პირობების მოსალოდნელ შედეგებს. ხშირად საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების მიერ დაფინანსებული პროექტების არაეფექტიანობა გამოწვეული იყო ორგანიზაციებისთვის მიწოდებული იმ სტატისტიკური მონაცემებით, რომელიც

სხვადასხვა მიზეზთა გამო რეალობას ხშირად არასათანადოდ ასახავდა. როგორც წესი, პროექტის განხორციელებამდე საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტები თავად ატარებენ საჭირო სტატისტიკურ კვლევებს, თუმცა, ძირითადად, სამთავრობო მონაცემებს ეყრდნობიან. სტატისტიკური ინფორმაციის მიწოდების პრობლემების გამო, მათ მიერ მიღებული გადაწყვეტილებები მოლოდინებსა და სათანადო შედეგს ხშირად ვერ უზრუნველყოფენ.

ზემოთ წარმოდგენილი კრიტერიუმების გათვალისწინებით, საქართველო (ისევე როგორც სხვა ბევრი განვითარებადი ქვეყანა) არ აღმოჩნდა სათანადოდ მზად საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების გამოწვევებისთვის.

მთლიანობაში, საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების მხრიდან საქართველოსთან მიმართებაში მიღებული გადაწყვეტილებები იყო უფრო მეტად ეფექტიანი, ვიდრე აღნიშნული გადაწყვეტილებების შედეგად მიღებული პროექტების ეფექტიანად გამოყენება შეძლო თავად ქვეყანამ (საქართველომ). მსგავსი ტენდენცია ფიქსირდება სომხეთისა და აზერბაიჯანის შემთხვევაშიც.

მიგვაჩნია, რომ საქართველომ უნდა დაიწყო საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებთან ურთიერთობის ახალი ეტაპი, რომელიც, პირველ რიგში, გულისხმობს ერთიანი სტრატეგიის შემუშავებას საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებთან მიმართებაში. კერძოდ,

სტრატეგია უნდა ემყარებოდეს ქვეყნის განვითარების მიზნებს. სტრატეგიაში ნათლად უნდა იყოს მოცემული მაკროეკონომიკური სტაბილურობის მოკლევადიანი, საშუალოვადიანი და გრძელვადიანი გეგმა, გეგმაში მკაფიოდ უნდა ჩანდეს საერთაშორისო სავალუტო ფონდის როლი.

სტრატეგიაში უნდა იყოს გაწერილი მოკლევადიანი, საშუალოვადიანი და გრძელვადიანი პროექტები, რომელიც, ასევე, უნდა მოიცავდეს აზიის განვითარების ბანკის, მსოფლიო ბანკის, ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის როლს და საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებთან მუშაობის ეტაპობრივ გეგმას.

საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებთან პროექტების განხორციელებას უნდა ჰქონდეს არა სპონტანური, არამედ კარგად გათვლილი და გაანალიზებული ხასიათი.

სტრატეგიის შემუშავების პროცესში მნიშვნელოვანია არა მხოლოდ სახელმწიფო მოხელეების არამედ ექსპერტების, საზოგადოების ფართო სპექტრის ჩართულობა. ამ კუთხით: მნიშვნელოვანია, რომ სახელმწიფო და ბიზნეს სექტორს ჰქონდეთ მჭიდრო კომუნიკაცია; საჭიროა სტრატეგიის შემუშავების პროცესში ბიზნესის, ექსპერტების ჩართულობა, რაც საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებთან მოლაპარაკების პროცესში სახელმწიფოს პოზიციების გააძლიერებს.

აუცილებელია საზოგადოების ფართო სპექტრთან ღია დისკუსია, რაც გამჭვირვალეს გახდის სახელმწიფოსა და საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციების ურთიერთობებს;

საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებთან მიმართებაში სტრატეგიული სისუსტე, ხშირად, ქვეყნისთვის არც თუ სასარგებლოდ სრულდება (აღნიშნულის მაგალითია საქართველო 1995-2003 წლებში, რუსეთი - 1995-2003 წლებში და განვითარებადი ქვეყნების დიდი ნაწილი).

სტრატეგიის შემუშავება იმთავითვე გამორიცხავს ისეთ ტაქტიკას, რომლსაც საქართველო წლების განმავლობაში იყენებდა და საერთაშორისო საფინანსო



ინსტიტუტების დაფინანსებას იღებდა ერთიანი მონეტარული და ფისკალური პოლიტიკის გარეშე.

შეუძლებელია ქვეყანამ ერთი და იგივე სტრატეგიით ითანამშრომლოს ყველა საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტთან, ერთი მარტივი მიზეზის გამო: ხშირად, საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების მიერ წამოყენებული პირობები და საშუალებები რადიკალურად განსხვავდება ერთმანეთისაგან, თუნდაც ამ ინსტიტუტების განსხვავებული მისიებდან გამომდინარე. შესაბამისად, საჭიროა პარტნიორი საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების შესაბამისად შეიქმნას ე.წ. ქვესტრატეგიები, რომელიც გენერალურ სტრატეგიაში იქნება გაერთიანებული.

საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების მიმართ სახელმწიფო სტრატეგიის შემუშავება უნდა დაეყრდნოს საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების მიერ უკვე განხორციელებული პროექტების შეფასებას. არსებული პროექტების და მათი შედეგების ანალიზი საშუალებას მოგვცემს საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებთან ურთიერთობის სტრატეგიისა, თუ ქვე-სტრატეგიების შემუშავების პროცესში არა სავარაუდო, არამედ უკვე არსებული „ქეისების“ მიხედვით ვიხელმძღვანელოთ.

და ბოლოს, საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციების მიმართ სახელმწიფო სტრატეგიაში გაწერილი გრძელვადიანი, საშუალოვადიანი და მოკლევადიანი გეგმების გათვალისწინებით უნდა შემუშავდეს საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების განსაზღვრულ ვადებში გაწერილი პრიორიტეტების ეფექტურად გამოყენების მეთოდოლოგია.

საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების სტრატეგიისა და პრიორიტეტების ეფექტურად გამოყენების მეთოდოლოგია ემყარება წინასწარი შეფასების მეთოდს. ჩვენი კვლევის შედეგად შევიმუშავეთ მოდელი, რომელიც

დანახარჯი-ეფექტიანობის მეთოდის გამოყენებით წინასწარ შეაფასებს განსახორციელებელ პროექტებს, ბიზნეს გეგმებსა და ინიციატივებს.

დანახარჯი-ეფექტიანობის მეთოდით წინასწარ შეფასების მოდელის დანერგვა საშუალებას მისცემს ქვეყანას საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების დაფინანსება უფრო სიღრმისეულად გაანალიზოს და მისაღები დახმარებების პირობებზე მოლაპარაკებების დროს პოზიციები მეტად გაიმყაროს. დანახარჯი-ეფექტიანობის მეთოდით წინასწარ შეფასების მოდელი დაგვეხმარება საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებისაგან მისაღები დაფინანსების და შესაბამისად, მათდამი წარმოქმნილი დავალიანების სათანადო ეკონომიკური ეფექტიანობის შეფასებაში.

**დანახარჯი-ეფექტიანობის შეფასების გამოყენების რეკომენდაცია  
პირობითი მაგალითის საფუძველზე - მოდელი**

ჩვენი კვლევის ფარგლებში შემუშავებული მოდელი გარკვეულწილად ეყრდნობა ჰენრი მ. ლევინი და პატრიკ ჯ.მაკეევანის კვლევას, რომელიც დანახარჯის შესწავლის სხვადასხვა მეთოდს შორის დანახარჯი-ეფექტიანობის მეთოდს გვთავაზობს. აქვე უნდა მივუთითოთ, რომ ჩვენს მიერ შემუშავებული მოდელი წარმოდგენილ მეთოდს მხოლოდ კვლევის ერთ-ერთ საშუალებად იყენებს. დანახარჯი-ეფექტიანობის მეთოდით წინასწარი შეფასების მოდელი ეფუძნება რაოდენობრივი და თვისებრივი კვლევის მეთოდების გამოყენებით შეფასების მოკლევადიანი და გრძელვადიანი ინდიკატორების განსაზღვრას, აღნიშნული ინდიკატორების მიხედვით პროექტის შედეგების შეფასებას.

წარმოდგენილი პირობითი მოდელი შესაძლოა გავრცელდეს საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების მიერ საქართველოში განსახორციელებულ პროექტებზე, განსაკუთრებით კი ინფრასტრუქტურული მიმართულებით.

განხილული მაგალითი თვალსაჩინოს ხდის ჩვენს მიერ შემუშავებული მოდელით საქართველოში განსახორციელებელი ერთ-ერთი პირობითი საგზაო ინფრასტრუქტურული პროექტის წინასწარ შეფასებას და მის საფუძველზე პროექტის ეკონომიკური და სოციალური ეფექტიანობის განსაზღვრას.

წარმოდგენილი მოდელი სარეკომენდაციო ხასიათისაა. თუმცა, ეს არის მზა გეგმა, რომელიც შეიძლება გამოყენებულ იქნას ნებისმიერი ინფრასტრუქტურული პროექტის შესაფასებლად.

საქართველოში ეკონომიკური ზრდის გრძელვადიანი პერსპექტივების ჩამოყალიბებისათვის მნიშვნელოვანია ქვეყნის ტერიტორიაზე არსებული

საგზაო ინფრასტრუქტურის სრულყოფა და მისი ევროპულ სტანდარტებთან დაახლოება. საქართველოში ბოლო წლების მანძილზე მუდმივად ხორციელდებოდა მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურული პროექტები, რომლებიც ფინანსდებოდა როგორც სახელმწიფო ბიუჯეტიდან, ასევე გრძელვადიანი საგარეო ვალდებულებებიდან და გრანტებიდან. მიუხედავად ამისა, დღეისათვის ქვეყნის განვითარების ერთ-ერთერთ შემაფერხებელ პრობლემად კვლავ რჩება საქართველოს ტერიტორიის მნიშვნელოვან ნაწილზე არსებული საგზაო ინფრასტრუქტურის მოუწესრიგებლობა. კარგი ხარისხის გზის და შესაბამისი ტრანსპორტის მისაწვდომობის სიმცირე განსაკუთრებით აღინიშნება საქართველოს მთიან რეგიონებში, რაც აფერხებს ამ ტერიტორიაზე, ძირითადად, სოფლის მეურნეობის სექტორში დასაქმებული მოსახლეობისათვის შემოსავლების პერსპექტივების ზრდას. ასევე, აღსანიშნავია, რომ საგზაო ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის მოკლევადიანი და გრძელვადიანი გეგმების შემუშავებისას არასათანადო ყურადღება ექცევა კონკრეტული განსახორციელებელი პროექტის მოსალოდნელ გავლენას რეგიონის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაზე. აღნიშნული ხარვეზი გახდა ერთ-ერთი მიზეზი ისეთი ფაქტებისა, როდესაც უკვე დაწყებული ან დამთავრების სტადიაში მყოფი და მნიშვნელოვანი თანხებით დაფინანსებული მსხვილი ინფრასტრუქტურული პროექტი სახელმწიფო და კერძო სტრუქტურების, ექსპერტების და მოსახლეობის სამართლიანი კრიტიკის ობიექტი ხდებოდა მისი უსარგებლო ფუნქციის, ან უფრო მეტიც, მისი ფუნქციონირების შედეგად მიღებული ნეგატიური ეფექტების გამო.

მომავალში, საქართველოში მსგავსი ფაქტების თავიდან აცილებისათვის საჭიროა შემუშავდეს და დამკვიდრდეს ინფრასტრუქტურული პროექტების მოსალოდნელი ეკონომიკური და სოციალური ეფექტიანობის შეფასების უნიფიცირებული მეთოდოლოგია. იგი, ცალკეული პროექტის სპეციფიკის

გათვალისწინებით, საშუალებას მოგვცემს პროექტის მოსალოდნელი დანახარჯი და სარგებლიანობა თვალსაჩინო იყოს როგორც დაინტერესებული სახელმწიფო უწყებებისთვის, ასევე დაინტერესებული საზოგადოებისა და ბიზნესის წარმომადგენლებისთვის.

გარდა ამისა, აღნიშნული მოდელის გამოყენება უზრუნველყოფს პროექტების შერჩევის დროს სუბიექტურ მიდგომების თავიდან აცილებას და გაზრდის კონკურენციის დონეს პროექტების განხორციელებასთან დაკავშირებით. რაც, თავის მხრივ, მნიშვნელოვან ზეგავლენას მოახდენს ინფრასტრუქტურული პროექტების ეფექტიანობის შემდგომ ზრდაზე.

ექსპერიმენტული მოდელი:

„როგორ უნდა მოხდეს ინფრასტრუქტურული პროექტის ეფექტიანობის შეფასება?“

**პროექტი:**

ქარელი-ტყემლოვანის მშენებარე გზის ეკონომიკური და სოციალური ეფექტიანობის შეფასება

შესაფასებელი პროექტი წარმოადგენს ქარელი-ტყემლოვანის მშენებარე გზას, შიდა ქართლის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ტურისტულ მარშრუტს, რომელიც მდებარეობს ქვეყნის მნიშვნელოვანი ისტორიული, და კულტურული ცენტრების სიახლოვეს.

ჩვენი მიზანია მისი ეკონომიკური და სოციალური ეფექტიანობის შეფასება.

ამოცანები:

- ქარელი-ტყემლოვანის მშენებარე გზის არსებული მდგომარეობის დახასიათება და მისი რეაბილიტაციის აუცილებლობის შესწავლა
- ქარელი-ტყემლოვანის მშენებარე გზის მონაკვეთზე დროის ცალკეულ პერიოდებში არსებული ტვირთის და მგზავრთნაკადების არსებული და პოტენციური მოცულობების დახასიათება

- ქარელი-ტყემლოვანის მშენებარე გზის მიმდებარე ტორიტორიაზე არსებული მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის და ეკონომიკური პოტენციალის შესწავლა;
- ქარელი-ტყემლოვანის გზის მშენებლობის ეკონომიკური და სოციალური მნიშვნელობის განსაზღვრა მიმდინარე, მოკლევადიანი და გრძელვადიანი პერიოდებისათვის
- ქარელი-ტყემლოვანის გზის მშენებლობაში ბიზნესის ცალკეული წარმომადგენლების და მოსახლეობის მოსალოდნელი პირდაპირი და ირიბი ჩართულობის ფორმების იდენტიფიცირება;

პროექტის განხორციელების პროცესში მთავარ სამიზნე სახელმწიფო სტრუქტურებს (რომელთა კომპეტენციაშიც შედის აღნიშნული პროექტის ხელშეწყობა მისი მიმდინარეობის პროცესში) წარმოადგენენ საქართველოს რეგიონული განვითარების და ინფრასტრუქტურის სამინისტრო, საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირი - სახმელეთო ტრანსპორტის სააგენტო, საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულება-საავტომობილო გზების დეპარტამენტი.

არსებული პროექტის ფარგლებში ჩასატარებელი კვლევის პროცესი უნდა წარიმართოს როგორც რაოდენობრივი, ისე თვისებრივი მეთოდების გამოყენებით.

კვლევაში რაოდენობრივი და თვისებრივი მეთოდების გამოყენების მთავარ მიზანს წარმოადგენს განსახორციელებელი პროექტის სოციალურ-

ეკონომიკური ეფექტიანობის შეფასებისას გასათვალისწინებელი ფაქტორების განსაზღვრა.

რაოდენობრივი და თვისებრივი მეთოდების შერჩევის მიზანშეწონილობა დგინდება ჩასატარებელი კვლევის მიზნისა და ხელმისაწვდომი ინფორმაციის წყაროების სპეციფიკიდან გამომდინარე. თვისებრივი კვლევა გულისხმობს ქარელი-ტყემლოვანის გზის მშენებლობით დაინტერესებული მხარეების მოლოდინების, მოტივაციისა და ქცევის შესწავლას. იგი საშუალებას გვაძლევს განვსაზღვროთ ზოგადი პარამეტრები მომავალი კვლევებისათვის და გამოვავლინოთ ის საკვანძო კრიტერიუმები, რომლითაც უნდა ხელმძღვანელობდნენ ინფრასტრუქტურული პროექტის უშუალო განმხორციელებლები და ბენეფიციარები.

თავის მხრივ, რაოდენობრივი კვლევები ჩატარდება განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტის სხვადასხვა მახასიათებლის: სახელმწიფო უწყებების, ბიზნესის, მოსახლეობის დამოკიდებულების გასაზომად და მათი არჩევანის განსასაზღვრად.

კვლევის თვისებრივი მეთოდებიდან გამოყენებული იქნება ფოკუს-ჯგუფის ტექნიკა, რომელიც გულისხმობს ინფრასტრუქტურული პროექტის სოციალურ-ეკონომიკური ეფექტის შეფასებასთან დაკავშირებით წინასწარ შემუშავებული საკითხების ჯგუფურ განხილვას და დისკუსიებს სამიზნე ჯგუფებთან. თვისებრივი კვლევის დამხმარე ინსტრუმენტად გამოყენებული იქნება სამიზნე ჯგუფებთან წინასწარ შეთანხმებული და შემუშავებული სადისკუსიო გეგმა.

კვლევის რაოდენობრივი მეთოდებიდან გამოყენებული იქნება დაინტერესებულ რესპოდენტთა პირისპირი ინტერვიუს მეთოდი.



გამოკითხვის ჩატარება განსაზღვრულია სპეციალურად შემუშავებული სტრუქტურირებული ანკეტების საშუალებით.

**ეკონომიკური და სოციალური ეფექტიანობის ანალიზის სავარაუდო შედეგები:**

- ქარელი-ტყემლოვანის მშენებარე გზის ეკონომიკური და სოციალური ეფექტიანობის შეფასება ხელს შეუწყობს, როგორც აღნიშნული პროექტის მოსალოდნელი სარგებლისა და დანახარჯების განსაზღვრას
- პროექტით გათვალისწინებულ მონაკვეთზე გზის საფარის გაუმჯობესების შედეგად შემცირდება სატრანსპორტო დანახარჯებში საწვავის ხარჯის ხვედრითი წილი, ხოლო გაუმჯობესებულ გზაზე საწვავის ხარჯის შემცირებით, შესაბამისად, შემცირდება საწვავის გამონაბოლქვის მავნე ზეგავლენა ეკოლოგიურ მდგომარეობაზე;
- აღნიშნულ მარშრუტზე სატრანსპორტო საცობების შემცირების გამო მოხდება მგზავრობის და ტვირთის გადაზიდვის დროითი დანახარჯის შემცირება, რაც მოიტანს არაპირდაპირ დადებით ეფექტს ეკონომიკის სხვა დარგებში.
- აღნიშნულ სატრანსპორტო კომუნიკაციასთან მიმდებარე ინფრასტრუქტურის განვითარების შედეგად მოსალოდნელია მიგრაციის მაჩვენებლის გაუმჯობესება მიმდებარე სოფლებში, ქალაქებში და სხვა ტიპის ადგილობრივ ტერიტორიულ ერთეულებში;
- აღნიშნული მარშრუტით ჩნდება პოტენციური შანსი ახალი გზით მოხდეს ბორჯომისა და ქარელის რაიონების დაკავშირება (ტყემლოვანა-

წადვერის მონაკვეთი), რაც მხარეებს შორის სატრანსპორტო მიმოსვლას გააიოლებს. აღნიშნულიდან გამომდინარე კი, მოსალოდნელია ტვირთის და მგზავრთნაკადების მოცულობების გაზრდა და შედეგად დამატებითი შემოსავლის შექმნა შესაბამისად, ქვეყნის მთლიან შიდა პროდუქტში აღნიშნული რეგიონების განვითარებით შექმნილი მოცულობის ხვედრითი წილის გაზრდა;

- აღნიშნულ რეგიონებში ინფრასტრუქტურის განვითარების შედეგად გაზრდილი სატრანსპორტო გადაზიდვების დაბეგვრიდან მიღებული დამატებითი საბიუჯეტო შემოსავლები შესაძლებელია გადანაწილდეს სოციალურ პროგრამებზე, რაც, დამატებითი რეზერვი იქნება ქვეყნის სოციალური პრობლემების გადაჭრისათვის;

- აღნიშნულ მონაკვეთზე საგზაო ინფრასტრუქტურისათვის საჭირო სამშენებლო მასალების მოთხოვნის შედეგად მოსალოდნელია როგორც იმპორტის, ასევე ადგილობრივი პროდუქციაზე მოთხოვნის ამაღლება, და, შესაბამისად, გზის მიმდებარე რეგიონში დამატებითი ფულადი ნაკადების ზრდა;

- პროექტის განხორციელების შედეგად მოსალოდნელია დასაქმების პრობლემის ნაწილობრივი გადაჭრა - მშენებარე საგზაო მონაკვეთის მიმდებარე დასახლებებში მცხოვრები მოსახლეობის პროექტში სხვადასხვა ფორმით ჩართვით;

- აღნიშნულ მონაკვეთზე განხორციელებული მშენებლობა მოიზიდავს ინვესტიციებს და, საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარების პარალელურად, ხელი შეუწყოს კომუნიკაციების სხვა სფეროების განვითარებას.

## დანახარჯი-ეფექტიანობის ანალიზის ინდიკატორები

წარმოდგენილი პოტენციური პროექტისათვის საჭიროა განსაზღვრულ იქნას კრიტერიუმები, რომლებიც ასახავენ პროექტის წარმატების დონეს მისი მიმდინარეობის პროცესში და დასრულების შემდგომი მოკლევადიანი, საშუალოვადიანი და გრძელვადიანი პერიოდებისათვის:

**ინდიკატორები მოკლევადიანი და საშუალოვადიანი პერიოდებისათვის:**

*1. პროექტის განხორციელების შემდეგ მგზავრთნაკადების და ტვირთნაკადების მოცულობების ზრდა*

### **ინდიკატორები:**

-მგზავრთნაკადი პროექტის განხორციელების შემდეგ/მგზავრთნაკადი პროექტის განხორციელამდე\*100

-ტვირთნაკადი პროექტის განხორციელების შემდეგ/ ტვირთნაკადი პროექტის განხორციელებამდე\*100

*2. დასაქმების მაჩვენებლის გაუმჯობესება ახალი სატრანსპორტო ოპერატორების გამოჩენის და მშენებარე გზის მიმდებარე ტერიტორიაზე ბიზნესის განვითარების შედეგად*

**ინდიკატორი:**

- დასაქმებულთა რაოდენობა პროექტის განხორციელების შემდეგ/  
პროექტის განხორციელებამდე\*100

***3. ტურისტების რაოდენობის ზრდა (%) აღნიშნულ საგზაო მარშრუტზე***

ტურისტების რაოდენობა პროექტის განხორციელების შემდეგ/ ტურისტების  
რაოდენობა პროექტის განხორციელებამდე\*100

***4. მშენებარე გზის მიმდებარე ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის  
შემოსავლების ზრდა(%)***

**ინდიკატორი:**

შემოსავალი ერთ სულ მოსახლეზე პროექტის განხორციელების შემდეგ/  
შემოსავალი ერთ სულ მოსახლეზე პროექტის განხორციელებამდე \*100

***5. ავტოსაგზაო შემთხვევების რაოდენობის შემცირება პროექტის  
განხორციელების შემდეგ***

**ინდიკატორი:**

ავტოსაგზაო შემთხვევების რაოდენობა პროექტის განხორციელებამდე/ავტოსაგზაო შემთხვევების რაოდენობა პროექტის განხორციელების შემდეგ \*100

*6. ქარელი-ტყემლოვანის საგზაო მარშრუტზე გზის საფარის გაუმჯობესების გამო ერთ მგზავრ/კილომეტრზე სატრანსპორტო საშუალებების მასალების და მარაგნაწილების, საწვავის და შეკეთებათა (სარემონტო) დანახარჯების შემცირება*

(საშუალოდ 1 სატრანსპორტო საშუალებაზე ოპერაციული დანახარჯები პროექტის განხორციელებამდე/საშუალოდ 1 სატრანსპორტო საშუალებაზე ოპერაციული დანახარჯები პროექტისგანხორციელების შემდეგ\*100)

*7. ქარელი-ტყემლოვანის მარშრუტზე მგზავრთა და ტვირთის გადაზიდვის დროის შემცირება*

**ინდიკატორი:**

მოცდენა პროექტის განხორციელებამდე/მოცდენა პროექტის განხორციელების შემდეგ\*100 ( საათი /წუთი)

გრძელვადიანი ინდიკატორები:

- ქვეყნის მთლიან შიდა პროდუქტის ზრდაში საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობის მოცულობის ხვედრითი წილის ზრდა;

- ინფრასტრუქტურის სექტორიდან საგადასახადო შემოსავლების სახით დამატებით მიღებული თანხების განაწილება სოციალურ პროგრამებზე;

- ქარელისა და ბორჯომის რაიონებს შორის საგზაო მიმოსვლის გაუმჯობესების ხარჯზე აღნიშნულ რეგიონებში სამუშაო ადგილების ზრდა.

ცხადია, წარმოდგენილი მოდელს არ აქვს უნიკალურობის პრეტენზია და მისი დახვეწა-განვითარება შესაძლებელია პრაქტიკაში გამოყენების დროს.

ჩვენს მიერ შემუშავებული მოდელის მთავარი აზრი არის საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების პროექტების წინაწარი შეფასებისთვის იმ კრიტერიუმებისა და ინდიკატორების განსაზღვრა, რომლებიც პროექტების ეკონომიკურ და სოციალურ ეფექტიანობას შეისწავლის. ასეთი მოდელი კი, საქართველოში დღესდრეობით არ გვაქვს.

ჩვენი კვლევა და წარმოდგენილი მოდელი კიდევ ერთხელ მიუთითებს, რომ არასასურველია, ქვეყანა ეყრდნობოდეს მხოლოდ საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების მხრიდან დაფინანსებული პროექტების თვითშეფასებას. მან უნდა შეიმუშაოს შეფასების საკუთარი მოდელი. ასეთი ტაქტიკა არ გულისხმობს საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების კვალიფიციურობის ეჭვქვეშ დაყენებას. პირიქით, სახელმწიფოს მიერ ინიციატივების წინასწარი შეფასების მოდელი დაეხმარება თავად საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებს დასახული მიზნების განხორციელებაში.

## ბიბლიოგრაფია

ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის დოკუმენტი „სტრატეგია საქართველოსთვის“, დამტკიცებული დირექტორთა საბჭოს მიერ 2010 წლის 9 თებერვალს

ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის დოკუმენტი, პროექტი „სტრატეგია საქართველოსთვის“, 2013 წლის ვერსია

ლუისი, მ, ბუმერანგი, მოგზაურობა ახალ მესამე სამყაროში, თბილისი, საქართველოში აშშ-სსაელჩოს წიგნების თარგმნის პროგრამა, 2013

ლევინი მ. ჰენრი, მაკევანი პატრიკ ჯ. „დანახარები-ეფექტიანობის ანალიზი: მეთოდები და გამოყენება“. „დიოგენე“ 2011

პაპავა, ვ, საერთაშორისო სავალუტო ფონდი საქართველოში: მიღწევები და შეცდომები, თბილისი, 2000

სტიგლიცი, ჯ, გლობალიზაცია და მისი თანმდევი უკმაყოფილება, თბილისი, „რადამი“, 2012

ფორბსი, ჟურნალის ქართულენოვანი გამოცემა, თბილისი, 2012, აგვისტო

ჰერსტი, პ, ტომპსონი, გ, გლობალიზაცია, კრიტიკული ანალიზი, თბილისი, დიოგენე, 2005

ADB Country Operations Business Plan, Georgia 2012-2013, November 2012

Asian Development Bank and Armenia: Fact Sheet, April, 2013

Asian Development Bank and Azerbaijan: Fact Sheet, April, 2013

Asian Development Bank and Georgia: Fact Sheet, April, 2013

Armenia: Country Operations Business Plan (2008-2010), Asian Development Bank, November 2007

Armenia: Country Operations Business Plan (2012-2013), Asian Development Bank, November 2011

Armenia: Country Strategy and Program (2006-2011) - Final Review, Asian Development Bank, June 2012

Armenia: Economic Report and Interim Operational Strategy (2006-2009), Asian Development Bank, August 2006

Azerbaijan: Validation of the Final Review of Country Operations, 2000–2011, Asian Development Bank, November 2012

Azerbaijan: Country Operations Business Plan (2011-2013), Asian Development Bank, June 2011

Azerbaijan: Country Operations Business Plan (2012-2014), Asian Development Bank, September, 2012

CASE TRANSFERRING AGRICULTURAL KNOW-HOW TO GEORGIAN FARMERS, EBRD 2011

CASE ALTERNATIVE ENERGY FOR ARMENIA, EBRD 2006

CASE UPGRADING THE YEREVAN METRO IN ARMENIA, EBRD 2010

CASE SUPPORTING ARMENIAN PHARMACEUTICAL INDUSTRY, EBRD 2011

CASE BRIDGING INNOVATION IN AZERBAIJANI ENTERPRISES, EBRD 2011

CASE FINANCING CROSS-BORDER ENERGY INFRASTRUCTURES, EBRD 2010

CASE MODERNISING SOLID WASTE MANAGEMENT IN GEORGIA, EBRD 2011

DOCUMENT OF THE EUROPEAN BANK FOR RECONSTRUCTION AND DEVELOPMENT STRATEGY FOR AZERBAIJAN 2010 – 2013 As approved by the Board of Directors at its meeting on 7 December 2010

DOCUMENT OF THE EUROPEAN BANK FOR RECONSTRUCTION AND STRATEGY FOR ARMENIA As approved by the Board of Directors at its meeting on 29 May 2012

EBRD Factsheet about Georgia, June, 2013

EBRD Factsheet about Azerbaijan, June, 2013

EBRD Factsheet about Armenia, June, 2013



Georgia: Interim Operational Strategy 2008-2009, Asian Development Bank, January 2008

George B. Grey International Financial Organizations: A Bibliography, Nova Science Publishers (June 1, 2000)

INTERNATIONAL BANK FOR RECONSTRUCTION AND DEVELOPMENT AND THE INTERNATIONAL DEVELOPMENT ASSOCIATION AND INTERNATIONAL FINANCE CORPORATION COUNTRY PARTNERSHIP STRATEGY FOR AZERBAIJAN For the Period FY 11-14 September 15, 2010

INTERNATIONAL BANK FOR RECONSTRUCTION AND DEVELOPMENT INTERNATIONAL DEVELOPMENT ASSOCIATION INTERNATIONAL FINANCE CORPORATION COUNTRY PARTNERSHIP STRATEGY FOR THE REPUBLIC OF ARMENIA For the Period of FY09-FY12 May 12, 2009

INTERNATIONAL BANK FOR RECONSTRUCTION AND DEVELOPMENT AND THE INTERNATIONAL DEVELOPMENT ASSOCIATION AND INTERNATIONAL FINANCE CORPORATION COUNTRY PARTNERSHIP STRATEGY FOR GEORGIA For the Period FY 10-FY 13 August 1 1,2009

The World Bank Group - Georgia Partnership Country Program Snapshot, April 2013

The World Bank Group - Armenia Partnership Country Program Snapshot, April 2013

World Bank Group – Azerbaijan Partnership Program Snapshot, April 2013

## დანართები

დანართი N 1 - სამთავრობო, თუ კერძო სექტორის იმ წარმომადგენელთა აზრის კვლევა, რომელთაც გარკვეული საქმიანი ბიზნეს ურთიერთობა ჰქონდათ საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებთან.

### ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

#### ბიზნესის სკოლა

კითხვარის შევსების თარიღი:

--	--	--

რესპოდენტის სახელი, გვარი: ----- სახელი, გვარი ( იმ შემთხვევაში თუ არ გსურთ სახელის და გვარის მითითება, გამოტოვეთ ეს ველი)

ინსტრუქცია:

წარმოდგენილ კითხვებზე პასუხისთვის საჭიროა მხოლოდ მონიშნოთ შესაბამისი გრაფა. ამისთვის წარმოდგენილი კითხვის გასწვრივ მოცემულია ორი ველი: „კი“ და „არა“ მონიშვნისთვის გამოიყენეთ სიმბოლო X

მაგალითისთვის:

N	კითხვა	კი	არა
	კითხვა .....	X	
			X

შეკითხვა	კი	არა
თვლით თუ არა, რომ ქვეყანას მაკროეკონომიკური სტაბილურობისთვის კვლავ ესაჭიროება საერთაშორისო სავალუტო ფონდის დახმარება?		
თვლით თუ არა, რომ ქვეყანას უნდა ჰქონდეს საკუთარი საკუთარი სტრატეგია საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებთან მიმართებაში?		

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბიზნესის სკოლა

კვლევის მიზანია:

1. საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების საქმიანობის ეფექტურობის შეფასება;
2. საქართველოს მიერ საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების სტრატეგიათა გამოყენების ეფექტურობის შეფასება;

თქვენი პასუხები აისახება სადისერტაციო ნაშრომის დასკვნებსა და რეკომენდაციებში

კითხვარის შევსების თარიღი:

--	--	--

*ექსპერტთა ვინაობა კონფიდენციალურია*

ინსტრუქცია:

წარმოდგენილია 7 კითხვა. თითოეული მათგანზე პასუხი მოითხოვს შეფასებას შემდეგი შკალის მიხედვით:

ეფექტიანი	ძირითადად ეფექტიანი	ძირითადად არაეფექტიანი	არაეფექტიანი

*სიმბოლო X-ით მონიშნეთ თქვენი პასუხის შესაბამისი ქვედა გრაფა.*

მადლობას გიხდით დახმარებისთვის

რამდენად ეფექტიანი იყო საერთაშორისო სავალუტო ფონდის ქმედებები წლების განმავლობაში საქართველოში განხორციელებული პროექტებიდან გამომდინარე ქვეყნის მაკროეკონომიკური სტაბილურობისათვის?

ეფექტიანი	ძირითადად ეფექტიანი	ძირითადად არაეფექტიანი	არაეფექტიანი

რამდენად ეფექტიანად გამოიყენა საქართველომ საერთაშორისო სავალუტო ფონდის ფარგლებში გამოყოფილი დაფინანსება ქვეყნის მაკროეკონომიკური სტაბილურობისათვის?

ეფექტიანი	ძირითადად ეფექტიანი	ძირითადად არაეფექტიანი	არაეფექტიანი

რამდენად ეფექტიანი იყო მსოფლიო ბანკის ქმედებები წლების განმავლობაში საქართველოში განხორციელებული პროექტებიდან გამომდინარე?

ეფექტიანი	ძირითადად ეფექტიანი	ძირითადად არაეფექტიანი	არაეფექტიანი

რამდენად ეფექტიანად გამოიყენა საქართველომ მსოფლიო ბანკის ფარგლებში გამოყოფილი დაფინანსება?

ეფექტიანი	ძირითადად ეფექტიანი	ძირითადად არაეფექტიანი	არაეფექტიანი

ეფექტიანია თუ არა სართაშორისო საფინანსო ინსტიტუტების - ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკისა (EBRD) და აზიის განვითარების ბანკის (ADB) მიერ განხორციელებული პროექტები ინფრასტრუქტურის მიმართულებით?

ეფექტიანი	ძირითადად ეფექტიანი	ძირითადად არაეფექტიანი	არაეფექტიანი

ეფექტიანია თუ არა ბიზნესის განვითარებისათვის სართაშორისო საფინანსო ინსტიტუტების - ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკისა (EBRD) და აზიის განვითარების ბანკის (ADB) მიერ განხორციელებული პროექტები ინფრასტრუქტურის მიმართულებით?

ეფექტიანი	ძირითადად ეფექტიანი	ძირითადად არაეფექტიანი	არაეფექტიანი

ეფექტიანია თუ არა სართაშორისო საფინანსო ინსტიტუტების - ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკისა (EBRD) და აზიის განვითარების ბანკის (ADB) მიერ განხორციელებული პროექტები ბიზნესის დაფინანსების (საბანკო სექტორი, წარმოება, მომსახურება) მიმართულებით?

ეფექტიანი	ძირითადად ეფექტიანი	ძირითადად არაეფექტიანი	არაეფექტიანი